

ანჯოზ პავუსაღია

**უცდომეა თუ  
დანაშაულები?!**

**ნაწილი III**

თბილისი  
2008

მრავალწლიანი უანგარო თანამშრომლობისა და კოლექციულობისთვის გულითად მადლობას ვუხდის ქართული ჟურნალისტიკის დიდოსტატებს **ოთარ ხუციშვილს** და **ალექსანდრე შენგელიას**.

**ანზორ ბაბუნაძე**

ISBN 978-9941-0-0352-3

ISBN 978-9941-0-0353-0

## რელაქტორისაგან

რჩეული ნაწერების ამ ციკლის ადრე გამოცემულ (2003, 2005 წ.წ.) ორივე წიგნში, ეკონომიკის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების გარდა, ავტორი მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით, პირდაპირობითა და სიღრმისეულობით, ზუსტად საჭირო დროსა და მომენტში იხილავს ე.წ. პოლიტიკოსებისა და „სახელმწიფო მოღვაწეების“ მიერ ნაღვაწ „სასახელო“ საქმეებს; ახალგაზრდა თაობის წინაშე მდგომ პრობლემებს; ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების განსაკუთრებული „დამსახურების“ ფაქტებს, რომლებმაც, ბატონ ანზორ ბაბუხაძის შეფასებას თუ გამოვიყენებთ, თავიანთი იდეების განსახორციელებლად, „ხელი-ხელს ბანს“ პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოში პოზიური ნიადაგი აღმოაჩინეს.

პუბლიკაციების ახალ (III) კრებულში, დამატებით, ეხდება ფარდახელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთ მხარეებს, როგორებიცაა: „პრინციპისაგან“; ე.წ. არჩევნები და ზოგიერთი გაუაზრებელი გადაწყვეტილება.

ავტორი მკითხველის წინაშე სრულიად ახალი რაკურსით წარმოდგა, როცა მსჯელობს საქართველოს ისტორიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პერსონის როლზე, როგორც იყო ბატონი ნოე ჟორდანი; ან კიდევ ერის ისეთ მოუშუმებელ იარაზე, რასაც აფხაზეთი ჰქვია; ისეთ აქტუალურ ეროვნულ პრობლემაზე, როგორცაა ქართული ენის დაცვა; საზოგადოებრივი მაუწყებლის დანიშნულებასა და როლზე და ა.შ.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყველა განსახილველ პრობლემაზე საუბარს ბატონი ანზორ ბაბუხაძე, როგორც წესი, ასრულებს კონკრეტული და, ჩვენი აზრით, რეალური წინადადებით, რასაც, სამწუხაროდ, იშვიათად ვხვდებით ანალოგიურ ნაშრომებში. ჩვენს ამ პოზიციას მთლიანად ადასტურებენ ეკონომიკის აღიარებული მკვლევარები, პროფესორები გურამ ყოფუნია და ჯემალ პაჭკორია, რომელთა შეხედულებებს, ამ წიგნში საგანგებოდ დავუთმეთ ადგილი.

**ალექსანდრე შენგელია**

# მხოლოდ ჟიურისთვის

## გადაკვირვება

„სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მუშაობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ნაყოფიერი საგამომცემლო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ანზორ ბაბუხაია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით“. – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 19 აგვისტოს განკარგულებაში.

გაზეთ „თანადგომის“ მთავარ რედაქტორსა და ეკონომიკურ საკითხებში ჩვენი გაზეთის რედაქტორს ბატონ ანზორ ბაბუხაიას გულითადად ვულოცავთ ჭეშმარიტად დამსახურებულ უმაღლეს ჯილდოს და ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ მის მორიგ სტატიას, რომლის სათაურია მხოლოდ პროფესიონალიზმი გადაგვარჩენს.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი არჩევანი ამჯერად სწორედ ამ სტატიასზე შეჩერდა. ჩვენი მეგობარი, ხომ სწორედ პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნებაა და ამ საკითხზე მისი მსჯელობა ამიტომ მიგვაჩნია განსაკუთრებით საყურადღებოდ.

**რედაქტორი**

ყველამ თავისი საქმე რომ უნდა აკეთოს, ეს კარგად მესმის, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ აქტუალურ პრობლემას გვერდს ვერ აუვლი და გადაწყვეტ, შენც გაბელო შენი აზრის გამოთქმა. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე ვაგებდე, გამომეთქვა ჩემი მოსაზრება ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, რისთვისაც, პატივცემულო მკითხველო, წინასწარ გიხდით ბოდიშს, ხოლო ვინც თავის თავს ამოიცნობს ჩემს მოკრძალებულ შენიშვნებში, მათ, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყვი შეხვედრაზე, რათა კიდევ უფრო დაუეკონკრეტო ზოგიერთი დეტალი.

აკადემიკოსის წოდება ისე შემოვიდა მოდაში, რომ ვისაც აქვს, თუ არა აქვს ამის უფლება, სხვადასხვა გზით მაინც ირქმევს ამ საპატიო ტიტულს. ალბათ, მიაჩნიათ, რომ საზოგადოებაში ავტორიტეტს იმაღლებენ მაშინ, როცა ნებისმიერი ნორმალური ადამიანის თვალში ცრუ აკადემიკოსები, მეტი თუ არა, სამასხარაოდ იხდიან თავს. არადა, ეს მაშინ ხდება, როცა ნამდვილად დიდი მეცნიერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე უთვალსაჩინოესი წევრებიც კი თავიანთ თავს აკადემიკოსებს კი არ უწოდებენ, არამედ თავიანთ თავს მოიხსენიებდნენ და მოიხსენიებენ, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე ხნის წინ პრესის საშუალებით სავსებით სწორი პოზიცია დააფიქსირა ქართული იურიდიული მეცნიერების პატრიარქმა, პროფესორმა გივი ინწკვირველმა, მაგრამ სათანადო რეაგირება არ ჩანს. არადა, ბატონი გივის აზრს რომ არ გაითვალისწინებენ, იქ ჩემი აზრი რაღა მოსატანია, მაგრამ მაინც თქმა ვამჯობინე, უთქმელობას. ვფიქრობ, რომ აღნიშნულის ძირითადი მიზეზი აგრერიგად მომრავლებული ათშაურად რეგისტრირებული, ეგრეთწოდებული დარგობრივი აკადემიებია, რომელთა წევრად გახლდმა ზოგიერთ შემთხვევაში არც არანაირი სამეცნიერო ხარისხისა და, წარმოიდგინეთ, ერთი ბროშურის ავტორობასაც კი არ მოითხოვს. გადაიხადეთ ე.წ. საწევრო გადასახადი და ინებეთ „აკადემიკოსობა“, მაგრამ ყველა ასეთ „აკადემიკოსს“ ვურჩევ, ცოტა მოკრძალებული იყვნენ და თავიანთი „შრომითა“ და „გარჯით“ მოპოვებული ეს საპატიო ტიტული სწორად მაინც დააფიქსირონ და თავიანთი სახელისა და გვარის გასწვრივი ის მაინც მიუთითონ, რომელი აკადემიის წევრი ან წევრ-კორესპონდენტები არიან. ალბათ, ურიგო არ იქნება, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ თავად ისაკ ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი და მეცნიერების მრავალი სხვა მწვერვალის აკადემიკოსებად არ იწოდებოდნენ.

\* \* \*

**ჰოსტა** რაიმე შეხება ჰქონია ასპირანტურასთან, მაძიებლობასთან, საკანდიდატო მინიმუმით განსაზღვრული საგნების ჩაბარებასთან, ავტორიფერატის მომზადებასთან, დისერტაციის დაცვასთან, ნაღდ მეცნიერ-

ხელმძღვანელთან, წესიერ ოპონენტთან და სამეცნიერო საბჭოსთან, დაგვეთანხმება, რომ ამა თუ იმ სამეცნიერო ხარისხის მომზადება დაკავშირებულია ხანგრძლივ სერიოზულ შრომასთან, რომლის დროს გარკვეული ხნით მაინც გვერდზე უნდა გადადო ბევრი პირადული და, მით უმეტეს, იმ ურთულეს სახელმწიფოებრივ პრობლემებზე ზრუნვა, რასაც დაკავებული თანამდებობა გავალდებულებს. ასეთ პირობებში საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ნამდვილად გაუგებარია, როგორ ახერხებენ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები (მინისტრი, გუბერნატორი, პარლამენტარი და სხვა) თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში სადისერტაციო ნაშრომების შესრულებასა და დაცვას. ვისაც ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ევალება, სასურველია, დროულად დაინტერესდეს ამ პრობლემით, რათა ქვეყანა ვიხსნათ არაჯანსაღი ვირუსისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას ბევრი მძიმე შეკითხვა გაუჩნდება, მათზე პასუხის გაუცემლობა კი უამრავ უხერხულობას შექმნის.

უფრო მეტიც, თბილისში არსებობს „№ აკადემიკოსის სახელობის ინსტიტუტი“, ამ „აკადემიკოსს“ ადრეც, ვიცნობდი და ერთ-ერთ თავყრილობაზე ცოცხალი რომ ვნახე, გაოგნებული შევეცქეროდი, რადგან კარგა ხნის გარდაცვლილი მეგონა. კიდევ კარგი, ნათქვამი რომაა: „არ ცოდნა – არ ცოდვა“.

მე მაინც მგონია, რომ რაც საზოგადოებრივი ქცევის, ანუ ზნეობის ნორმებით მიუღებელია, იმისაგან თავის შეკავება გვმართებს. არა აქვს მნიშვნელობა, ესა თუ ის ქმედება კანონით აკრძალულია, თუ არა, რადგან თვით კანონიც ხომ საზოგადოებრივი ქცევის ანუ ზნეობის ნორმების გათვალისწინებით ყალიბდება?!

\* \* \*

**ბაშმართილებლად**, უფრო სწორად, უზნეობად მიგვაჩნია ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლისათვის, კლინიკისათვის, ქუჩისათვის ან სხვა დაწესებულებისათვის ამა თუ იმ პიროვნების სახელის თვითნებურად მინიჭება. გარკვეული მცდელობის მიუხედავად, დღემდე ვერ დავადგინე, ვინ როდის ან რატომ მიანიჭა ერთ-ერთ კერძო უმაღლეს სასწავლებელს ქართველთა მეფედ-მეფის, დავით აღმაშენებლის სახელი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ უნივერსიტეტის აბრევიატურა ქა-

როული ენის არც ერთ ნორმაში არ ჯდება, მაშინ ასეთი თვითმოქმედების გაუმართლებლობის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდება.

\* \* \*

**მიცვალებულთა** უკვდავყოფის მიზნით ჭირისუფალთა ნებისმიერი ღონისძიება, თუ იგი არ სცილდება საზოგადოების ქცევის ელემენტარულ ნორმებს და არ იწვევს მისი ჯანსაღი ნაწილის გაღიზიანებას, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია და გარკვეულ სტიმულირებასაც საჭიროებს. თუმცა, ბოლო დროს, სამწუხაროდ, ბევრია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ სახლს უკეთდება ე.წ. მემორიალური დაფა, რომელზეც აღნიშნულია, რომ ამ სახლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ესა თუ ის პიროვნება, რომლის სახელის, გვარისა და „მოღვაწეობის“ შესახებ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არაფერი იცის.

მიგვაჩნია, რომ როგორც ადრე იყო დაკანონებული, ასეთი მემორიალური დაფების დაყენების თაობაზე გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა მიიღოს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ხელისუფლებამ ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა სათანადო შუამდგომლობების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაკუთრებით დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში, სახლების ფასადები კიდევ უფრო დაუშნოვდება უგემოვნო, უშინაარსო და გაუმართლებელი ე.წ. მემორიალური დაფებით, რომელთა დადგმის მიზანშეწონილობაზე ჩვენი შთამომავლობის უხერხულ კითხვებს პასუხს ვერ გავცემთ.

\* \* \*

**თასს** უფლებას ვერ მივცემ, ჟურნალისტების მიმართ შენიშვნები გამოვთქვა ქართული ენის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, თუმცა, გაგებდავ და რამდენიმე მოკრძალებულ მოსაზრებას მაინც გაგაცნობთ ზოგიერთი მათგანისა და განსაკუთრებით ცალკეული სამინისტროსა და უწყების პრესსამსახურების წარმომადგენლების მისამართით.

ტელევიზიით ან რადიოთი გამოსვლისას პრესსამსახურის წარმომადგენლებმა პირველ პირში არ უნდა ილაპარაკონ. ანუ, მათი მხრიდან არ არის გამართლებული ისეთი გამოთქმების ხშირი გამეორება, როგორცაა „მიმანჩია“, „ვეფიქრობ“, „მოვითხოვ“ და ა.შ. რადგან ისინი თავი-

ანთი სამსახურებრივი ფუნქციის შესრულებისას უნდა გამოხატავდნენ შესაბამისი უწყების და არა თავიანთ პირად აზრს.

ტელევიზიის ზოგიერთი სპორტული კომენტატორის ხარვეზები განსაკუთრებით ხშირი იყო ახლახან დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების კომენტარებისას. ვფიქრობ, არ არის სწორი, როცა ისინი კატეგორიულად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს იმის შესახებ, თუ მსაჯთა რომელი ბრიგადა უნდა მომსახურებოდა ამა თუ იმ მატჩს. ესა თუ ის ფეხბურთელი რომელი ფეხბურთელით უნდა შეეცვალა მისი გუნდის მწვრთნელს, მოსწონს თუ არა ამა თუ იმ ფეხბურთელის თმის ვარცხნილობა და ა.შ. დამეთანხმებით, რომ ასეთი კომენტარებით ისინი ყოველმხრივი განსწავლულობის ნაცვლად საწინააღმდეგოს უფრო ამტკიცებენ.

არც ის უნდა იყოს მთლად გამართლებული, როცა ამა თუ იმ სატელევიზიო პროგრამის წამყვანი ასაკით მასზე უფროს სტუმარს (რესპონდენტს), ხშირად მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელესაც კი უცერემონიოდ მიმართავს სახელის კინობითი ფორმით „ბატონო დათო“, „ბატონო ავთო“ და ა.შ.

პატივცემული ჟურნალისტები ამ შენიშვნებს თუ გაითვალისწინებენ, კარგია, თორემ მართო ამ მიზეზით ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცევა.

პრობლემათა პრობლემად კვლავ პროფესიონალებთან და პროფესიონალიზმთან დამოკიდებულება რჩება. არაერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ საკითხებზე მსჯელობა ფუჭია, მაგრამ ორ მაგალითს მაინც მოვიყვან. ერთი შეეხება პროფესიით მეღვინეს, ხოლო მეორე – პროფესიონალ მუსიკოსს. პირველს, საქართველოს ნებისმიერი ღვინის ქარხნის პროდუქციის დაჭაშნიკებისთანავე შეეძლო იმ ქარხნის დასახელება, სადაც ეს ღვინო დამზადდა, იტყოდა ამ ღვინის ასაკს და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო დეტალს. მეორეს, ანუ მუსიკოსს – ნებისმიერი საკრავიერი მუსიკალური ნაწარმოების რამდენიმე ტაქტის მოსმენით შეუძლია დაასახელოს ამ ნაწარმოების შემსრულებელი (ანსამბლი, სოლისტი) და საკმაოდ დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ მათ შესახებ. ამ რანგის პროფესიონალებს თავზე ვილაც შემთხვევით პიროვნებას რომ დაასვამენ, საქმე წინ წავა?



\* \* \*

**უეჭველია**, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერს ეშველება. ეკონომიკა აღორძინდება, ენერგეტიკული პრობლემები მოგვარდება, გაიზრდება პენსია-ხელფასები, გადაწყდება უამრავი ყოფითი პრობლემა, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ქვეყნის ეროვნულობისა და სარწმუნოების გადარჩენის პრობლემები, მისი ყველა ატრიბუტისა და ნიუანსის გათვალისწინებით. სამწუხაროდ, ამას დიდი დოზებით ასტიმულირებს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესები. საქართველო მოახლოებულ ამ უზარმაზარ წნეხს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის ფორმირებისა და მისი სრული ძალით ამოქმედების პირობებში გადაურჩება. იგი აღჭურვილი უნდა იყოს შეუზღუდავი უფლებებით და მისი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები სახელმძღვანელოდ და უყოყმანოდ შესასრულებელი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ყოფილ სახელმწიფოდ დარჩება.

**ანზორ ბაბუხაძია,**  
გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,  
სექტემბერი, 2002 წ.

# აღსრულდა ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება

## კომუნისტების ლაკვიდაცია კომუნისტების მეთაურობით განხორციელდა

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მეთაურს ნოე ჟორდანიას დაბადებიდან 125 და გარდაცვალებიდან 50 წელიწადი შეუსრულდა.

ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენი გაზეთის რედაქტორთა საბჭოს წევრის, ეკონომიკურ საკითხებში გაზეთის რედაქტორის, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის ანზორ ბაბუნაძიას საუბრის ჩანაწერის მცირე ფრაგმენტს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან, თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის რექტორთან, საზღვარგარეთული ეროვნული საბჭოს წევრთან, ბატონ ჯემალ კახნიაშვილთან.

აღ. შენგელაია.

—50 წლის წინათ როგორ გამოეხმაურა უცხოური პრესა ნოე ჟორდანიას გარდაცვალებას?

—ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო — „მებრძოლი საქართველო“ იტყობინებოდა, რომ ყველა ქვეყნის გაზეთებმა უძღვნეს წერილები ნოე ჟორდანიას გარდაცვალებას. სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ინგლისში, აშშ-ში, თურქეთში, ირანში და სხვა ქვეყნებში. საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებას სპეციალური წერილით გამოეხმაურა სოციალისტური ინტერნაციონალი. იმ დროს საქართველოში ნოე ჟორდანიას სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული და სასტიკად იღვენებოდა, ამიტომ ჩვენს პრესაში მისი გარდაცვალების ფაქტიც კი არ აღნიშნულა.

—ჩვენს დიალოგს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია სრულყოფილად და მასშტაბურად გააშუქოს ნოე ჟორდანიას პიროვნება, დავახასიათოთ მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები და შედეგები. და, მაინც, ვინ იყო ნოე ჟორდანია?

—ნოე ჟორდანიამ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო 1893 წელს, როცა მისი და ეგნატე ნინოშვილის ინიციატივით შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა — „მესამე დასი“. მას შემდეგ ნოე ჟორდანია შეუსვენებლად მუშაობდა ეროვნული ცხოვრების ყველა დარგში — ხან როგორც ნიჭიერი და საინტერესო მწერალი, ხან როგორც პუბლიცისტი, ხან როგორც საქართველოს შრომელი ხალხის ბელადი და ხან პროგორც მთელი ერის ნდობით აღჭურვილი მეთაური. მან ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების სფეროში ისეთი როლი შეასრულა, რომ ამ ხანას სრულიად სამართლიანად ნოე ჟორდანიას ეპოქას უწოდებენ. აღნიშნული თაობის სამოქმედო პროგრამა მოცემული იყო ნოე ჟორდანიას ნაშრომში — „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“ (1894), რომლის დასკვნების გახსენება ახლაც სასარგებლო იქნება საქართველოს რეალური მდგომარეობის ასახსნელად.

—როგორც ცნობილია ამ ნაშრომში ნოე ჟორდანიამ საქართველოს ეროვნული წარმატების შემაფერხებელ ფაქტორად ჩათვალა საქართველოსა და ქართველი ერის დაქსაქსულობა. სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნისათვის ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია და უმთავრეს პრობლემად რჩება.

—ფაქტია, რომ ეს მოვლენა საქართველოს ისტორიის მუდმივი თანამგზავრი იყო და არის. მაგრამ მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველო შეიერთა (1801) „გატყდა ქართული ცხოვრების მსვლელობა, გაკეთდა ისტორიული ნახტომი და ბუნებრივი თავისებურებით ზრდის მაგიერ, ჩვენ ვვითარდებით უნიდაგოდ, უთავბოლოდ, უწესრიგოდ“. ნოე ჟორდანიას მტკიცებით აქედან გამოსავალი ერის გაერთიანებაშია, ხოლო ერის პოლიტიკური გაერთიანების საფუძველია ერის ნივთიერად გაერთიანება. სწორედ ამის გამო, ნოე ჟორდანია პირველ პლანზე ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებას აყენებდა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საზოგადოების გაერთიანებისთვის, მისი ერად გადაქცევისთვის.

—ცნობილია, რომ ნოე ჟორდანიას დროშაზე ეწერა: ქართველობა და ევროპელობა, გთხოვთ კომენტარს.

—ნოე ჟორდანია ევროპაზე ორიენტარიებული პოლიტიკური მოღვაწე

იყო. თუ ევროპის ცივილიზაცია არ შევითვისებთ, – წერდა ნოე ჟორდანია, – ვრჩებით დაუძღვრებულნი, სუსტი, მზად გადასამენებლად. მის ხატოვან გამოთქმაში „აღმოსავლეთის ფანატიზმს დასავლეთის იმპერიალიზმი გვირჩევნია“, დევს პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის მთელი ფილოსოფია.

ამავე დროს, ნოე ჟორდანია ცდილობდა ეროვნულ ნიადაგზე დაემყნო ევროპული ცივილიზაცია. „ჩვენ ჩავდექით ახალ ხანაში როგორც ქართველი ხალხი, მქონე საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულების. აი, ეს არის ეროვნული ნიადაგი, ამაზე ვაშენებთ ევროპულ ცივილიზაციას. თუ ეს ნიადაგი დაგვარგეთ, გვეკარგვის ხალხოსნობა, კულტურა, თავისი „მე“. ნოე ჟორდანიას ამ სიტყვებს, დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა.

**– დღევანდელ საქართველოში აქტუალურად ჟღერს ნოე ჟორდანიას შემდეგი სიტყვები: „დღეს სოციალისტი ვინ არ არის, ყველა ამ მოძღვრებას ეპოტინება და მისი სახელით თავის მისწრაფებას ფარავს. კარგად ნათქვამია: „საქმენი შენი გაცხოვენებენ შენ“. საქმით გამოიცინობა პოლიტიკური დაჯგუფება. ჩინებული დროშა არაფრად არ ვარგა, თუ მისი განმასხვრციელებელი საშუალებები უვარგისია...“ თქვენი კომენტარი**

– ნოე ჟორდანიას დემოკრატიული მსოფლმხედველობა მთლიანად ჯდებოდა მისეულ სოციალისტურ გაგებაში. მას სწამდა სოციალიზმის მომავალი და მისი დამყარების გარდუვალობა მსოფლიოს ყველა რეგიონში. როგორც დემოკრატი, იგი ფიქრობდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელი იქნებოდა ძალდაუტანებლად, დემოკრატიის გზით. ნოე ჟორდანიას ეს მოსაზრება აისახა მის შრომაში „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“.

ნოე ჟორდანია სოციალიზმს უყურებდა როგორც ისტორიულ პერსპექტივას და არა როგორც უბრალო პრაქტიკულ ამოცანას. რა თქმა უნდა, ნოე ჟორდანია მისწრაფოდა სოციალიზმისკენ, მას სურდა საზოგადოების სოციალისტურ პრინციპებზე გარდაქმნა, მაგრამ მისი აზრით, ჯერ საჭირო იყო აუცილებელი ეკონომიკური და პოლიტიკური ეტაპების გავლა.

**– ცნობილია ნოე ჟორდანიას ფრთიანი გამოთქმა „კომუნისტების ლიკვიდაცია ზდება თვით კომუნისტების მეთაურობით“. საოცარი დამთხვევაა, საბჭოთა კავშირი დაიშალა ფუნქციონერი კომუნისტების მიერ, ამ სტრიქონების დაწერიდან 66 წლის შემდეგ. უფრო გასაოცარია ნოე ჟორდანიას ის გამონათქვამი, რომელიც ეხება საბჭოთა ეკონომიკიდან საბაზრო**

ეკონომიკაზე გადასვლის უარყოფით დახასიათებას. მისი აზრით, მსგავსი ტრანსფორმაცია გამოიწვევს ველური ფორმის კაპიტალიზმის დამყარებას, რომელიც არ იქნებოდა ისტორიული პროგრესის მატარებელი ნაციონალური ეკონომიკის არც ერთ დარგში, ვინაიდან მისი იდეალა კერძო პირთა გამდიდრება, ბურჟუაზიის შექმნა, რომელიც დღეს მოკლებულია იმ პროგრესულ როლს, რაც მას ისტორიის წინა პერიოდში ჰქონდა, ცხადია, მთელი სახალხო ქონება პირველ ყოვლისა სახალხო საკუთრება გაიფლანგება და უცხოური კაპიტალი ქვეყანას ბატონად დააჯღდება... „ამკარაა ევროპული კაპიტალი მაშინვე შინ დატოვებს ექსპლუატაციის თანამედროვე ფორმას და გვესტუმრება აფრიკანული სამოსელით. ადვილად წარმოსადგენია, ასეთ პირობებში რა მდგომარეობაში ჩავარდება შრომა და წვრილი საკუთრება. ის გახდება კაპიტალის საწველ ფურათ, უძწოთ და უმფარველოთ დატოვებულნი“.

ასეთ პირობებში ნოე ჟორდანიას დასაშვებად მიაჩნდა დემოკრატიის თავდაპირველი მონაპოვრის დაკარგვა, რადგან, მისი აზრით, უკიდურესად გაჭირვებული ხალხი „ადვილად შეურიგდება პირველ ხანაში ყოველნაირ მმართველობას, ოღონდ ამ გაჭირვებისაგან გამოიყვანოს და მათი უახლოესი პრაქტიკული მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს“ („ჩვენი გზა“). მისი აზრით, ბურჟუაზიის გაბატონება საქართველოსნაირ განვითარებულ ქვეყანაში, ბოლშევიზმის მსგავს ძალმომრეობას წარმოშობს. რასაკვირველია, ეს ახალი კომუნისტები შეეცდებიან, მსგავსად კომუნისტებისა, თავისი დახლის წინ იდეური ბაიარალი დაკიდონ, თავისი ქვეყანა ბრჭყვიალა სიტყვებით შეკაზმონ და... ხალხი თავისი დაპირებებით გააყრდნონ. ხალხი მზადაა ყველაფერი აიტანოს, ოღონდ ცოტა სინათლე დაინახოს, რომლის შედეგი იქნებოდა ჭეშმარიტი სოციალისტური მმართველობის დამყარება. აქ უპირველეს ადგილს დაიკავებდა სახელმწიფოს მიერ ყველა მშრომელის ინტერესის დაცვა, რომლის საფუძველი იქნებოდა თანამედროვე ტექნიკის გამოყენება. ტექნიკური პროგრესი კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია მეცნიერებასა და კაპიტალთან. ეს უკანასკნელი შეიძლება სესხის სახით მიღებულიყო უცხოეთიდან, რომელიც შეუერთდებოდა შრომისა და მიწის რესურსებს და უზრუნველყოფდა ქვეყნის ნორმალურ ეკონომიკურ განვითარებას.

—32 წელიწადი ნოე ჟორდანიამ ემიგრაციაში გაატარა, „მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას არც თავისი პოლიტიკური აზროვნება და ხაზი, და არც თავისი აქტივობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იოტი-

თაც არ შეუცვლია“ (კ. კანდელაკი, სსდპ). ამ რწმენით გარდაიცვალა იგი. თან წაიღო საქართველოს, მისი მიწის დიდი სიყვარული. სიკვდილამდე 2 დღით ადრე, იგი თავის სიძეს, ლევან ფაღავას სთხოვდა: მიმაქვს ერთი დიდი მწუსარება, ვეღარ ვნახე ჩემი ქვეყანა, ჩემი ლანჩხუთი, ჩემი მიწა, არ ვიქნები კიდევ დიდხანს ნენას გვერდით. გთხოვთ ერთ რამეს: ამხანაგებმა გამიკეთონ მაგარი და გამძლე კუბო... ჩვენი ხალხი მე აქ არ დამტოვებს ყველა ქართველი პატრიოტის უწმინდესი მოვალეობაა თავისი რისხვა და ბრძოლა მიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დამპყრობლების წინააღმდეგ. შინაური თანხმობა აკეთებს ჩვენს საქმეს, შინაური უთანხმოება, განხეთქილება კი – მტრის საქმეს“... („მეზობელი საქართველო“, 18,1954) როგორია თქვენი კომენტარი?

—ნოე ჟორდანიას გარდაცვალებით დასრულდა ერის ისტორიის ერთი ეპოქა. მისი თაობა საქართველოს ისტორიაში დარჩება უბრწყინვალეს თაობად. ამ თაობიდან ბევრი იყო ნოეს თანამებრძოლი და მოწინააღმდეგე. ახლა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ რომელ დაჯგუფებას ეკუთვნოდა, მთავარია, თავისი მოღვაწეობით ვინ რა შესძინა ქართველი ხალხის კეთილდღეობას, ვინ როგორ ემსახურა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მისი დიდების აღდგენას. ამ მხრივ, ერთნაირად სათაყვანებელია, როგორც კოტე აფხაზი, ისე ვალიკო ჯუღელი, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ისე ნოე ხომერიკი, როგორც სპირიდონ კედი, ისე ნოე რამიშვილი, როგორც მიხაკო წერეთელი, ისე ისიდორე ჯიბლაძე, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი, ისე ევგენი გეგეჭკორი და ასე სხვა მრავალი. მათი ცხოვრება იყო ერის საკურთხეველზე მიტანილი სიცოცხლე. ნოეს უკანასკნელი საჯარო განცხადებები ნათლად მიუთითებს მის ძლიერ ნებისყოფაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სფეროში. იგი საკუთარი პარტიის წარმომადგენლებს მიუთითებდა, რომ „ის პარტია, რომელიც ჯგუფურ იტერესებს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებს, დაშალეთ უმაღლ, რადგან მისი არსებობა მავნეა ერისათვის“.

—სწორედ ამის გამო აღიარა ქართველმა ერმა იგი მთელი ერის წინამძღოლად. „არ ვიცი ლოცულობდა თუ არა ნოე ჟორდანი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიასზე ლოცულობს“ (გრ. რობაქიძე, „ბედი ქართლისა“, 14,1953 წ.)

ესაუბრა ანზორ ბაბუხალია,  
გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,  
მარტი, 2003 წ.

# ზოლიბიოსები ისევ ქარღობან

## რედაქტორის წინათქმა

ეკონომიკის საკითხებში ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი, ბატონი ანზორ ბაბუხაძე 60 წლისა გახდა. საიუბილეო თარიღს, ჩვენი და რამდენიმე სხვა გაზეთის გარდა, ფართოდ გამოეხმაურა „საქართველოს რესპუბლიკაც“, რომელმაც ქვეყნის დამსახურებულ ეკონომისტს, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრს ბევრი საინტერესო წერილი მიუძღვნა, მათ შორის ცნობილი პიროვნებებისა, აკადემიკოსების ლეო ჩიქვას, ნოდარ ჭითანავასი, ნიკო ხატიაშვილის, საქართველოს სახალხო არტისტების მედეა ამირანაშვილის, ბიძინა კვერნაძის, ანზორ ერქომაიშვილის, თენგიზ მუშეკუდიანის, მაცაცო სებისკვერაძისა და სხვების.

საიუბილეო დღეებში დაისტამბა ბატონი ანზორის მიერ ქვეყნის პრესაში გამოქვეყნებული სტატიებისა და ინტერვიუების კრებული „შეცდომა თუ დანაშაული“. მასში სხვა პუბლიკაციებთან ერთად შესულია ისეთი გახმაურებული წერილები, როგორცაა „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები – პოლიტიკურ საქმიანობას“, „პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი ღალატობს“, საბაზრო ეკონომიკა „ბაზარს“ როდი ნიშნავს“, „არჩევნები, ო, ეს არჩევნები!“

რადგან პოლიტიკოსები კვლავაც განაგრძობენ ქურდობას, ხოლო ბევრი ქურდი უკვე ისეთი ცნობილი პოლიტიკოსი გახდა, რომ უმაღლესი ხელისუფლების მიერ „აავტორიტეტად“ მოიხსენიება; რადგან პრეზიდენტს მისი გუნდის ბევრი წევრი ღელესაც ღალატობს; რადგან საბაზრო ეკონომიკა ისევე „გაბაზრ-გამასხარავებულა“ და „არჩევნები, ო, ეს არჩევნები“ კარზე მოგვადგა, გაზეთის რედაქტორთა საბჭომ ორი გადაწყვეტილება მიიღო:

პირველი: წლევეანდელი აგვისტოს ხვატში ჩვენი გაზეთის გამოშვებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკონომიკის დარგში მთავარი რედაქტორისათვის, ბატონი ანზორ ბაბუხაძეასათვის დაეკისრებინა და, მეორეც: მხოლოდ ჩემი ამ შესავლის თანხლებით, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, მიგვეწოდებინა მკითხველისათვის რამდენიმე ამონარიდი მისი კრებულიდან.

ეს ამონარიდები ადვილად აღსაქმელია და ქვეყნის მრავალ საჭირობო-როტო პრობლემასთან დაკავშირებით ზუსტად გადმოგვცემენ ავტორის მოქალაქეობრივ პოზიციას.

სხვა დაე, მკითხველმა განსაჯოს და დასკვნებიც თვითონვე გამოიტანოს, რათა წლებანდელი წლის 2 ნოემბერს არც არჩევანი შეეშალოს და არც არადანი.

**ალ. შინგელია**

## **სათქმელი დროულად უნდა ითქვას!**

როგორც ეკონომისტსა და სახელმწიფო მოხელეს, ჩემი პოზიციები მიტინგებსა და მსგავს თავყრილობაზე არასოდეს გამომითქვამს. ასეთ ღონისძიებებზე პროფესიონალი სპეციალისტის გამოსვლებს არ ვამართლებდი, რადგან ის მასის თვალში იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვების იოლ გზად მიმაჩნდა. ასეთ შემთხვევაში წარმატებას მხოლოდ მაშინ მოიპოვებ, თუ შენს გამოსვლაში ჭარბობს პოპულიზმი, ანუ მუშაობ მასის რეაქციის ეფექტზე, ამის საწინააღმდეგოდ პრობლემატურ საკითხებზე ჩემს პოზიციებს არც თუ იშვიათად ვაფიქსირებდი. პრესაში, ან ოფიციალურ დოკუმენტებში.

ჩემი პროფესია, მოქალაქეობრივი ვალი, სამსახურებრივი მდგომარეობა და, ალბათ, ცოტაოდენი გამოცდილებაც არ მაძლევდა უფლებას, შორიდან მეყურებინა მიმდინარე პროცესებისათვის. ხშირად პოზიციების დაფიქსირებისას პრესაში, მთავრობის სხდომებსა და სამსახურებრივ ოფიციალურ დოკუმენტებში, სიტუაციები იმაბებოდა და ამიტომ ზოგიერთი ხელმძღვანელი ფსევდორეფორმატორი და დაქირავებული ჟურნალისტი „ნეოკომუნისტობას“, „საბაზრო ეკონომიკის მტრობას“ და, რა ვიცი, კიდევ რას არ მწამებდა.

ამის მიუხედავად, ჩემი პრინციპების წინააღმდეგ სვლას ან გაჩუმების პოლიტიკის თამაშს ვერ ვახერხებდი, მჯეროდა და მჯერა, რომ მაინც ისა სჯობს, როცა სათქმელს დროულად იტყვი. უფრო მეტიც, არც ერთი ასეთი გამოხტომა უპასუხოდ არ დამიტოვებია...

როცა ვთვლიდი, რომ მართალს ვამბობდი, იმაზე ნაკლებად ვფიქრობდი, ვის ეწყინებოდა და ვის მოეწონებოდა. ერთხელ, მთავრობის სხდომაზე, ქვეყნის პრეზიდენტს ისიც კი გაუუბედე, რომ „რაც დღეს ქვეყა-



ნაში ხდება, ამის მთავარი მიზეზი საკადრო პოლიტიკაში დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომები არის-მეთქი“.

ვისაც ვგულისხმობდი, ადვილად მიხვდა და კამათის განგრძობა არ ჩათვალა საჭიროდ.

## **ჩაუმჩნაბოჩაბი, ო, ეს ჩაუმჩნაბოჩაბი!**

რესპუბლიკაში საქონლის წარმოების მნიშვნელოვნად დაცემის დროს, რაც ძირითადად არასწორმა, მოუფიქრებელმა და არაეფექტურმა საგადასახადო პოლიტიკამ განაპირობა, არახელსაყრელი გახადა კვების პროდუქტების წარმოება. პარადოქსია, რომ რესპუბლიკა სასურსათო დახმარებას სთხოვს საზღვარგარეთს და მშვიდად აღიქვამს სოფლის მეურნეობასა და გადაამუშავებელ მრეწველობაში შექმნილ უმწვავეს კრიზისს. „რეფორმატორებმა“ კი ნამდვილად „სასწაულის მოხდენა“ შეძლეს: წარმოების არნახული ნგრევის, მოსახლეობის რეალური შემოსავლის დაცემის ფონზე, საქართველო მომხმარებლების საზოგადოებად აქციეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ეკონომიკის ყველაზე უფრო მახინჯ დისპროპორციას წარმოადგენს იმ დარგების გაპარტახების ტენდენცია, რომელთა პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე არსებითად მთელ ქვეყანას უნდა ეცხოვრა.

## **ბიზნესი ვივინდარების ასპარეზი როდია**

ქვეყნის გაუბედურების ხარჯზე ნაშოვნი ქონების აფიშირება უზნეობაა და მეტი არაფერი. ასეთი ქცევა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ თავხედობაზე მეტყველებს.

ვისაც ქვეყნის გაუბედურების ხარჯზე აქვს ქონება მიტაცებული, ურცხვად ტრაბახობენ – ქონება იმ დროს ჩავიგდეთ ხელში, როცა თქვენ მიტინგებზე დადიოდით და „თავისუფლობანას“ თამაშობდითო.

მეტი ცინიზმი გაგონილა?!

რა არის ეს – იქნებ მართლა ვერ აღიქვამენ თავიანი დანაშაულის სიმძიმეს, იქნებ ამიტომ არ ერიდებიან იმასაც კი, რომ საკუთარი შვილების თვალწინ სასახლეები და უძრავ-მოდრავი ქონება სხვების სახე-

ლზე გააფორმონ, ყოველგვარ სიყალბეზე წავიდნენ, ეს ხალხი მართლა არაფერზე ფიქრობს... იციან, რომ მათი მონაგარიც მათი გზით წავა და სამისოდ აქედანვე ამზადებენ ნიადაგს სიბერეში უზრუნველი ცხოვრებისა და სხვების ხარჯზე განცხრომისათვის. წარმოიდგინეთ, ზოგიერთი იმასაც კი კადრულობს, რომ რაღაც „შელავათების“, ვითომდა „კანონიერ“ გზას ეძებს, რომ საკუთარ საუნებში, საცურაო აუზებსა და შადრევნებში დახარჯული წყლისა და ელექტროენერჯის საფასურიც არ გადაიხადოს სრულად, თითქოს ლტოლვილი, მარტოხელა ან ომის ვეტერანი იყოს.

ეს ხალხი ყველაფერზე მიდის, ძალიან საშიში ხალხია! ესენი ლაპარაკობენ ბიზნესზე!

იცით რა? ბიზნესი პატიოსანი საქმეა და არა ვივინდარების ასპარეზი. საქართველოში კი ჯერ კიდევ არ არის პატიოსანი ბიზნესის გარემო. ასე რომ, უკეთესს არ უნდა ველოდოთ...

სწორედ დღევანდელ ვითარებაზე აქვს ნათქვამი ცხონებულ ანატოლი სოზნაკს: „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის დამახასიათებელია ის, რომ პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები კი – პოლიტიკურ საქმიანობას“.

## გაიშველის ბალცეროვიჩი?

პოლონეთში ლეშეკ ბალცეროვიჩის რეფორმის თავიდათავი გახლდათ ქვეყანაში საგადასახადო სისტემის მაქსიმალური გამარტივება და გამკაცრება. მან ჯერ რეფორმების პროგრამა შეიმუშავა, შემდეგ კი ე.წ. „მოკური თერაპიის“ პრინციპით დაიწყო იმისი განხორციელება: საბიუჯეტო შემოსავლების გარანტირებული ზრდის მიზნით ვაჭრობის და მომსახურების ობიექტების დიდი ნაწილი გადაიყვანა ფიქსირებულ გადასახადებზე; მატერიალური წარმოების სფეროს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე გაავრცელა საგადასახადო სისტემის ისეთი პირობები, რომელიც მეწარმეს მუშაობის სტიმულს აძლევდა. ამით ფეხზე დადგა მოსახლეობის საშუალო ფენა და მაქსიმალურად გაიზარდა დასაქმების კოეფიციენტი.

რას შეიძლება ჩვენ ველოდოთ ლეშეკ ბალცეროვიჩისაგან? პირდაპირ ვეტყვი: ბევრს არაფერს. რატომ? იმიტომ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში

რეფორმა მაშინ აღწევს შედეგს, როცა სათანადო პროგრამა შემუშავდება და განხორციელდება ქვეყნისა და ხალხისათვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსის, ხასიათის, მენტალიტეტისა და სხვა მომენტების გათვალისწინებით. სერიოზული რეფორმების დაწყების წინ ქვეყანა თავისი ეკონომიკური მდგომარეობით ასე თუ ისე ფეხზე უნდა იდგეს. ჩვენი ქვეყნის სასტარტო მდგომარეობა კი ნულის ქვემოთაა. ისიც კი არ ვიცით, რა გვინდა და საით მივდივართ. მაგრამ, გადარჩენის შანსი კიდევ არსებობს, თუ ამის რეალური ნება იქნება და მაკანნი რამდენიმე წლით მაინც გადადებენ თავიანთი პირადი პრობლემების მოგვარებას.

## პარლამენტის პარამეტრები

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს პარლამენტი ორპალატიანიც რომ იყოს, მასში დეპუტატების რიცხვი 100-120-ს არ უნდა აღემატებოდეს. ეს სულ ცოტა ორჯერ და მეტად შეამცირებს იმ ხარჯებს, რაც მათი შენახვისთვისაა საჭირო.

თუ პარლამენტისკენ უაზრო სწრაფვა შემცირდება, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს საბოლოოდ გაუქრებათ დეპუტატად არჩევის სურვილი.

ეს ერთადერთი გზაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავიცვათ უკიდურესად შეჭირვებული ელექტორატი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა მიერ მასობრივი მოსყიდვისაგან და ამით ქვეყანა გადავარჩინოთ დიდ განსაცდელს.

## უპასუხოდ ღაჩჩენილი კიოსკები

ცხოვრების უკუღმართი წესისა და მასზე მარჯვედ მორგებული ჩვენი მენტალიტეტის გამო ყირამალა დავაყენეთ საზოგადოების განვითარების კანონები.

ამ ანომალიის ახსნა და უამრავი კონკრეტული მაგალითის დასახელება ჩემს თაობას არ სჭირდება, რადგან გარკვეული ფორმით და მეტნაკლებად თითოეული ჩვენგანი მონაწილეობდა დადგმულ სპექტაკლში, რომელმაც შექმნა იმის წინაპირობა, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს მათხოვარ სახელმწიფოთა ავანგარდში ჩამდგარიყო.

დღეს ჩვენმა „კეთილის მსურველმა“ გადამთიელებმა, საფუძვლიანად გააანალიზეს ჩვენი მენტალიტეტი, მთავრობაში მყოფი ზოგიერთი ჩინო-  
ნიკის დახმარებით ნოციერი ნიადაგი აღმოაჩინეს თავიანთი ზრახვების  
განსახორციელებლად და მათივე ხელშეწყობით დაიწყო „დახმარების“  
სხვადასხვა ფორმის გამოყენება ყოველგვარი ქართულის დასასამარე-  
ბლად.

ვინც ჩათვლის, რომ ეს ნამეტანი ხმამაღლა ნათქვამია, დაბეჯითებით  
ვთხოვ, მირჩიოს ისეთი ფორმა, რომ მავანს და მავანს როგორმე ახლა  
მანც მივაწვდინოთ ჩვენი ხმა.

ვიდრე ამ საქმეში სათანადო რჩევებს მივიღებთ, გვანტერესებს კვა-  
ლიფიციური პასუხი შემდეგ კითხვებზე:

– ვინ, როდის და რა საშუალებით უნდა გადაიხადოს კრედიტების სა-  
ხით აღებული უზარმაზარი ვალები, რომელთა გამო შორეულ პერსპე-  
ქტივაშიც კი მსოფლიო რუკაზე საქართველო არასაიმედო პარტნიორ  
ქვეყნად დარჩება?

– ვინ და რატომ აიღო ეს ვალები, ვის მოხმარდა და მათ მიერ შინ  
წაღებული ვალი ჩვენმა შთამომავლობამ რატომ უნდა გადაიხადოს?

– რას ვუპირებთ ენას, მამულს, სარწმუნოებას? რა პასუხს გაცემთ  
შთამომავლობას ქართული ენის დაკნინებისთვის, მამულის დიდი ნაწი-  
ლის უცხო ტომებისათვის უბრძოლველად ჩაბარებისთვის? არათანაბარ,  
უმეღადავო ბრძოლაში ქართული ეკლესიის ბედის ანაბარად მიტოვები-  
სათვის?

– რატომ ჭიანურდება ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის ჩამოყა-  
ლიბება?

– როდის შეიქმნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია?  
როდის გვეცოდინება რის აშენებას ვაპირებთ, საით და რა გზით მივდი-  
ვართ?

– ვის ან რას ემსახურება ჩასახვის საწინააღმდეგო ძვირადღირებული  
რეკლამა უფასო სამედიცინო კონსულტაციებისა და პრეპარატების თა-  
ობაზე?

– რას ისახავს მიზნად ზღვარგადასული ეროტიკული ფილმებისა და  
სხვა უზნობათა ავითაცია-პროპაგანდა, არატრადიციული სქესობრივი  
ორიეტაციის პოპულარიზაცია?

ყველა ამ და უამრავ სხვა კითხვაზე ქვეყანამ პასუხი დროზე თუ არ  
მიიღო, ლოგიკურად გაკეთდება დაახლოებით ასეთი დასკვნა: შინ და გა-

რეთ მავანთ და მავანთ ხელს აძლევს, რომ ჩვენ აღარ გვექონდეს ენა, მამული, სარწმუნოება; საქართველოს ეკონომიკა ფეხზე აღარასოდეს დადგეს; მაქსიმალურად გადაავაროს საქართველოს გენოფონდი; დაიმონოს და მუხლებზე დააჩოქოს ქართველი ერი, რათა საბოლოოდ, „როგორც მტკვერი აღიგავოს პირისაგან მიწისა“.

## **„პრინციპალიზაცია“ გენოციდს ნიშნავს**

უკანონო შემოსავალი და გადასახადებისგან თავის არიდება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად ისჯება. თუ ეს ქონება ნაშოვნია ხალხის გალატაკების ხარჯზე, ასეთი დანაშაული, მისი ლოგიკური შედეგებით, გენოციდად ფასდება. დღეს ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ესა თუ ის ქონება დივიდენდების სახით მიიღეს. ამის დადგენას დიდი ჭკუა-გონება კი არა, ხელისუფლების ნება სჭირდება.

რეალური გამოსავალი გახვალთ ის რომ არასწორი გზით, თუნდაც „პრივატიზაციით“ შექმნილი ქონება შეფასდეს დღეისთვის მოქმედი საბაზრო ფასებით და მასზე დაწესდეს ქონების გადასახადი, ათუელათასობით ლარი გადაიხადონ ყოველთვიურად გადასახადების სახით და მერე რამდენიც უნდათ, ამტკიცონ, რომ ეს ქონება სიდედრ-სიმამრის ნაჩუქარია.

ხაზს ვუსვამ — ეს პრობლემა ეკონომიკური ხერხებით უნდა გადაწყდეს. ასეთი ქონება მაღალი გადასახადებით უნდა დაიბეგროს და თანხა ასე მოხვდეს ბიუჯეტში. სხვაგვარად ხალხი ამ ქონებას ვერ დაიბრუნებს, ჩამორთმეული ქონება კვლავ უკანონოდ მოხვდება სხვების ხელში, რითაც საზოგადოება კიდევ ერთხელ დარჩება გაწბილებული.

## **მწერაღმთე ყრილობაზე ვერწითქვამი სთქმეფი**

ქართველი მწერლობის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, რამდენიმე წლის წინ გამართულ ერთ-ერთ დიდ ფორუმზე თავისი სიტყვის დასაწყისში ბრძანა, რომ ახლა შესავლის დრო არ არის, ახლა პირდაპირ გამოსავლის ძებნა უნდა დავიწყოთ და მეც პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე მოგახსენებთ, რომ არა მარტო ქართველი

მწერლობის, არამედ მთელი ქართული ეროვნული ეკონომიკის ახლანდელ მდგომარეობამდე მიყვანაში თანაბარი წვლილი მიუძღვის როგორც მწერლობას, ისე ზოგიერთ ქართველ „მოღვაწესაც“.

ალბათ, იკითხავთ, კი მაგრამ, ქართული მწერლობა რა შუაშიაო? გიპასუხებთ, შუაში კი არა თავშია. რატომ? იმიტომ, რომ: 1. ქართველ მწერლებს ევალებოდათ და ევალებათ ჩვეული სიმწვავეით ქვეყნის ხელისუფლების ყურადღება მიიპყროს იმ გარემოებას, რომ ჩვენ დღეისათვისაც კი არ გავგაჩნია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა და კონცეფცია, ესე იგი, არ ვიცით რა გვინდა, საით მივდივართ.

2. ჩვენი აზრით, ქართული მწერლობის ჩვეულ რისხვას უნდა იმსახურებდეს ის ფაქტი, რომ არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის გამო დაცალა ქართული სოფელი, გაჩანაგდა ეროვნული მეურნეობა. ეკონომისტთა ენაზე რომ ვთქვათ, ეს განაპირობა შიდა ბაზრის დაუცველობამ, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია არარენტაბელური, ანუ ზარალიანი გახდა.

3. ქართულმა მწერლობამ განგაში უნდა ატეხოს იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს ქვეყანაში სუფთა ხელებით წარმოებული ბიზნესი პრაქტიკულად არ არსებობს, ვიდრე საქართველო შავი ბიზნესის აღზევების სტადიაშია, მისგან ქართული მწერლობა რაიმე მეცენატობას არ უნდა ელოდოს. თუ ქართველი მეწარმე თავს დააღწევს ე.წ. გავლენის სფეროებს, მაშინ მათ რიგებში კვლავ გაჩნდებიან სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები და სხვანი და სხვანი.

4. ქართულ მწერლობას სათანადო სიფხიზლე რომ გამოეჩინა, ზოგიერთ ე.წ. წარმატებული ბიზნესმენი ვერ გაბედავდა ჩვენს დარწმუნებას, თავის მოწონებას და ტრაბახს, რომ მათ თავიანთი ქონების დაგროვება, ანუ დანაშაულებრივი ბიზნესის აღზევება მოახერხეს ერთ-ორ წელიწადში, საქართველოს დამოუკიდებლობის დამკვიდრების პერიოდში, რომელმაც სამწუხაროდ მის პირველ ეტაპზე თან მოიტანა ომი, შიმშილი, ნგრევა, ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახება, ეროვნული პრიორიტეტული დარგების შეგნებულად გაჩანაგება, ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაკოტრება და გადაგვარება.

5. მოგეხსენებათ, რომ დიდი ფული ერთ-ორ წელიწადში არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არანაირი ცივილური გზით არ იშოვება. ამის ერთადერთი რეალური გზა მხოლოდ და მხოლოდ სხვის უბედურებაზე

აგებული პირადი ბედნიერებაა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ბუმერანგივით დაუბრუნდება ხოლმე ე.წ. წარმატებულ ბიზნესმენებს.

6. ქართულმა მწერლობამ ამ კატეგორიის „მოღვაწეებს“ უნდა ურჩიოს, რომ ნუ ტრაბახობენ და თავს ნუ იწონებენ თავიანთი ოჯახის წევრების ჩაცმა-დახურვის ღონით, უცხოური ფირმების სახელწოდების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, ანტიკვარული ნივთების წარმოშობის ისტორიაში განსწავლულობით, უცხოეთის კურორტებზე გრიალით, აბანო-საპარიკმახეროების ფართო ქსელით და სხვა. ამის ნაცვლად აჯობებს, ისინი ერთმანეთს შეეჯიბრონ ქვეყნის სასიკეთო საქმეებით, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების გვერდში დგომის უნარით და, ბოლოს და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, მათ მიერ აღზრდილი ღირსეული შვილებით.

დასასრულ ერთი წინადადებაც!

იქნებ ქართულმა მწერლობამ იკისროს პირუთვნელი არბიტრის როლი და ყველა დაინტერესებულ სუბიექტთან ერთად იმსჯელოს ქვეყნისათვის სასიცოცხლო პრობლემებზე და გამართოს მათი საჯარო განხილვა.

**გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,  
აგვისტო, 2003 წ.**

# „სამჭეხ ნაჯიყენოთ იყენი, სამჭეხ ჯეხ აჯიჩიოთ ჩიციანი ჭაჩამენსი“

ცნობილი ქართველი მოაზროვნის ჯანსუღ ღვინჯილიას ეს სიტყვები განსაკუთრებულად აქტუალურია მოახლოებული არჩევნების წინ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „თუ არ გვინდა ჩვენ და ჩვენი შვილებიც რამდენიმე ათეულ წელიწადს კიდევ ვიტანჯებოდეთ, არჩევნებზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ.“

სწორედ იმ ხალხმა უნდა იფიქროს, ვინც იობის მოთმინებით იტანს ამდენ შიმშილს, დამცირებას, შეურაცხყოფას, ყოველგვარ უბედურებას... ჩვენი ბრალის ამ დღეში რომ ვართ...

ჩვენ ვერ ავირჩიეთ ჭკვიანი ადამიანები...“

უფრო ზუსტად და უფრო ლაკონიურად ძნელია რაიმეს თქმა. ჩემი მხრივ კი იმას დაეუმატებ, რომ პარლამენტის წევრები არ უნდა იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი, ფულით გაზულუქებული პიროვნებები, ვისაც ყველა ეკონომიკური პრობლემა მოგვარებული აქვს და ახლა კარიერისა და დეპუტატის იმუნიტეტისათვის იბრძვიან. არ შეგაცდინოთ მათმა „ფორიანმა კანფეტებმა“.

ამ პრობლემაზე სერიოზული განსჯისას საჭიროა ანგარიში გავუწიოთ ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 1998 წელს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „პარლამენტის წევრები უნდა იყვნენ თავიანთ სპეციალობაში აღიარებული იურისტები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, სოციოლოგები და სხვა დარგის წარმომადგენლები, რომლებმაც პროფესიული ზრდა ამჯობინეს სხვისი მამებლობით და მლიქვნელობით ადვილად მისაღწევ კარიერას“.

დამეთანხმებით, რომ ასეთი აჟიოტაჟი და სწრაფვა პარლამენტისაკენ ადრე არასოდეს შეგვინიშნავს. აწ განსვენებული ანატოლი სობჩაკის სიტყვებით, ეს განაპირობა იმან, რომ „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები კი – პოლიტიკოსობას“.

პარლამენტის წევრების შერჩევის კრიტერიუმში პირადი ერთგულება



და მატერიალური მდგომარეობა კი არ უნდა იყოს, არამედ ის, თუ ქვეყნის სასიკეთოდ, რის გაკეთებას შეძლებს მომავალი პარლამენტარი, სხვა შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ მომავალმა პარლამენტმა ვადაზე ადრე შეწყვიტოს უფლებამოსილება.

თუ გვინდა, რომ პარლამენტში მოხვედრისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს და იქ მოხვდნენ მხოლოდ განსწავლული და კანონპროექტებზე მომუშავე მაღალი დონის სპეციალისტები, მაშინ პარლამენტარებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი და შეწყდეს პარლამენტის პლენარული სხდომების პირდაპირი ტელერადიოტრანსლაცია. ამ საკითხების გადაწყვეტა დაკავშირებული არ არის არავითარ მატერიალურ დანახარჯებთან. პირიქით, ჩვენი გასაცოდავებული ბიუჯეტი ცოტათი მაინც ამოისუნთქავს.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ჩვენი წინადადების აქტუალობაში, ვთხოვთ, ვისაც ეს ეხება, ამავე გაზეთის მეშვეობით გამოაქვეყნოს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, თუ რა უჯდება სახელმწიფოს ერთი წლის მანძილზე პარლამენტის სხდომების ტელევიზიითა და რადიოთი პირდაპირი ტრანსლაცია. თუ არ ვცდები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, რიგით ამომრჩეველს ასეთი მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს.

აქსიომაა, რომ ყველა ადამიანს აქვს პროფესიული განვითარების ზღვარი. აქედან გამომდინარე, ჩვენმა მომავალმა პარლამენტარებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკუთარი პროფესიული შესაძლებლობების ზღვარი და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრონ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავიანთი კანდიდატურების წამოყენებაზე.

ამასვე მოითხოვდა ბატონი ჯანსუღ ღვინჯილია ამომრჩევლებისგან, როცა ამბობდა: **„მოვიბოვოთ და წინ დავიღოთ პარლამენტის წევრთა სია, სათითაოდ შევისწავლოთ – ვინ რას წარმოადგენს, რა წარსული, რა აწმყო, რა უნარი აქვს, როგორი ოჯახის პატრონია, სად შეცდა, რაში იყო მართალი, რომ ამ ძველი შემადგენლობიდან უღირსები კვლავაც არ მოხვდნენ პარლამენტში“**.

მომავალმა პარლამენტარებმა კი, მთელი სივრძე-სივრცით უნდა გაიაზრონ ის, რომ შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო, ქართველი გლეხი მასობრივად ტოვებს სოფელს და ლუკმა-პურს ისედაც

გალატაკებულ ქალაქში დაეძებს, რის გამოც ქვეყნის დოვლათის შემქმნელი მომხმარებლად ვაქციეთ, ანალოგიური მდგომარეობაა ქალაქში. კვალიფიციური ქართველი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფაბრიკებისა და ქარხნების მიღმა დარჩა. ეს იმის შედეგია, რომ რეალურ ფასად შექმნილი მისი პროდუქცია განდევნა დემპინგურმა, ანუ ჩვენი დაცობისათვის ხელოვნურად ჩამოყალიბებულმა ფასებმა. მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში ეს პროცესები ეკონომიკური ბერკეტებით წესრიგდება. ჩვენთან კი პირიქით ხდება – ამ ბერკეტების არასწორად გამოყენებამ ჩვენს ქვეყანაში წარმოება მოშალა და დაანგრია.

საბედნიეროდ, ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ჯერ კიდევ არსებობს. ქვეყნის ტრადიციული და პრიორიტეტული დარგები კვლავ აღორძინდება. თუ ახალი მოწვევის პარლამენტი ამ მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრავს და დაამტკიცებს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ახალ პოლიტიკას.

და მაინც, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ვის დაუჭიროთ მხარი?

მას, ვინც ფიცს დასდებს, რომ პასუხს გასცემს გურამ ფანჯიკიძის მიერ თავის ღროხე დასმულ შემდეგ შეკითხვებს:

– „ვინ არიან ის პიროვნებანი, რომელთა ხელში თავს იყრის მთელი ქართული ეროვნული სიმდიდრე? იქნებ დაგვისახელოთ ის პიროვნებანი, რომლებიც გარკვეულ დარგებში იბრძვიან მონოპოლიისათვის? ვის ეკუთვნის ის სასახლეები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თბილისისა და თბილისის გარეუბნებში, რომ შენდება აშკარად, მოურიდებლად და უტიფრად? ვინ არიან ის ადამიანები, ვინც არად აგდებენ ხალხის საყოველთაო გაჭირვებას?“

ბოლოს, ორი რჩევა ამომრჩევლებს:

– მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ მხოლოდ უნაგარო, პროფესიონალ ეკონომისტებს, იურისტებსა და პოლიტოლოგებს, რომელთა დეპუტატად არჩევა გახდება მტკიცე გარანტი იმისა, რომ ახალმა პარლამენტმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც საქართველოში რეალურად აღორძინებს მრეწველობას, მასობრივად დაასაქმებს ასიათასობით უმუშევარს და შექმნის მოსახლეობის საშუალო ფენას, ე.ი. გადაარჩენს საქართველოს.

—გავითვალისწინოთ ცნობილი ინგლისელი მწერლის ედმუნდ ბერკის ნათქვამი: „იმისათვის, რომ ბოროტებამ იზეიმოს, საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — პატიოსანი ადამიანები გულხელდაკრეფილები ისხდნენ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ მომავალი არჩევნებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რათა მოსახლეობის მაქსიმალური აქტიურობით გამოირიცხოს არჩევნების გაყალბების მცდელობები და, რაც მთავარია, ყველამ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია რეფერენდუმთან დაკავშირებით, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას, ხელს გვაძლევს თუ არა მომავალში პარლამენტის წევრთა ყოვლად გაუმართლებელი რიცხოვნობის შემცირება? სხვას რომ თავი დავანებოთ, რა ნორმებში ზის ის ფაქტი, რომ ულარიბესი ბიუჯეტის მქონე ქვეყნის პარლამენტში თითქმის ორნახევარჯერ მეტი დეპუტატი გვყავს, ვიდრე უმდიდრეს ისრაელის ქნესეთში?

**ანზორ ბაბუხაძია**  
**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,**  
**5 ოქტომბერი. 2003 წელი**

# პრობლემა ნოემბრი პირველი

ძლიერს ჩხუბსა და აყალმაყალს ვერავენ გაუბედავს. არადა, ჩვენს ქვეყანაში ბევრი უბედურება, მათ შორის ყველაზე დიდი სატკივარი ტერიტორიული ერთიანობის პრობლემა სწორედ იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ ძალზე სუსტები ვართ, ამიტომ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ის პრობლემა, რომლის შესახებაც საუბრობს ჩვენი გაზეთის რედაქტორთა საბჭოს წევრი, ბატონი ანზორ ბაბუხაძე.

მინდა ზაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ თემამ მისი სულგანათლებული მამა, ერთ-ერთი უსაყვარლესი პედაგოგი ლევან ბაბუხაძეა მომაგონა. სხვათა შორის, ამ საოცრად საინტერესო პიროვნებას ამ დღეებში 90 წელი შეუსრულდებოდა.

მახსოვს, მეათეკლასელებს ჩვენი სკოლის დირექტორმა ნიკოლოზ არველაძემ სამხარულებიანი ახალგაზრდა წარმოგვიდგინა: დღეიდან სამხედრო საქმის მასწავლებლად სახელგანთქმული ოფიცერი, კურილის კუნძულების პირველი საბჭოთა გუბერნატორი ლევან ბაბუხაძეა გვეყოლებათო.

ეს სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის და მეამაყება, რომ სულგანათლებული ლევან ბაბუხაძეას შვილი დღეს ჩემი მეგობარი და თანამოკალმეა.

\* \* \*

მეორე მსოფლიო ომის წინა და შემდეგდროინდელ პირველ ათწლეულში სამხედრო სამსახური საქართველოში ფრიად პრესტიჟულად ითვლებოდა. ქართული გენერალიტეტი და ოფიცერთა კორპუსი მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი გამორჩეული ამიტომაც იყო.

მერე?

მერე ყველაფერი შეგნებულად დაგვაგვიწყეს, რადგან 1956 წლის 9 მარტის შემდეგ იმპერიის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ ახლოვდებოდა ის დრო, როცა მიჯაჭვული ამირანი თავს აიშვებდა და ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართველ კაცს სამხედრო საქმე შეეძლებინა. ეს შემთხვევით არ ხდებოდა, იცოდნენ, რომ ქვეყნის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა შეუძლებელია, თუ მის სადარაჯოზე ჯარისკაცი არ დგას.

საბჭოთა არმიაში სამსახურს თავი ავარიდებო, ტრავმას მავანი და ცდილობს ეს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობად მიითვალოს, არადა, სულმნათ აკაკის სრულიად განსხვავებულად ესაზებოდა საქართველოს გათავისუფლება. ოცნებობდა, გენერალი გამხდარიყო.

გენერლები დღეს ბევრი გვყავს, ღმერთო შევცოდებ და ლამის წამომცდეს, ჯარისკაცებზე მეტი-თქო. მაგრამ ამ გენერლებიდან არც ერთი არ არის არც ჩანჩიბაძე, არც ლესელიძე და არც ის ნიკოლოზ თავართქილაძე, რომელმაც გენერალ როდიმცვეთან ერთად სტალინგრადის მარყუჟი შეკრა.

არადა, მათი მსგავსი გენერლები აუცილებლად უნდა გვყავდეს, უნდა გვყავდეს ჯარისკაცებიცა და ჯარისქალებიც, რადგან გენერალიც, მარშალიც და გენერალსიმუხიც ჯარისკაცობიდან და ჯარისქალობიდან იწყება.

## ალ. შენგელია

ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობის პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირების სურვილი აღმიძრა საქართველოს პრეზიდენტის (ედ. შვეარდნაძე) მიერ წარმოთქმული სიტყვის გაცნობამ, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა სათაურით: „შეიარაღებული ძალების მშენებლობა უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი ქართული საზოგადოების ფორმირების ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილი“.

დილექტანტის პოზიციიდან ეგებ არც არის გამართლებული შევაფასოთ ეს საკმაოდ ვრცელი მასალა. მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ მასში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ თეზისთან დაკავშირებით მოსაზრება გამოვთქვა (უფლებასთან დაკავშირებით ცოტა ქვემოთ).

ახლოულტურად ვეთანხმები ბატონ პრეზიდენტს იმასთან დაკავშირებით, რომ: „ნატოში გასაწევრიანებლად აუცილებელია სახელმწიფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაცია; საქართველო ვერ განახორციელებს სამხედრო მშენებლობის ურთულეს პროცესს, თუ არ ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „სამხედრო ინტელიგენცია“. როცა ვსა-

უბრობთ ჯარისკაცებზე, ოფიცრებზე, გენერლებზე, მთლიანად შეიარაღებულ ძალებზე, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სწორედ ეს ფენაა ყველაზე პრიორიტეტული, საამაყო და, თუ გნებავთ, პრივილეგირებულიც. შემაშფოთებელია სწორედ ის, რომ ქართველ ჯარისკაცებს შორის, თითქმის ვერ ნახავთ შეძლებული ოჯახების შვილებს. არადა, როდესაც ჯარში სამხედრო ვალდებულებას შეძლებული და გავლენიანი ოჯახის შვილებიც მოიხდიან, გაცილებით მეტი იქნება კონტროლი, მხარდაჭერა და პასუხისმგებლობა იმ სამხედრო ნაწილების ინფრასტრუქტურისადმი, სადაც მათი შვილები იმსახურებენ; დაღა დრო შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან ერთად, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ვაქციოთ სამოზოლიზაციო რეზერვების შექმნა. ამ მხრივ უნიკალური გამოცდილება დაგროვდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (შვეიცარია, ისრაელი)“.

ზუსტად ამ ბოლო თეზისმა გადამაწყვეტინა გამოძეთქვა ჩემი მოსაზრება ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან დაკავშირებით, თუმცა, ჯერჯერობით, ზემოთ შეპირებული „უფლების“ თაობაზე მცირეოდენი განმარტება.

როდესაც პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების სურვილი გამიჩნდა, დაფიქრდი – მე, ეკონომისტ კაცს, რომელსაც ჩემს დროს დამკვიდრებული უკუღმართი ნორმების გამო, სავალდებულო სამხედრო სამსახურიც კი არ გამივლია, მაქვს კი უფლება საკუთარი აზრი გამოვთქვა სამხედრო აღმშენებლობის პრობლემასთან დაკავშირებით? ბევრი ფიქრის შემდეგ, ასეთი უფლება თავად მივეცი ჩემს თავს შემდეგი გარემოებების გამო: ჩემი ძმა – რუსლანი და მე, დავიბადეთ გაზურებული ომის დროს სამხედრო მოსამსახურის – თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებულის, შემდგომში კურილის კუნძულების პირველი საბჭოთა გუბერნატორის, ლევან ბაბუხადასა და ნინო შავლიას ოჯახში – წყნარი ოკეანის სანაპიროზე, შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე. დემობილიზაციის შემდეგ ომიდან დაბრუნებულმა ოფიცერმა მუშაობა დაიწყო სამხედრო საქმის მასწავლებლად ქუთაისის ვაჟთა პირველ და რკინიგზის მეოცე საშუალო სკოლებში. შვილებსაც „სამხედრო წესებით“ გვზრდიდა; მის მიერ და-

მტკიცებული დღის რეჟიმის დაცვა სავალდებულო იყო; დაძინების წინ, საწოლთან უნდა დაგვეწყო ტანსაცმლის სრული კომპლექტი, რათა დილით არ გვეძებნა რაიმე; ხშირად წამზომით ხელში საკუთარი ლოგინის გასწორებასა და სასწრაფოდ ჩაცმაშიც კი გვაჯიბრებდა ერთმანეთს; სკოლაში წასვლამდე ჩვენი წილი ოჯახური საქმეები უნდა მოგვეგვარებინა, მე, პურის მოტანა მევალებოდა (დიდი რიგები იყო), უფროს ძმას – ლუმელის დანთება, შემის მომზადება, წყლის მომარაგება და ა.შ. ასე რომ ზოგიერთი რამ, რაც ჯვარში 2-3 წლის განმავლობაში უნდა გვესწავლა, მთელი ბავშვობის პერიოდი ოჯახში ვსწავლობდით და გვინდოდა თუ არ გვინდოდა, უყოყმანოდ ვასრულებდით. სხვა რომ არ შემომედავოს, მე თვითონ ვაღიარებ, რომ არც აფხაზეთის ომის მონაწილე ვახლავართ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ 50 წელს მიღწეულს, იარაღი ხელში არასოდეს მჭერია. თუმცა, მთელი ომის პერიოდში საქართველოს საგანგებო სამთავრობო კომისიის წევრი ვახლდით, რომელიც ომის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემებზეც მუშაობდა.

ახლა კი დავუბრუნდეთ მთავარს.

იმისათვის, რომ სამხედრო სამსახური რეალურად გახდეს „სავალდებულო“, ქვეყანამ უნდა გაატაროს რადიკალური ღონისძიებები, რათა ის მართლაც იყოს პრესტიჟული და სავალდებულო. ჩემი აზრით, ამისათვის აუცილებელია:

–საშუალო სკოლებში და სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში იმ დონეზე დადგეს სამხედრო სწავლება, რომ ბავშვებს განურჩევლად სქესისა, ბავშვობიდანვე გავუღვივოთ ინტერესი, პატივისცემა და მოწიწება ამ პრესტიჟული საქმისადმი;

–ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში და სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში რადიკალურად გარდაიქმნას სამხედრო სწავლების სისტემა და ამასთან ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულები არ უნდა გათავისუფლდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან;

–სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს მამაკაცებისათვის ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრუ-

ლებელი და სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებებში ნებისმიერი თანამდებობის (არჩევითიც და დანიშნითიც) დაკავებისას;

—მამაკაცებმა, 60 წლის ასაკამდე, ყოველწლიურად გაიარონ ერთ-ვინი აუცილებელი სამხედრო სამსახური სამუშაოდან მოწყვეტით, ამასთან ყოველგვარი შეღავათისა და გამონაკლისის გარეშე;

—შელავათებისა და გამონაკლისების მიცემის უფლება ამა თუ იმ კონკრეტულ პიროვნებაზე დაამტკიცოს ქვეყნის პარლამენტის პლენარულმა სხდომამ, კანდიდატის აუცილებელი თანდასწრებით.

ცოტას გადაუხვევ და ძალიან მოკლედ, სქემატურად გიამბობთ შვეიცარიაში სამობილიზაციო სამსახურთან დაკავშირებულ ერთ ეპიზოდს. ამ ქვეყანაში ერთ-ერთი ჩასვლისას ოფიციალური შეხვედრა მქონდა რამდენიმე ბიზნესმენტან. მათ შორის ორთან, რომლებიც 60 წლამდე ასაკისა იქნებოდნენ, შედარებით უფრო საქმიანი კონტაქტები დავამყარე და ამიტომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ისევ შვეიცარიაში, კვლავ მომიწია მათთან შეხვედრა. პირველი შეხვედრისას ჩვეულებრივად სამუშაო საათებში ვიკრიბებოდით. მეორედ ჩასვლისას კი შეხვედრის დროს საღამოს 8-9 საათზე დამინიშნეს.

რა გაეწყობოდა?

შეხვედრაზე ორი სამხედრო ფორმიანი უცხო მამაკაცი მოვიდა.

რა თქმა უნდა, გამიკვირდა, მაგრამ, როგორც კარგ ნაცნობს და ახლობელს, ისე რომ მომიახლოვდნენ და მომესალმნენ, ყურადღების მომენტალური დაძაბვით დავადგინე, რომ ჩემს წინ ის ორი ჩემი ნაცნობი შვეიცარიელი ბიზნესმენი იდგა. გაკვირვება რომ შემატყვევს, ჩემს შეკითხვას არ დაელოდნენ და თავად დაწვრილებით მიაშვეს სამხედრო ფორმაში ჩემთან მოსვლის მიზეზი.

ჩემს ათასგვარ შეკითხვებზე ლეტალური პასუხის შემდეგ დავადგინე, რომ 60 წლამდე ასაკის შვეიცარიელი მამაკაცი, ჩინის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა ნებისმიერი მდგომარეობის მიუხედავად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, წელიწადში ერთხელ, ერთი თვით ხდება სამხედრო მოსამსახურე ამ სიტყვის აბსოლუტური და პირდაპირი მნიშვნელობით.

სხვა უამრავ საკითხში შვეიცარიას ძალიან დიდხანს რომ ვერ გავუ-



ტოლდებით, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყანა აღმზრდელობითი, სამხედრო აღმშენებლობისა და სამობილიზაციო საქმიანობის რეალურად გარდაქმნის მიზნით, სათანადო სახელმწიფო პროგრამას შეიმუშავებს, მის აუცილებელ შესრულებას დაამტკიცებს და უზრუნველყოფს „სტალინური დისციპლინის“ ღონეზე, მაშინ ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემა თანდათან გადაწყდება და საქართველოსაც ეშველება – დიდგორის გამეორებას კიდევ შევძლებთ!

*P.S. ვისაც ხელს არ აძლევს შემოთავაზებული წინადადების განხორციელება, შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით არ არის მზად ამისათვის და ათასგვარი მსგავსი მიზეზით დაიწყებენ სათანადო მოტივების ძებნას.*

*ჩემი აზრით, იმის მიზეზების ძებნას, თუ როგორ არ განხორციელდეს ეს წინადადება, აჯობებს ყველამ ერთად იმაზე ვიფიქროთ, როგორ მოვახდინოთ ამ იდეის რეალიზება. პირადად მე რაღაც პოზიციები ამასთან დაკავშირებით მოფიქრებული მაქვს და პრობლემის დადებითად გადაწყვეტით დაინტერესებულ მხარესთან სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ღებატებში.*

**ანზორ ბაბუხაძე**  
გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,  
ნოემბერი, 2003 წ.

# პრივატიზაცია - შესაძლებელია თუ დასაშვებია?!

პრესაში ბევრი წერილი გამოქვეყნდა, რომელთა ავტორი, ჩვენი გაზეთის რედაქტორთა საბჭოს წევრი და მთავარი ეკონომიკური მრჩეველი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ბატონი ანზორ ბაბუხაძია დასაბუთებულად აკრიტიკებდა იმ მცდარ გზას, რომელმაც ჩვენი სამშობლო უღატაკეს ქვეყნად აქცია და ეკონომიკურ კოლაფსში ჩააგდო.

პრივატიზაცია, რომელსაც საქართველოში შემთხვევით როდი უწოდებენ „პრივატიზაცია“, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი არასწორად წარმართვის მოსალოდნელ უმწვავეს შედეგებზე ბატონი ანზორ ბაბუხაძია ჯერ კიდევ 1991 წლის 30 ივლისს წერდა გაზეთ „რესპუბლიკაში“. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა, მაგრამ ყველაფერი არ არის დაკარგული, შეიძლება ზოგიერთი რამის წაღმართად შემობრუნება და სწორედ ამიტომ ვებეჭდავთ ამ მასალას, რათა გარკვეული დროის შემდეგ იგი დღევანდელი რეალობიდან გამოდინარე კვლავ შეფასდეს.

ალ. შენგელია

**სათაურით** „პრივატიზაცია? დიან, მაგრამ...“ გაზეთ „რესპუბლიკაში“, 1991 წლის 30 ივლისს, რუბრიკით — „ეკონომიკური რეფორმა“, გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ ჩემთან — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მაშინდელ წამყვან სახელმწიფო მრჩეველთან ვაჭრობისა და მომსახურების საკითხებში. გულახდილად გეტყვით, რომ ამდენი ხნის გასვლის მიუხედავად, მასში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს ახლაც თამამად მოვაწერდი ხელს, რადგან აქტუალობა მათ არა თუ არ დაუკარგავთ, არამედ, პირიქით — მეჩვენება, რომ რაღაც-რაღაცეები სწორად ვიწინასწარმეტყველე და სამწუხაროდ, ყველაფერი გამართლდა.

ჩვენი პოზიციების კიდევ ერთხელ (თუნდაც დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე) გადამოწმებისა და შეფასების მიზნით, ექსპერტიზა ვთხოვე პროფესიონალ პრაქტიკოს მცირე მეწარმეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს

ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის მრეწველობის სექციის თავმჯდომარეს, ბატონ თამაზ ვაშაკიძეს.

**– ბატონო თამაზ, მოგეხსენებათ, რომ სოციალურ-ეკონომიკური სამართლიანობა და ხალხის კეთილდღეობა უშუალო ურთიერთდამოკიდებულებაშია. ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკის წარმატებით განხორციელება ეფუძნება ქვეყნის ცალკეული მოქალაქის ინტელექტუალურ და ეკონომიკურ პოტენციალს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს სახელმწიფო ქონებაში მისი შესაბამისი თანაბარი და სამართლიანი წილი უნდა მიეჩინოს?**

– ქვეყნის და ხელისუფლების მთავარი მიზანია საქართველოს მოსახლეობას დაუბრუნოს ეკონომიკური უფლება საკუთარი და, რაც მთავარია, კუთვნილი ქონების მფლობელობაზე. საუბარია იმ კაპიტალზე, რომელსაც უნარი აქვს, შექმნას დამატებითი შემოსავალი. ამ კაპიტალის მესაკუთრე ხდება დივიდენდის მომტანი ქონების რეალური მეწილე.

მსოფლიო პრაქტიკით ცნობილია, რომ პრივატიზაციის (და არა „პრიზვატიზაციის“) პროცესი წარმოადგენს სახელმწიფო ქონების გადაცემას კერძო საკუთრებაში. ამ ღონისძიების დედაბრძოლი ეკონომიკის გარკვეული მიმართულების ან დარგის გააქტიურებაში და გამოცოცხლებაში მდგომარეობს და სულაც არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს.

რა მოხდა და რა ხდება ჩვენთან? პრივატიზაციის ჩასატარებლად შექმნილი უნდა იყოს სათანადო, ძალზე სუბიექტური პირობები და მას უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნები:

სტრატეგიულიდან: საქმიანი აქტიურობის ამაღლება, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბება, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია.

ტაქტიკურიდან – ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება და სამომხმარებლო ბაზრის დაბალანსება, სოციალური დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი 1993 წლის მარტში დაიწყო და გაგრძელდა იმის მიუხედავად, რომ სეპარატისტებთან ომში დამარცხდით, ძირძველი მიწები დაკარგეთ, მოსახლეობის პირად ანაბრებზე არსებული სახსრები კი უგზოუკვლოდ ააორთქლეს. ინფლაციამ ამ

პერიოდში 8500%-ს მიაღწია. აქედან გამომდინარე, პრივატიზაციის ჩატარებისათვის არ არსებობდა არც ზნეობრივი, არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური პირობები.

განვიხილოთ რამდენიმე ფაქტი.

ამ ყოვლად გაუმართლებელ პერიოდში გამოიცა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბრძანება სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის სპეციალიზებულ აუქციონზე ნულოვანი საწყისი ფასით გაყიდვის თაობაზე, ასევე გამოცხადდა კომერციული კონკურსი, საინვესტიციო პირობებით სააქციო საზოგადოება „ფოთის გემთსაშენის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად გაყიდვაზე.

ხელოვნურად გამძაფრებულ სიტუაციაში ერის ქონება ასე ჩაუვარდა ხელში ინდივიდებს, რომლებიც მოპოვებული იყო „რუბლით“ გატანილი და გაუფასურებული „კუპონით“ დაფარული სესხებით. ეროვნული ქონების მიტაცების საქმიანობას შეუერთდა ფარული ძალაც, რომელმაც „უძრობის“ პერიოდში, სხვადასხვა არაკანონიერი მაქინაციით კოლოსალური ფულადი რესურსები დააგროვა და პრივატიზაციის ხარჯზე ისინი „გაათეთრა“ და ლეგალური გახადა.

**—მეთანხმებით თუ არა, რომ პრივატიზაციის პროცესი ქვეყანაში ხორციელდებოდა მისი ფინანსური შედეგების გაუანგარიშებლად, არარეალურად დაბალ გასაყიდ ფასებში (ზოგჯერ უფასოდაც); გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად სწრაფ ტემპებში?**

—პრივატიზაცია წარიმართა დამახინჯებული ფორმით და მავანმა ნათესაური, ოჯახური თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხელოვნურად გადაინაწილა ქონება. კლანებს მიეყიდა არა მარტო საწარმოები, არამედ ბანკებიც. შექმნილმა ვითარებამ ბანკების ახალ მფლობელებს საშუალება მისცა, შეეძინათ საპრივატიზაციოდ გამზადებული საწარმოები მათი რეალური ღირებულების 10-15%-ად. თანხას „სესხულობდნენ“ საკუთარ ბანკებში ძალზე „შეღავათიანი პირობებით“. ამის შედეგი იყო, რომ გარიგებებისას სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ იღებდა „ცოცხალ ფულს“. ჩამოყალიბდა სიტუაცია, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას თავისი აქტიურობის პოტენციალის რეალიზაციის საშუალება წაერთვა, ხოლო ეროვნული ქონების არაკანონიერად ხელში ჩა-

მდებებს, პირიქით - ამ ქონების განკარგვის უფლება მიეცათ.

-თითოეული მოქალაქის წილი ქვეყნის საპრივატიზაციო ქონებაში განისაზღვრა ერთი ვაუჩერით, რომლის რეალურ ფასზე საუბარი დღეს უზერუნელიც კი არის. ალბათ, ისიც გახსოვთ, რამდენ ვაუჩერზე იცვლებოდა ერთი ინდაური. იქნებ ვცადოთ და ერთად ავხსნათ ამ „აფიორის“ მექანიზმი?

-ქვეყნის ეკონომიკური სივრცე წარმოვადგინოთ ეროვნული სიმდიდრის ბრუნვის იმ არეალად, რომელშიც ფიჭის მსგავსად იმდენი თანაბარი ზომის უჯრედია, რამდენიც შეესაბამება 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არსებულ მოსახლეობას. ვაუჩერული პრივატიზაციის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობას (იმ დროისათვის 5 მლნ. 100 ათასი კაცს) უნდა მიეღო ამ რაოდენობის შესაბამისი საპრივატიზაციო ბარათი, რომლის ნომინალური ღირებულება უნდა გატოლებოდა საქართველოს მთლიან ეროვნულ სიმდიდრეს (წიაღისეულის და ძირითადი ფონდების ჩათვლით). ეს იმ დროისათვის თითქმის 60 მლრდ დოლარს შეადგენდა. ელემენტარული არითმეტიკული გათვლით ერთი ვაუჩერის ნომინალი თითქმის 12000 აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, მიღებული კაპიტალი საქართველოს თითოეულ მოქალაქეს საშუალებას მისცემდა, დაეკავებინა თავისი კუთვნილი ადგილი ეროვნული კაპიტალბრუნვის სივრცეში, რის შედეგადაც გარანტირებულ შემოსავალს, დივიდენდს მიიღებდა კაპიტალბრუნვაში პასიური მონაწილეობის შემთხვევაშიც კი. ე.ი. საზოგადოების თითოეულ წევრზე გაცემული ეროვნული სიმდიდრის თანაბარი წილი (ვაუჩერის ნომინალი), ანუ ეროვნული სიმდიდრის ჭეშმარიტად თანაბრად განაწილებული ოდენობა, თავისი არსით იქნებოდა საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის მუდმივი წყარო და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი.

სინამდვილეში კი საქართველოს ეროვნული სიმდიდრე რატომღაც მხოლოდ ენერგეტიკის ობიექტების ღირებულებას გაუთანაბრეს, ამასთან ესეც არასწორად, როდესაც მათი შემდგომი პრივატიზაციისათვის მოახდინეს ამ ობიექტების დანაშაულებრივი შეფასება. კერძოდ „ენჯურჰჰესი“ შეფასდა 119 მლნ. აშშ დოლარად, „ჟინვალჰესი“ - 12 მლნ. დოლარად. ამ ციფრების ჯამს თელასის გაყიდვის ფასი - 25 მლნ. აშშ დოლარი რომ დაუმატოთ, მივიღებთ 150 მლნ აშშ დოლარს, ზუსტად

ამ თანხიდან გამომდინარე, 30-დოლარიანი ვაუჩერით შეფასდა საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 5 მლნ. ადამიანზე.

დღეისათვის შექმნილი ვითარება გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ საქართველოს ეროვნული კაპიტალის ბრუნვის სივრცე დაუმსახურებელი დომინანტური უფლებების მითვისებით აღმოჩნდა ქვეყნის მოსახლეობის 2-3 პროცენტის ხელში. ერის უდიდესი ნაწილი კი გაუბედურდა და სიღატაკის უფსკრულში ჩავარდა, მოსახლეობის ყოველი მეორე – სიღარიბის ზღვარს დაბლაა. ამის მიზეზი ისაა, რომ პრივატიზაციის ჩატარებისას შეგნებულად არ ისარგებლეს უმარტივესი და სამართლიანი პრინციპით. ყველაფერი განაწილდეს თანაბრად, ყველაზე! ასეთმა ქმედებებმა გამოიწვია საზოგადოების უდიდესი ნაწილის კაპიტალბრუნვაში პარიტეტული მონაწილეობისაგან იზოლირება. ამით კი უმცირესობას უკანონოდ გაუთავისუფლა გზა კაპიტალბრუნვის საღვიდენლო ნაწილსაკენ.

ქონება დარიგდა ისე, როგორც ამას ფეოდალური საზოგადოების დროს ახორციელებდნენ. ვგულისხმობთ იმას, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა არა კანონისა და სამართლიანობის უზენაესობით, არამედ პირადი ან კლანური დამოკიდებულებებისა და კავშირების საფუძველზე.

—საგულისხმოა, რომ XX საუკუნის ბოლოს სხვადასხვა დონით იგივე მოხდა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში. ამით მოსახლეობას წაართვეს ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება. მას დაუტოვეს მხოლოდ პროლეტარიატის ფუნქციები, ვინაიდან ხელიდან გამოაცალეს ინიციატივის, სამეწარმეო საქმიანობის გამოაშკარავების პოტენციალი — მისი კუთვნილი კაპიტალი, სიმდიდრე.

—ნაციონალური ქონების სამეურნეო ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალი, თანაბარ წილებში ეკუთვნის ქვეყნის ყველა მოქალაქეს და მათ უნდა გადაეცეს ნებისმიერი მისაღები ფორმით. აღნიშნული შემოსავალი წარმოადგენს ნაციონალურ ღვიდენდს. საჭიროა, მისი განაწილება დარეგულირდეს კანონით. მეთანხმებით?

პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საქართველოს იმ პრივატიზებულ საწარმოთა მეპატრონეებმა, რომლებსაც შეეძლოთ გარკვეული წილი შეეტანათ ქვეყნის ნაციონალური ღვიდენდის შექმნაში, ხოლო დღეისათვის პრივატიზებულნი არიან, პერიოდულ

პრესაში უნდა გამოაქვეყნონ ყველა საბუთი, რომლებიც მათი საწარმოების პრივატიზაციას ეხება. სპეციალურმა კომისიამ (ქართული და უცხოური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით) უნდა დაადასტუროს პრივატიზაციის ფაქტის იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი. ამგვარი ღონისძიებები შესაბამისი კანონის საფუძველზე რამდენიმე ქვეყანაში ჩატარდა. მაგალითად, ესტონეთში, მიღებულია კანონი „საკუთრების რეფორმის საფუძვლების“ შესახებ და ამ კანონზე დაყრდნობით სახელმწიფოს საშუალება მიეცა შესაბამისი მატერიალური კომპენსაციით დაარღვიოს პრივატიზაციის ხელშეკრულებები არაკანონიერად პრივატიზებული ობიექტების მეპატრონეებთან.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლება სათანადო დასკვნებს გააკეთებს და იმოქმედებს პრინციპით: ყველაფერი განაწილდეს თანაბრად, ყველაზე!

ესაუბრა ანზორ ბაბუნაძია  
გაზეთი „საქარკმელი საქართველოსი“,  
იანვარ-თებერვალი, 2004 წ.

# კვლავას ვნეროთ და ჩვენვე ვიქითხოთ?!

„ღამატხული ექსპრტიმენცი“,  
ტომლის შიქეთასქმლომის გამო სასქლმქითო  
მიოქყყცმა მილიონები დაკატგა

„ვარდების რევოლუციამ“ უახლოესი წარსულიდან არაერთი ნაიარვეი ვაგვახსენა, უპირველესად კი – კორუმპირებულ მაღალჩინოსანთა მიერ ნაკეთები შავი საქმეები, რომლებიც ახლა გამოწვლილვით იქექება, ამის პარალელურად, მეც, არცთუ შემთხვევით, მეხსიერებაში ამომიტივტივდა ერთი ფრიად საინტერესო ექსპერიმენტი, რომელიც ქართველი ჩინოვნიკების წაყრუებით, უსულგულობით თუ უპასუხისმგებლობით ვერ გაიყინა, ხოლო შემდეგ საგულდაგულოდ დაიმარხა.

მკითხველს დრო რომ არ დავაკარგვინო, პირდაპირ საქმეზე გადავალ. დავიწყებ თავად ექსპერიმენტის ავტორის, ბატონ ანზორ ბაბუხადაის პერსონის გაცნობით. იგი წლების მანძილზე ვაჭრობის სამინისტროში თავკაცობდა შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის, საგემო-ეკონომიკურ, ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოებს, თბილისის აღმასკომის ვაჭრობისა და მომსახურების განყოფილებას, მუშაობდა ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებში მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველად. მას მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება, არის ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე და მცირე მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

კიდევ რა რეგალიებს უნდა ფლობდეს კაცი, რომ თავის „სამწყსოში“ სიტყვა ეთქმოდეს? აკი თქვა კიდევ, მაგრამ პიროვნებას, რომელსაც სიზმარიც დაევერება, მხარი არავინ აუბა, უფრო მეტიც, საქვეწო საქმის კეთებაში ხელიც შეუშალეს.

თავი დავანებოთ რეგალიებს, რომელიც ანზორ ბაბუხადაის შეიძლება იმდენად არ ამშვენებდეს, რამდენადაც განვლილი წლების მდიდარი ცხოვრე-



ბისეული გამოცდილება. სწორედ ამ გამოცდილებამ უკარნახა ნაღვაწ სპეციალისტს ჯერ თბილისის რამდენიმე ობიექტში, ხოლო შემდეგ ქუთაისის სავაჭრო ქსელში 1992-1993 წლებში ჩატარებინა ექსპერიმენტი ფიქსირებული გადასახადის შემოღების თაობაზე. შედეგები მოსალოდნელზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა, მაგრამ იმ პერიოდში გართულებული სიტუაციის გამო ექსპერიმენტის მოქმედება დროზე ადრე შეჩერდა.

კონკრეტულად რა ექსპერიმენტზეა ლაპარაკი და რა შედეგის მოტანა შეუძლია მას როგორც მეწარმის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის?

როგორც თავად ანზორ ბაბუხაღია განმარტავს, ექსპერიმენტის წესით მუშაობის პირობები ნებაყოფლობით, ანტიმონოპოლიური კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ვრცელდება საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე. თუ ეს ობიექტები თანხმობას განაცხადებენ ამ წესით მუშაობაზე და გააფორმებენ ხელშეკრულებას ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შესაბამის სამსახურებთან, თავისუფლდებიან ყველა სახის გადასახადისგან. სამაგიეროდ ყოველი საანგარიშო თვის დამთავრებიდან 10 დღის ვადაში, ფიქსირებული გადასახადის სახით, იხდიან უკანასკნელი 6 თვის შედეგებით გამოყვანილი საშუალო თვიური საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შენატანების ორჯერ გაზრდილი მოცულობის თანხას. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადი კორექტირებას არ ექვემდებარება, გარდა ფორსმაჟორული სიტუაციისა. მომდევნო წლებში გადასახადის ოდენობა გადაისინჯება ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონის შესაბამისად.

რა თქმა უნდა, ყოველი ექსპერიმენტის რაობა შედეგით იზომება. შედეგი კი არცთუ ურიგო იქნება. ჯერ ერთი, მარტივდება ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში აღრიცხვა-ანგარიშგების არსებული სისტემა, ორჯერ გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები, შეიქმნება კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლის წინაპირობა და მეორეც, ამ სფეროს მუშაკები თავს დაადგენენ „შემოწმებელთა“ მუდმივ შემოტევას, შიშის, შეურაცხყოფის, დამცირების განცდებს, იბულებული აღარ იქნებიან ჩაიხინონ დანაშაული, გააყალბონ ანგარიშგებები, სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალონ რეალური შემოსავლები.

ეს რომ ნამდვილად ასეა, პირადად დავრწმუნდი, როცა გავესაუბრე ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ მუშაკებს. როგორც ისინი აცხადებენ, სიამოვნებით გადაიხდიან ყოველი თვის დასაწყისში ფიქსირებული გადასახადით დაწესებულ ორჯერ მეტ თანხას, თუკი ჩამოიცი-

ლებენ ამდენ აბეზარ მაკონტროლებელს, რომელთა გაზრდილი კორუფციული მალა დიდად აზარალებს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ისე თავად მეწარმეთა ჯიბეს.

საკვირველია, არა? თუ ექსპერიმენტით ობიექტებიც მოგებული დარჩებიან და ბიუჯეტიც, მაშინ მაღალჩინოსანი მოხელეები პირში წყალს რატომ იგუბებენ? ამას რომ პასუხი ვერ მოეძებნა, ანზორ ბაბუხაძია იძულებული გახდა, ქვეყნის პრეზიდენტისათვის წერილით მიემართა, რომელიც, როგორც ჩანს, გულდასმით გაეცნო მის შინაარსს და დააწერა: „ბატონებს: ვ. პაპავას, დ. ჩიკვილაძეს, ქალბატონ თ. ბერუჩაშვილს, პრობლემა ყურადსაღებია, შეიკრიბეთ, განიხილეთ პროექტის ავტორის მონაწილეობით, წარმოადგინეთ შეთანხმებული წინადადება. ე. შევარდნაძე, 1999 წლის 20 დეკემბერი, №9600“.

პრეზიდენტმა კი დაავალა, თანაც დააწერა „ყურადსაღებიაო“, მაგრამ როგორ შესრულდა? რომ ვთქვა, მაშინდელი მინისტრები საყურადღებო პრობლემას უყურადღებოდ მოეკიდნენ-მეთქი, შეიძლება მკაცრად ნათქვამი გამომივიდეს, თუმცა თვითონ ფაქტი უფრო მკაცრად გამოიყურება. პრეზიდენტის დავალებაც ადრესატებმა აინუნშიც არ ჩააგდეს. დეკემბერიც გავიდა, იანვარიც, თებერვალიც, მინისტრების დონეზე არავითარი შეკრება არ მომხდარა. მათ დრო ვერ გამოიხატეს შესვედროდნენ პროექტის ავტორს, რათა მოემზადებინათ და წარედგინათ წინადადებები ქვეყნის მეთაურისათვის.

ამავე პრობლემასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ წერილზე იყო მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის ვ. ლორთქიფანიძის კონკრეტული დავალებაც: „ბატონებს დ. ონოფრიშვილს, მ. მაჭავარიანს, ვ. პაპავას, ვთხოვთ, არსებული წესის შესაბამისად მოამზადოთ და წარმოადგინოთ კანონ-პროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (16.02.2000 წ.) შეიძლება გვევარაუდა, რომ პრობლემა ახლა მაინც დაიძვრებოდა მკვლარი წერტილიდან, მაგრამ პროგნოზი ამჯერადაც ნაადრევი აღმოჩნდა.

არც შემდგომ დამცხრალა ანზორ ბაბუხაძიას საექსპერიმენტო ენთუზიზმი. 2000 წლის ივლისში მან ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს ვ. ჩხარტიშვილს, ფინანსთა მინისტრს ზ. ნოღაიდელს, საგადასახადო შემოსავლების მინისტრს მ. მაჭავარიანს, იგი წერდა, რომ ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პრობლემის დეტალურად შესწავლის, გარკვეული აპრობაციის, ექსპერიმენტის ჩა-

ტარებისა და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე, რათა, ბოლოს და ბოლოს, გამოირიცხოს კოდექსის ყოველი ფენის ნაბიჯზე დაუსაბუთებელი, გაუნალიზებელი და ყოვლად გაუმართლებელი ცვლილებები. ეს წერილიც, როგორც წესი, ურეაგირებოდ ღარჩა.

და ის წერილებიც, რომლებიც იგივე პრობლემასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა: „გაყინული ექსპერიმენტი, ანუ მინისტრებმა პრეზიდენტის დავალება მიიყურისძირეს“ (17.02.2000 წ.) „ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ხომ არ აკეთებენ?“ (23.03.2000 წ.) ანალოგიური მასალები დასტამბეს სხვა გაზეთებმაც. სწორედ ამაზეა ნათქვამი, წერე და იკითხე!

ბუნებრივად იბადება კითხვები: რატომ არ აძლევდათ ხელს მაშინდელი მთავრობის წევრებს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი გაზრდა, თანაც თუ ეს მოხდებოდა დამატებითი ხარჯების გარეშე? რატომ არ სურდათ მათ კორუფციის სათავეებთან შებმა და ხელოვნურად ჩახლართულ საგადასახადო კოდექსში სიცხადის შეტანა?

ექსპერიმენტის ავტორს ამაზე ერთი პასუხი აქვს: – მღვრიე წყალში თევზის ჭერა უფრო იოლი იყო და იმიტომ. თუმცა ამას ცხადლივ არავინ ამბობდა. ვერ ვნახე ვერავინ, ვერც პარლამენტარი, ვერც სახელმწიფო მოხელე, ვინც დამარწმუნებდა, რომ სწორი არ ვიყავი. სიტყვით ყველა მეთანხმებოდა, მაგრამ რეალურ საქმეს ყველა თავს არიდებდა.

**– ბატონო ანზორ, – ვუბნები, – ფიქსირებულ გადასახადს სულაც იმის გამო ხომ არ ითვალისწინებდნენ, რომ ის უკვე განვიღი დროის პროლექტია?**

– რა თქმა უნდა, იგი არ მიეკუთვნება ცივილიზებულ გადასახადთა ნუსხას, მაგრამ ზუსტად მიესადაგება ჩვენი ქვეყნის განვითარების იმ ეტაპს, რომელზეც ახლა ვიმყოფებით. ფიქსირებული გადასახადით მანამდე ვისარგებლოთ, სანამ გვჭირდება და მერე დავეშვებოდით.

...დღეს ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში მომხდარ ცვლილებათა კვალობაზე, სიახლის მოლოდინშია ეკონომიკაც, ამის იმედით გავბედე წლების წინათ მივიწყებული თუ, როგორც წერილს ქვესათაურად შევარქვი, „ღამარხული ექსპერიმენტის“ კიდევ ერთხელ მზის სინათლეზე გამოტანა.

**ოთარ ხუციშვილი**

**„საქართველოს რესპუბლიკა“,  
5 თებერვალი, 2004 წელი**

# თაკაალ ნაკოთი ალბანესიული ნანიაესუი

ამას წინათ კინოტეატრ „ამირანში“ შეკერებულ ბიზნესმენებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ქვეყანაში მაქსიმალურად აღმოიფხვრება კორუფცია და შეიქმნება მომგებიანი საინვესტიციო გარემო. ჩვენ გვყავს ძალიან საინტერესო, ძლიერი, მათ შორის საერთაშორისო გამოცდილების ბიზნესმენები. ამ ხალხს უნდა შეეუქმნათ მუშაობის პირობები“. ამასთან, პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა ბიზნესმენებისთვის მისაღები საგადასახადო გარემოს შექმნაზე, მათთვის საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ხელშეწყობაზე. როგორც მან თქვა, საქართველოს საგადასახადო სისტემა ძალიან გართულებულია, უნდა შეიცვალოს და გამარტივდეს.

— როგორც ვიცი, — ვუბნები ცნობილ ეკონომისტსა და სპეციალისტს, ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარეს ანზორ ბაბუხადას, — ამ ბიზნესმენტა შეხვედრაზე თქვენც იყავით. რაიმე აზრი ხომ არ გამოგიტყვამთ?

— შეხვედრაზე კი ვიყავი, მაგრამ არ გამოვსულვარ. უფრო იმიტომ, რომ ვერ მოვიხელთე განსახილველი დოკუმენტის პროექტი, რათა მის ირგვლივ საკუთარი პოზიცია ჩამომეყალიბებინა. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ იქ ვერ შეიქმნა საქმიანი ატმოსფერო. მეტსაც გეტყვით, შეხვედრის ბოლოს მისი მონაწილეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ — ჩვენი წინადადებები განხილული პრობლემის თაობაზე ვის ჩავაბართო! იმედი მაქვს, რომ მომავალში ასეთი გაუგებრობები აღმოიფხვრება, რაც საკეთებელ საქმეს რეალურად წაადგება.

— ბატონო ანზორ, ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნე კრიტიკული სტატია „კვლავაც ვწერთ და ჩვენვე ვიკითხვით?!“ რომელიც შეეხებოდა საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფასთან დაკავშირებით თქვენს ადრინდელ ექსპერიმენტს, რომლის შეუფასებლობის გამო სახელმწიფო ბიუჯეტმა თავის დროზე მილიონები დაკარგა, ხელისუფლების მხრიდან გაზეთის რედაქციას ამჯერადაც არავინ გამოხმაურებია. იქნებ თქვენ მაინც შეგეხმიანენ?

—გულახდილად გეცყვით, იმ სტატიის მძაფრმა ტონმა ცოტა არ იყოს ამაფორიაქა. ვიფიქრე, ძველი დრო ხომ წავიდა, ახლა მაინც ატყდება ერთი აჟიოტაჟი-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც მოვტყუვდი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სპეციალისტებთან საქმიანი შეხვედრები არც წინა ხელისუფლებას აინტერესებდა და ჯერჯერობით ვერც ახალი ხელისუფლება პოულობს დროს ამისათვის.

**—ამის მიუხედავად, პრეზიდენტი გვპირდება, რომ ის თამაშის წესები, რომლებიც აქამდე არსებობდა ქვეყანაში და ბიზნესმენებს გადასახადის დამალვასა და ქრთამის გადახდას აიძულებდა, შეიცვლება.**

—ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს. ფაქტია, რომ ქვეყანაში პროლუქციის წარმოების დაცემა ძირითადად არასწორმა, მოუფიქრებელმა და არაეფექტურმა საგადასახადო პოლიტიკამ განაპირობა. არახელსაყრელი გახდა კვების პროდუქტების წარმოებაც კი. პარადოქსია, რომ საქართველო სასურსათო დანხარებას სთხოვს საზღვარგარეთს და მშვიდად აღიქვამს სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილ უმწვავეს კრიზისს. ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა „რეფორმატორებმა“ ნამდვილად „სასწაული“ მოახდინეს: წარმოების არნახული ნგრევის, მოსახლეობის რეალური შემოსავალების დაცემის ფონზე ქვეყანა მომხმარებლების საზოგადოებად აქციეს.

**—ბატონო ანზორ, თქვენ ადრეც და ახლაც ფიქსირებული გადასახადების შემოღების მომხრე იყავით და ხართ, მაგრამ, როგორც ვიცი, ეს წარმოების ყველა სფეროს არ შეეხება.**

—მართალი ხართ, ბოლო დროს, ვინც იცის და არ იცი, ვისაც ეხება და არ ეხება, მასმედიაში და, განსაკუთრებით პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში, ძალზე განშირდა საუბრები და დაპირებები ფიქსირებული გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით. მიმანჩია, რომ ასე ხელალებით, არაკომპეტენტურად და დაუსაბუთებლად ამ თემით სპეკულირება გაუმართლებელია. უფრო მეტიც, ვერავითარ სახელმწიფოებრივ მიდგომას ვერ ვხედავ, როცა პურის საცხობზე ან თუნდაც აფთიაქზე ითხოვენ ფიქსირებული გადასახადების შემოღებას, ამ საწარმოებში, სადაც გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა არავითარ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, ან იმ საწარმოებში, სადაც ყველა გაყიდული ერთეული მკაცრ აღრიცხვას უნდა ექვემდებარებოდეს, ფიქსირებული გადასახადების შემოღების მიზანშეწონილობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

კიდევ ერთხელ ხმაძალა ვაცხადებ, რომ ფიქსირებული გადასახადების შემოღება ძირითადად გამართლებულია ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების ობიექტებში (მათი სიდიდის მიუხედავად), სადაც გაყიდული საქონლის ან გაწეული მომსახურების ზუსტი აღრიცხვა ამ ეტაპზე შეუძლებელია. სამწუხაროდ, ეს ეტაპი როდის დასრულდება, ამის თქმა, დღევანდელი ტემპისა და რეალობის გათვალისწინებით, ასევე შეუძლებელია.

**—საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის ესა თუ ის ვარიანტი, მისი პრაქტიკაში დანერგვის შედეგით განისაზღვრება. თქვენი აზრით, როგორი იქნება თქვენეული ვარიანტის ნაყოფი?**

—შედეგი არცთუ ურიგო იქნება: ჯერ ერთი, მარტივდება ვაჭრობასა და მომსახურების ობიექტებში აღრიცხვა-ანგარიშგების არსებული სისტემა. ორჯერ გაიზრდება ამ სფეროში საბიუჯეტო შემოსავლები, შეიქმნება კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლის წინაპირობა და, მეორეც, ამ სფეროს მუშაკები თავს დააღწევენ „შემოღებულთა“ მუდმივ შემოტევებს, შიმის, შეურაცხყოფის, დამცირების განცდებს. იძულებული აღარ იქნებიან ჩაიღინონ დანაშაული. გააყალბონ ანგარიშგებები, სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალონ რეალური შემოსავლები.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ ყველა დაინტერესებულ მხარეს, სასწრაფოდ განიხილონ პრობლემის ძირითადი ასპექტები, რათა გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საბოლოოდ დაიხვეწოს და განისაზღვროს ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მკვლარი წერტილიდან დაძვრის მექანიზმი და მიმართულებები.

**—თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს შეექმნათ რეალური პირობები თავიანთი საქმიანობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის?**

—მიმაჩნია, რომ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანებისა და გამსხვილების ხარჯზე უნდა შეიქმნას მართვის გარკვეული რგოლი, რომელიც რეალურად მოაგვარებს მცირე და საშუალო საწარმოთა წინაშე მდგომ უამრავ პრობლემას. იგი უნდა იყოს შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის მთავარი და რეალური კოორდინატორი.

რადიკალური ღონისძიებები უნდა გატარდეს მცირე და საშუალო საწარმოთა დაბეგვრის სისტემის გამარტივებისათვის, რაც უნდა განხორციელდეს საგადასახადო კოდექსის ალტერნატიული ვარიანტების თამამი ძიების გზით. ეს ვარიანტები სხვადასხვა დონეზე უკვე დამუშავ-

ბულია, მაგრამ საჭიროა მათი ოპერატიული განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება. ქვეყანამ თამამად უნდა განახორციელოს თუნდაც არაპოპულარული ღონისძიებები, თუკი ისინი უზრუნველყოფენ მოსახლეობის მაქსიმალურ დასაქმებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

რეალურად უნდა გადაწყდეს მცირე და საშუალო საწარმოების შემოწმებათა კოორდინაციის საკითხი. ამ შემთხვევაში დროა, ლოზუნგებიდან გადავიდეთ უშუალო და რეალურ ღონისძიებებზე. შემუშავებული გვაქვს კონკრეტული წინადადებები, მთავარია, ვინმე დაინტერესდეს.

**– ბატონო ანზორ, კიდევ ხომ არ დარჩა პრობლემა, რომლის ირგვლივაც აზრის გამოთქმას ისურვებდით?**

– სათქმელს რა გამოლევს. მთავარი ის გახლავთ, რომ ამ პრობლემებისადმი დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება და განწყობა, მათი გადაწყვეტის ფორმები და მეთოდები მიუღებელია. მწამს, ისინი დაიხვეწება და შედეგიც გამოჩნდება. რაც შეეხება უკანონო გზით შეძენილ ქონებას, თუ ის ნაშოვნია ხალხის მასობრივი გალატაკებისა და ქვეყნის გაუბედურების ხარჯზე, ასეთი დანაშაული მისი ლოგიკური შედეგებით უნდა შეფასდეს გენოციდად, გადასახადებისგან თავის არიდების სათავე კი უნდა ვეძიოთ კორუპციურულ საგადასახადო სისტემაში. აქედან გამომდინარე, მასზე პასუხისმგებლობა უპირველესად უნდა დაეკისროთ მის ავტორებსა და აპოლოგეტებს.

შექმნილი სიტუაციიდან რეალური გამოსავალი გახლავთ ის, რომ არასწორი, თუნდაც პრივატიზაციის გზით შეძენილი ქონება შეფასდეს ამჟამად მოქმედი საბაზრო ფასებით და მასზე დაწესდეს ქონების გადასახადი. დაე, გადაიხადონ ყოველთვიურად ათეულ ათასობით ლარი და მერე რამდენიც უნდა იმდენი ამტკიცონ, რომ ეს ქონება სიდედრ-სიძამრის ნაჩუქარია. ხაზს ვუსვამ, ეს პრობლემა ეკონომიკური ხერხებით უნდა გადაწყდეს და არა ქონების ჩამორთმევით. უკანონო ქონება მაღალი გადასახადებით უნდა დაიბეგროს და თანხა შევიდეს ბიუჯეტში. სხვაგვარად ხალხი ამ ქონებას ვერ დაიბრუნებს. ჩამორთმეული ქონება კვლავ უკანონოდ მოხვდება სხვების ხელში, რის გამოც საზოგადოება კიდევ ერთხელ დარჩება გაუბილებული.

**ესაუბრა ოთარ ხუციშვილი**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,**

**20 მარტი, 2004 წ.**

# ვერანაირი ახალი ხანონი ვერ გვიშვალის, თუ ახონოშიის განვითარების რეალური პროგრამა არ შეიქმნა

ამ დღეებში სატელევიზიო კომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში ახალი საგადასახადო კოდექსის თაობაზე ფრიალ სერიოზული სჯა-ბაასი გამართა. ვინ აღარ მონაწილეობდა ამ საჯარო განხილვაში: ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი, პარლამენტარები, ბიზნესმენები, მეწარმეთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მეცნიერი-ეკონომისტები, პრაქტიკოსი მეწარმეები.

გადაცემის დასაწყისშივე ბატონმა ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ ეს არის განსახილველ საკითხზე დისკუსიის პროვოცირება, რადგან ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ მზად არ არის განსახილველად. თუმცა მე, როგორც არაპროფესიონალს, ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ასეთი ფორმით განხილვაც საინტერესოდ მომეჩვენა.

ღიახ, ჩემი აზრით, ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვა საინტერესო და აუცილებელი იყო. თუმცა ამ დოკუმენტის ავტორების თაობაზე ბევრი განსხვავებული აზრი გამოითქვა. ერთმა ცნობილმა ექსპერტმა ისიც კი ბრძანა, ეს კოდექსი რომ წავიკითხე, თავი იდოლიტი მეგონა, რადგან ვერაფერი ვავიგეო. მეორე ასევე ცნობილმა მეცნიერი-ეკონომისტმა კი წარმოდგენილი დოკუმენტი მთლად გააცამტვერა.

ამის მიუხედავად, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ცალკეულმა სპეციალისტებმა ამ დოკუმენტს წინგადადგმული ნაბიჯიც კი უწოდეს. ერთი მხრივ, მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ის ჯერჯერობით შორს არის სასურველი კონდიციისგან. წინგადადგმული ნაბიჯი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ გადასახადების რაოდენობა და დონე მნიშვნელოვნად შემცირებულია. უფრო მეტიც, ის მეწარმეები, რომლებიც ყველა გადასახადს კეთილსინდისიერად და სრულად იხდიან (სამწუხაროდ, ასეთები ძალიან ცოტაა) თვლიან, რომ შემოთავაზებული საგადასახადო ტვირთი მართლაც საგ-



რძნობლად შემსუბუქებულია და მიესალმებიან ხელისუფლების ამ ინიციატივას. რაც შეეხება სასურველ კონდიციას, იმის თქმა მინდოდა, რომ კოდექსში მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ხელისუფლების პოზიცია მცარე და საშუალო მეწარმეობასთან დამოკიდებულებაში. ამის თაობაზე კოდექსის განხილვისას პრინციპულად და მწვავედ ილაპარაკა საქართველოს დამსახურებულმა ეკონომისტმა, ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარემ ანზორ ბაბუხაძემ. ამა-ნაც მიბიძგა, რომ პირველ რიგში მას გავესაუბრე.

– ბატონო ანზორ, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში ფიქსირებული გადასახადის შესახებ სიტყვაც არავის დასცდენია. არადა, თქვენ ამ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთგზის განაცხადეთ ჩვენი გაზეთისა და სხვა გამოცემების მეშვეობით. ალბათ, უხერხული იქნება, რაც უამრავჯერ ითქვა, კიდევ გავიმეოროთ, მაგრამ იქნებ მოკლედ კიდევ ერთხელ ჩამოგაყალიბოთ თქვენეული მიდგომის დადებითი მხარეები და ის ძირითადი მიზეზები, რაც იწვევს თქვენი იდეის სრულ იგნორირებას.

– პროექტის დადებითი მხარეებიდან გამოვყოფდი მხოლოდ ორ ასპექტს: საბიუჯეტო შემოსავლების გარანტირებულ ზრდას და ობიექტების განთავისუფლებას ეგრეთ წოდებულ შემმოწმებელთა მარწუხებისგან. რაც შეეხება, მიზეზებს, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ, რომ ჩვენი პროექტის რეალიზაციას ხელს უშლიდა და უშლის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ ამღვრეულ წყალში თევზის იოლად დაჭერის ინტერესები. ხმამაღლა ნათქვამია მე ძგონი არა? თუ ეს ასე არ არის, მაშ რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ბოლო 12-13 წლის განმავლობაში, ქვეყნის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის პერსონალური დავალებების მიუხედავად, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა, გნებათ მათმა მოადგილეებმა, რამდენიმე წუთითაც ვერ მოიცალეს ჩემთან შესახვედრად, რათა დეტალურად განგვეხილა ჩემეული პროექტის ძირითადი ასპექტები. როგორც ჩანს, მათ ჩემთან პირისპირ შეხვედრა არ გარისკეს იმ მოტივით, რომ პროფესიონალთან პაექრობისას თავი უხერხულობაში არ ჩაეგდოთ.

– დავუშვათ, ხელისუფლებამ მაქსიმალურად გაითვალისწინა მეწარმეთა ინტერესები და მიიღო იდეალური საგადასახადო კოდექსი. როგორ ფიქრობთ, ამით ქვეყნის ეკონომიკას რამე ეშველება?

– ვიტყვი, რომ იდეალური საგადასახადო კოდექსი ბუნებაში არ არსებობს და, ცხადია, მას ვერც ჩვენი ქვეყანა მიიღებს. იდეალურთან მიხედვით იმას ვთხოვთ, რომ მისი ვარგისიანობის შეფასების კრიტერიუმები იქნება: წარმოების გაფართოებაში მეწარმეების სტიმულირების ღონე, კორუფციის გამორიცხვის ხარისხი და მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელებაში მეწარმეთა წვლილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახადო კოდექსი იმდენად არის მისაღები, რამდენადაც ის სტიმულს აძლევს ზემოთ ჩამოთვლილ სამ ფუნქციას. რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ საგადასახადო კოდექსის თემის გაფეტიშება და მასზე ამ დღით ხალხისა და ხელისუფლების ყურადღების გადატანა გაუმართლებელია. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, არანაირი ღონის საგადასახადო კოდექსი არ გვიშველის, თუ ჩვენი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით, არ შემუშავდა და არ განხორციელდა ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და რეალური პროგრამა, დაწყებული ფულადსაკრედიტო პოლიტიკით და დამთავრებული შიდა ბაზრის დაცვის პროგრამით. დამეთანხმებით, ამ და სხვა გლობალურ პრობლემებზე უფრო დეტალური მსჯელობა საგაზეთო ინტერვიუში არ გამოგვივა, თუმცა სერიოზული იმედი მაქვს, რომ ქვეყნის ეკონომიკის ახალი მინისტრი (ბატ. კახა ბენდუქიძე) ამ მიმართებით თავის სიტყვას იტყვის.

**– გაქვთ თუ არა რეალური იმედი იმისა, რომ ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, გადადგამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყანას, უფრო ზუსტად, მეწარმეებს მუშაობის რეალურ პირობებს შეუქმნის?**

– ამის იმედი რომ არ მქონდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, არც იმ წინადადებას დავთანხმდებოდი, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე საქართველოს პარლამენტის ექსპერტთა საბჭოში ვითანამშრომლო. რეალური იმედის საფუძველს იძლევა ქალბატონ ნინო ბურჯანაძის, ბატონების ზურაბ ჟვანიას და კახა ბენდუქიძის რადიკალური, შეიძლება ითქვას, რევოლუციური დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნებს, ალბათ, მხარს ვერ აუბამს ფინანსთა სამინისტრო. ამის მიზეზია მრავალი გარემოება, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა. ამ ორი თვის წინათაც ფინანსთა მინისტრის ერთმა მოადგილემ (გვარს არ დავასახელებ) მეწარმეებთან შეხვედრაზე წინდაუხედავად განაცხადა: თუ თქვენ მოქმედი საგადასახადო კოდექსის კრიტიკას დაიწყებთ, მაშინ ავდგები და წავალ, რადგან ეს კოდექსი უნაკლოა და კრიტიკას არ ექ-

ვემდებარებაო. კრიტიკას არ ექვემდებარება ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოლაიდელის დამოკიდებულებაც ფიქსირებული გადასახადებისადმი, რაც მან მთელი ქვეყნის გასაგონად კიდევ ერთხელ გაახმაურა მიმდინარე წლის 25 ივნისს პირდაპირ სატელევიზიო ეთერში.

**– როგორ ფიქრობთ, ხსენებული პრობლემებისადმი ფინანსთა სამინისტროს ასეთი დამოკიდებულება სუბიექტურია თუ ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული?**

– გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, სუბიექტურით, ხოლო ძირითადად ობიექტური მიზეზებით. სუბიექტურ მიზეზებს ადვილად ეშვება, მაგრამ ობიექტური მიზეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია გატარდეს სერიოზული რეფორმები ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურის, ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების დასახვეწად. როგორც მინიმუმში, ფინანსთა სამინისტროს უეჭველად უნდა მოეხსნას საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მეურვეობის ფუნქცია; ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის პარამეტრები უნდა განსაზღვროს არა ფინანსთა სამინისტრომ, არამედ ეკონომიკის სამინისტრომ. სხვა შემთხვევაში ქვეყანა ვერ განახორციელებს ეკონომიკის ამჟამინდელი მინისტრის თამამ მიდგომებს ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც მისივე თქმით, შესაძლებელია გატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გადასახადი იქნება შეთანხმების შედეგი სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის. სწორედ ამ პრინციპებს ემყარება ჩვენს მიერ შეთავაზებული ფიქსირებული გადასახადების განსაზღვრის მექანიზმი და ამიტომაც ვუჭერ მხარს ახალი ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკას.

**ბატონო ანზორ, დარწმუნებული ვარ, თქვენს საქმიან წინადადებებს უეჭველად გამოენხმებოდნენ სპეციალისტები, ექსპერტები, პრაქტიკოსი ბიზნესმენები. ამის იმედი ნამდვილად მაქვს, რადგან თქვენ ამ პრობლემის სატელევიზიო განხილვისას დებატებში გამოიწვიეთ ყველა ის, ვისაც კონკრეტული დამოკიდებულება აქვს საგადასახადო კოდექსის შექმნასთან. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და საუბარი ამის კვალობაზე გავაგრძელოთ.**

ესაუბრა **ოთარ ხუციშვილი**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
30 ივნისი, 2004 წ.

# საჭიროა მარტივორობულიანი ქონიერებული პროგრამა

## ახლო წარსული და დღევანდლობა პროფესიონალის თვალთ

დღეისათვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე აქტუალურ ორ პრობლემასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარეს ანზორ ბაბუხაძეს.

– ბატონო ანზორ, ყველა ერთხმად მიესალმება ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევას და თავდადებას კონტრაბანდასთან ბრძოლის თვალსაზრისით, მაგრამ შედეგები ჯერჯერობით რომ არ ჩანს? უფრო მეტიც, ლარის კურსის განმტკიცების კვალობაზე, სახალხო მოხმარების თითქმის ყველა საქონელზე ფასები კატასტროფულად გაიზარდა. რა ხდება?

– კონტრაბანდასთან ბრძოლის პირველ ეტაპზე ეს ასეც იყო მოსალოდნელი. კიდევ ერთხელ ვამბობ, იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა, ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებას მოუშვადებელი შეეხვდით და შედეგებს კარგახანს მოვიძიეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ მაინც იცით, რამდენი ხანია ვქადაგებ, რომ აუცილებელია ქვეყანას ჰქონდეს შიდა ბაზრის დაცვის პროგრამა, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ათეული წლებია, ქვეყნის მმართველობითი იერარქიის ყველა საფეხურზე (პარტიულის გარდა) მომიწია მოღვაწეობა. თვლა არა აქვს იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ჩემს ამ მოთხოვნას ირონიით ხვდებოდნენ და ახლაც ხვდებიან. იმათგან უმრავლესობა ჯერაც შემორჩა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მათი მტკიცება, რომ საბაზრო ეკონომიკა თავად დაარეგულირებს ყველა პრობლემას, არ გამართლდა. ვიბეორებ, დღევანდელი ეკონომიკური

პოლიტიკის პირობებში ქართველი კაცი სოფლად მიტოვებულ მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს, ზოგ შემთხვევაში კი ოჯახსაც, აღარ დაუბრუნდება. ქვეყნის შიდა ბაზრის დაუცველობის პირობებში ლოზუნგებით, დაპირებებით, თხოვნით ქართველი კაცი თავის მშობლიურ მიწაზე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ კონკურენტუნარიან (ერთეულ პროდუქციასზე შრომით დანახარჯებს ვგულისხმობ) პროდუქციას ვერ შექმნის. გამოსავალი ერთადერთია – პრობლემები ქვეყანამ საბაჟო გადასახადების მოწესრიგებით უნდა გადაწყვიტოს. ამ პრობლემაზე უფრო ღრმად და ვრცლად დღეს, ალბათ, ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მომავალ ოპონენტებს ჩემთან საპაექროდ ერთ შეკითხვას წინასწარ დაუესვამ: ქვეყნისათვის რა უფრო მომგებიანია, ერთი ტონა მარცვლეული უცხოეთში შეიძინოს 100 დოლარად თუ ადგილობრივი მეწარმიდან, ყველა პარამეტრით იგივე ხარისხის მარცვლეული – 120 დოლარად?

– ამ დღეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია სახელმწიფო ქონების ტოტალური პრივატიზაციის პოლიტიკამ. ამასთან დაკავშირებით, თქვენი პოზიცია.

– ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საწყის ეტაპზე, ამ საკითხის შესასწავლად ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის დავალებით, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, მივლინებული გახლდით ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში, მოსკოვსა და ახლანდელ პეტერბურგში. მათი გამოცდილების და ამ მიმართულებით შედეგინილი მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე მოვამზადე რეკომენდაციები და მოვახსენე ხელისუფლებას, რომელმაც ეს ცნობად მიიღო და ამით ყველაფერი დამთავრდა. არც ერთი ჩვენი რეკომენდაცია არ შესრულებულა, შედეგად კი მოსახლეობას ხელში თითო „მკვლრადშობილი“ ვაუჩერი შერჩა. ამით ზოგიერთმა „სახელმწიფო მოღვაწემ“ ამღვრეული წყლის პრინციპით „იმუშავა“ და ზომაზე მეტად იხეირა. ამას ახლა პირველად არ ვამბობ და ამიტომ ზოგიერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა და დაქირავებულმა ჟურნალისტმა საბაზრო ეკონომიკის მტრად გამოამაცხადეს. მე ვიყავი მტერი თუ ის ვაჟბატონები, ახლა ხომ მაინც გამოჩნდა? იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი გარკვეული ნაწილი, ქვეყნის ახალი ხელისუფლების ძალისხმევით, ხალხისთვის წავლევჯილ ქონებას „მშვიდობაში ველარ მოიხმარს“.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ სახელმწიფომ თავის ქონებას ვერ მოუარა და ძველებური მიდ-

გომით ალბათ ვეღარც მომავალში მოუვლის. მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოს, ანუ ხალხის ქონებაზე მესაკუთრის ოპერატიული, სწორი და ობიექტური განპიროვნება, ანუ ქონების განსახელმწიფოების საკითხის სახელმწიფოებრივად გადაწყვეტა. ამ უკანასკნელში რასაც ვვულისხმობ, წესით, გამგებმა უნდა გაიგოს. ძალზე მოკლედ და ყველასათვის ადვილად გასაგებად თუ ვიტყვით, ასარჩევია ეგრეთ წოდებული ოქროს შუალედი იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ ქონების განკერძოებაში ვერანაირ მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**—სამაგიეროდ უცხოელებზე გაყიდული ქონებიდან მიღებულ შემოსავალს მოიხმარს.**

— კი ბატონო, საუკეთესო შემთხვევაში ეს ასე უნდა მოხდეს, მაგრამ მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოვიყენებთ ტოტალური პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. თუ ეს შემოსავლები მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს დაურიგდა პენსიებისა და ხელფასების დავალიანების დასაფარად ან თუნდაც მათი გაზრდისათვის, ეს დროებითი ღონისძიება იქნება და გავრცელდება მხოლოდ მოსახლეობის ერთ ნაწილზე (მოსახლეობის დიდი ნაწილი საპენსიო ასაკის არ არის და არც სახელმწიფო ხელფასს ღებულობს), რაც ეკონომიკას უფრო მეტ კატასტროფამდე მიიყვანს.

აქედან გამომდინარე, პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს პრივატიზაციიდან მისაღები მოსალოდნელი თანხის შემდგომი გამოყენების კონკრეტული პროგრამა, რომლის ფორმულა უნდა იყოს მარტივი და ამოხნას ამოცანა — რომელი საწარმოები ავამუშაოთ მიღებული შემოსავლებით და როგორ გაუუნაწილოთ ამ საწარმოების ამუშავების შედეგად მიღებული მოგება ქვეყნის უკლებლივ ყველა მოსახლეს.

ერთი სიტყვით, თუ გვინდა, რომ მომავალში მაინც გვეშველოს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს ამ ამოცანის ოპერატიული და ობიექტური გადაწყვეტა. გვაქვს სახალხო ქონების პრივატიზაციის სხვა სქემაც, რომელზეც, ღაინტერესების შემთხვევაში, სხვა დროს შეიძლება ვისაუბროთ.

**ესაუბრა ოთარ ხუციშვილი**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,**

**31 ივლისი, 2004 წ.**

# ტაუტეხანი ხმისნება და ტასაფები ქუჩის აქტები ასე ეკონომიკას ვერ ავაშენებთ

ზაფხულის მობრძანებისთანავე მთელ საქართველოში მორიგი აჟიო-ტაჟის ტალღა აგორდა, რაც, არც მეტი არც ნაკლები, ბაზრობებზე თამ-ბაქოს ნაწარმის და ალკოჰოლური სასმელების ვაჭრობის აკრძალვას მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით ქვეყანაში იმატა აქციებმა და საპროტეს-ტო გამოსვლებმა.

– აქვს კი ამას ობიექტური საფუძველი? – ვეკითხები საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარეს, ქვეყნის თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თანათავმჯდომარეს ანზორ ბაბუნაძიას.

– ამ კითხვით, – ამბობს ბატონი ანზორი, – უპირველესად მე და-ვინტერესდი და სიტუაციაში გასარკვევად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვესტუმრე. ჩემი თვალით წავიკითხე ამ უწყების თავკაცის, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრების ერთობლი-ვი ბრძანება, საიდანაც, გამოგიტყდებით, ბევრი ვერაფერი გავიგე. თვით ბრძანების სათაურიც კი, რომელიც ასეა ფორმულირებული: „მომხმარე-ბელთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიე-ბების განხორციელების მიზნით ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესე-ბის შესახებ“, მრავლისმეტყველი სიტყვების რაზარუნია (მაპატიონ ასე-თი გამოთქმა) და მეტი არაფერი. იქნებ ვინმემ განმიმარტოს, მაგალი-თად, რას ნიშნავს გამოთქმა: „ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესები“ და მაღლობას მოვახსენებ.

ახლა უშუალოდ საქმეზე. ვინმემ ტენდენციურობა რომ არ დაგვწამოს, მოდით და, ერთად ჩავიხედოთ ბრძანების № 1 პუნქტში. მასში ვკითხულობთ: „საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არ დაიშვას ალკოჰოლიანი (მათ შორის ლუდის, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.15 გრადუსს) სასმელებით სავაჭრო გარიგებების განხორციელება (გარდა ჩამოსასხმელი ღვინისა) სასოფლო-სამეურნეო, სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის სავაჭრო კომპლექსებიდან, რომლებიც შედგება ამ მიზნისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული სტაციონარული და არა სტაციონარული სავაჭრო ადგილებისგან, ცენტრალიზებული სამეურნეო მომსახურებითა და მართვით, რომელთა საქმიანობის ძირითად სახეს სავაჭრო ადგილების გაქირავება წარმოადგენს“.

ვერაფერი გაიგეთ? ვერც მე.

ზუსტად ანალოგიურია ბრძანების № 2 პუნქტიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის შეეხება ბაზრობებზე თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვას. ბრძანების № 3 პუნქტში კი ჩაწერილია, რომ ბრძანების შესრულება უნდა გააკონტროლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ. რატომ? აქვთ კი უფლება ზემოთ დასახელებულ სამინისტროებს, თავიანთი ერთობლივი ბრძანების შესრულების კონტროლი ფინანსთა სამინისტროს დაავალონ?

– ბატონო ანზორ, ამ ბრძანებამ თქვენნაირი გამოცდილი სპეციალისტი რომ ასე „დააბნია“, დარწმუნებული ვარ, მას სხვა როგორი „გამჭვირვალობით“ აღიქვამდა. ამის თაობაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რომ ეწვიეთ, რა გაარკვიეთ?

– ვერაფერი. სამინისტროს სპეციალისტებმა, იგივე ბრძანების პროექტის ავტორებმა, რომელთაც რამდენიმე შეკითხვა დავუსვი, მიპასუხეს, რომ საკითხებს დააზუსტებენ და შედეგს უახლოეს დღეებში შემატყობინებენ. ვიყავი ფინანსთა სამინისტროშიც, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც იქაურმა სპეციალისტებმა უპასუხეს ჩემს ძალზე მარტივ შეკითხვებს. მაშინ ვთხოვე – ოფიციალურად წერილს (კონკრეტული შეკითხვების თანხლებით) გამოგვიგზავნით და იქნებ მასზე მაინც ინებოთ განმარტება-მეთქი. ამაზე მთლად გადაირივნენ – ფინანსთა სამინისტრო რა ვალდებულია წერილობითი განმარტება გასცეს ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზეო, „თქვენთვის საინტერესო საკითხზე განმარტებისთვის სასამართლოს მიაკითხეთო“.



– თქვენი კომენტარი?

– ამ ფაქტს კომენტარი კი არა, რეაგირება სჭირდება. მე კი სასამართლოში, ალბათ, მაინც მომიწევს წასვლა, ოღონდ სულ სხვა მისიით. ეს მუქარა არ გახლავთ, ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა!

– მანამდე კი რას აპირებთ?

– მანამდე ალბათ უპრიანი იქნება თქვენი გაზეთის მეშვეობით რამდენიმე შეკითხვა დავეუსვა ზემოთ ნახსენები ბრძანების ავტორებს:

– ვის ეხება, ან ვის არ ეხება ეს ბრძანება? თუ ეხება, რატომ ეხება, ან რატომ არ ეხება? სად შეიძლება ამ საქონლით ვაჭრობა და სად არ შეიძლება?

– ბრძანების მიზანი თუ მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, მაშინ რა შუაშია ისეთი სიტყვებით მანიპულირება, როგორებიცაა: „სავაჭრო გარიგებების განხორციელება“, „სავაჭრო კომპლექსები“, „გამოყოფილი მიწის ნაკვეთი“, „სავაჭრო ადგილები“, „ცენტრალიზებული სამეურნეო მომსახურება და მართვა“, „სავაჭრო ადგილების გაქირავება და მართვა“ და სხვა. და თუ მიზანი მართლაც მოსახლეობის ჯანმრთელობაა, რატომ არ ვზრუნავთ, ბატონებო, ალკოჰოლური სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის მთელ მსოფლიოში აპრობირებული წესების ელემენტარულ დონეზე დასაცავად მაინც? თუ რეალური მიზანი, დავეუშვათ, კონტრაბანდასთან ბრძოლაა, რაზეც ბრძანებაში სიტყვაც არ არის ნახსენები, მაშინ რას მიგვიბ-მოგვიბავთ, ნუთუ არ ვიცით, სად არის კონტრაბანდასთან ბრძოლის ველი? ეს თუ არ ვიცით, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ აღნიშნული ბრძანება პირველ რიგში ასტიმულირებს ამ საქონლით დატარებითი და გარევაჭრობის ყოვლად მახინჯ, სამარცხვინო ფორმას, ან თუნდაც „მეთოდებს“, რაც უადგილოდ და უფუნქციოდ არის ნახსენები ბრძანების სათაურში.

– ამ დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ბრძანება ამოქმედდეს 2005 წლის პირველი მარტიდან, ხოლო მისი პირველი პუნქტი – 2005 წლის აპრილიდან. რომელი აპრილიდან? ესეც განგებ ხომ არ არის ჩაწერილი, რომ შემმოწმებელი (მაკონტროლებელი) „შემოქმედებითად“ მიუდგეს ბრძანების შესრულებაზე კონტროლის დაწესებას?

– როგორ განხორციელებს ფინანსთა სამინისტრო კონტროლს იმ ბრძანების შესრულებაზე, რომელშიც ამდენი დაუზუსტებელი და გაურკვეველი მომენტია? როგორც შევიტყვეთ, ფინანსთა სამინისტროს ეს დავალება, თავისი 2005 წლის 28 თებერვლის № 114 ბრძანებით, ფი-

ნანსური პოლიციისა და საგადასახადო დეპარტამენტისთვის „გადაულოცავს“. ეს ხომ არ ქმნის საფუძველს, რომ ისინი ასევე „შემოქმედებთად“ მიუდგებიან დაკისრებული დავალების შესრულებას?

როგორც ჩემთან საუბარში ბატონმა ანზორ ბაბუხაძემ განაცხადა, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ამ ბრძანების შექმნის ისტორია ასეთია: ერთ მშვენიერ დღეს ვილაც დიდმა, ყოვლისმცოდნე ჩინოვნიკმა ბრძანა, ხვალიდან ბაზრობებზე სიგარეტით და ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა აღარ დაეინახო. რატომ ან რისთვის, შეკითხვა ვერავის დაუსვამს და ეს სუროგატიც (ბრძანება) სახელდახელოდ გამოცხვა. თანაც ისე, რომ ბრძანებაში სიტყვა ბაზრობა ან ბაზარი საერთოდ ნახსენებიც არ არის.

საინტერესოა, აღიარებს თუ არა ამ ვერსიას რომელიმე ზემოთ ნახსენები სამინისტრო, ან იმას მაინც, რომ მეწარმეთა ამ კატეგორიის მრავალათასიანი არმია აბუჩად აიგდეს? ნუთუ ძნელია იმის გაანალიზება, რომ ბიზნესთან ასეთი დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკის დანგრევის ტოლფასია? ისე არავინ გაგვიგოს, რომ ბატონი ანზორ ბაბუხაძია ან გაზეთის რედაქცია წინააღმდეგია ამ საკითხში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისა. პირიქით, აუცილებელია ზემოთ აღნიშნული საქონლით ვაჭრობაში გადაუდებელი ღონისძიებები განხორციელდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონიერად (ან, მინიმუმ, წიგნიერად მაინც) შედგენილი კანონის ფარგლებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარლამენტის შესაბამისი სტრუქტურები, კერძოდ, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ამ ფაქტს ურეაგირებოდ არ დატოვებენ.

**ესაუბრა ოთარ ხუციშვილი**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
10 მარტი, 2005 წ.

# ტაუტეხანი ხმისანება და ტასაფები ქუჩის ქსეები

## ასე ეკონომიკას ვითომ ავაშენებთ?

ამ სათაურით ჩვენმა გაზეთმა ერთხელ უკვე გამოაქვეყნა წერილი (10 მარტი, 2005 წელი, რომელიც შეეხებოდა ქვეყანაში ხელოვნურად ატეხილ აუიოტაჟსა და აქციებს, რაც გამოიწვია თამბაქოს ნაწარმით და აღკოპოლური სასმელებით ვაჭრობის წესებთან დაკავშირებით სამი კომპეტენტური მინისტრის (საქართველოს ეკონომიკური განვითარების; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის) ერთობლივმა, თუმცა დიდად გაუაზრებელმა და გაუგებარმა ბრძანებამ.

და აი, ბატონი **ანზორ ბაბუხალია** კვლავ ჩვენი რედაქციის სტუმარია.

— დოკუმენტებიდან ირკვევა, — ვეუბნები ბატონ ანზორს, რომ თქვენს მიერ ამ პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილ წერილზე (29.03.05წ.), რეაგირება მხოლოდ საქართველოს მთავრობის კანცელარიამ გააკეთა, თანაც ისე, რომ აღნიშნული წერილი არაფრისმთქმელი მიმართვით უბრალოდ გადაუშისამართა სამივე სამინისტროს. ხომ ვერ გვეტყვი, რატომ ხდება ასე? ნუთუ ვერც მთავრობამ აულო აღლო პრობლემის სერიოზულობას?

— რა ვითხრათ, ვერაფერი გავიგე. ასეთი რამ არც მინახავს და არც გამიგია. კარგი იქნება, თუ ამჯერად მაინც თქვენს გაზეთს გამოეხმაურებიან...

– თქვენ ამტკიცებთ, რომ დასახელებული სამინისტროების ეს გახმაურებული ბრძანება გაუგებარი და აბსურდულია. ნუთუ ამ სამ სამინისტროში არავინ აღმოჩნდა, ვისაც ბრძანება ბრძანებისათვის უნდა დაემსგავსებინა?

– ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, მეთაური სამინისტროს ფუნქცია ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ იკისრა, ე. ი. ბრძანების პროექტი იქ მომზადდა. ამ სამინისტროში ვერ ვნახე პიროვნება, რომელიც ამ აბსურდული დოკუმენტის ირგვლივ ისაუბრებდა ან განმარტებას მოგვცემდა თუნდაც რამდენიმე ელემენტარულ შეკითხვაზე. რაც შეეხება სხვა სამინისტროების მონაწილეობას ამ „შედეგის“ შექმნაში, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მათ ამ დოკუმენტის მომზადებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. უფრო მეტიც, ამ ბრძანების არსებობის თაობაზე ჩემგან გაიგეს! თუ ვინმეს საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა ან აქვს ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ამდენი პუბლიკაციისა და ოფიციალური წერილების შემდეგ მაინც, რაღაც ფორმით გამოხატავდა თავის პოზიციას ან დამოკიდებულებას. არც ახლაა გვიან. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგია, ალბათ, ის, რაც ბოლო პერიოდში ხშირად ხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. .

გულახდილად გეტყვით, ამ გაუგებრობაში ვერც იუსტიციის სამინისტროს პოზიცია გავიგე. იმის ნაცვლად, რომ მას თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა ბრძანების აკვარგვიანობის თაობაზე, ე. ი. ჩაეტარებინა ექსპერტიზა, რაც მათ ისედაც ვვალებათ, ისინი გვიმტკიცებენ, რომ ამ სამინისტროებს უფლება აქვთ ერთობლივი „ნორმატიული აქტით დაადგინონ სურსათისა და თამბაქოს წარმოების, მანიპულირებისა და ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესები“...

ასეთი უფლებამოსილების არსებობა ჩემთვის არახალია, ეს მე ზოგიერთზე უკეთ ვიცი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ის არ მესმის, ვის დასჭირდა ან დღევანდელ დღეს რატომ განჩნდა კორუფციის აღსაწვევბელი ასეთი, შეგნებულად დაბურდული დოკუმენტის შექმნის იდეა!. ხმა-მალლა ნათქვამია? კი ბატონო, იქნებ ახლა მაინც ვინმე დაინტერესდეს და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს.

– ბატონო ანზორ, ამდენ წვალებას და დროის უქმად ხარჯვას ზომ არ აჯობებდა სარჩელი სასამართლოში შეგეტანათ?

– ამაზეც ვიფიქრე და რამდენიმე დღის წინათ ბრძანების თაობაზე

საქმის კურსში ჩაეყენე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული ექსპერტთა საბჭოს სრული შემადგენლობა, რომლის წევრი მეც გახლავართ. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბუჟაშვილმაც იგივე მიიჩნია, მაგრამ როცა პრაქტიკული დახმარებისთვის ნაცნობ ადვოკატს მივმართე და ბრძანებას გაეცნო, იცით, რა მითხრა? ასეთი გაუგებარი ბრძანების თაობაზე სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებსო. ჯერ ბრძანება უნდა დაიხვეწოსო და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება უფლება სასამართლოს, იმსჯელოს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზეო.

ასეა ბატონებო, აბსურდულ ბრძანებას ვერც სასამართლო განიხილავს და ვერც ვინმე გონივრულ დასკვნას გამოიტანს. ერთადერთი, ვინც ამაზე პასუხს გასცემს, თავად ქვეყნის ეკონომიკა გახლავთ. მხოლოდ მან უწყის, რომ ბიზნესთან ასეთი დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკის დანგრევის ტოლფასია. ისე არავენ გაგვივოს, რომ ამ საკითხში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების წინააღმდეგნი ვართ. პირიქით, აუცილებელია ზემოთ აღნიშნული საქონლით ვაჭრობაში გადაუდებელი ღონისძიებები განხორციელდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში. უკანონობას კი რა შედეგი მოსდევს თუნდაც ამ სფეროში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, ახლო მომავალში დავუბრუნდებით.

**ესაუბრა**  
**ოთარ ხუციშვილი**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
31 მაისი, 2005 წ.

# შექცლით სიძარტლეს თვალეებში!

„შეცდომა და დანაშაული?!“ ასე დაურქმევია ანზორ ბაბუხადიას – ცნობილ პროფესიონალ ეკონომისტს – თავის ტანმცირე წიგნისათვის, რომელიც სამუშაო მაგიდაზე დამხვდა წარწერით: „ღიღი სიამოვნებით გავეცნობი თქვენს მოსაზრებას ამ უპრეტენზიო ნაშრომთან დაკავშირებით“. წიგნი ბოლომდე ჩავიკითხე და მასში გამხელილმა სატკივარმა გული იმდენად დამიძიძია, რომ გადაეწყვიტე, ჩემი მოსაზრება მარტო ავტორისთვის კი არა, მკითხველი საზოგადოებისთვისაც გამეზიარებინა.

რა სატკივარზეა ლაპარაკი?

როგორც ავტორი წიგნის შესავალშივე გვამცნობს, ოფიციალური მონაცემებით, 2004 წელს, 1990 წელთან შედარებით, ქვეყნის სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებულია 4,1-ჯერ ნაკლები პროდუქცია. ამ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 11,4 პროცენტით, ხოლო მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის 6-ჯერ შემცირდა.

დაფიქრებულა ვინმე, რამ მიიყვანა ქვეყანა ასეთ კატასტროფამდე? კი, როგორ არა, მაგრამ მარტო დაფიქრება რას გვიშველის, თუ ამის ანალიზი არავინ გააკეთა და დასკვნებიც არავინ გამოიტანა? ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება თავად ანზორ ბაბუხადიას, რომელმაც მშვენივრად იცის, ქვეყანას რა სატკივარი სჭირს და რა წამლით უნდა გამომჯობინდეს. მისი თქმით, ქვეყნის დაქცევის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ მას „ღღემდე არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, ანუ არ ვიცით, რა გვინდა, საით მივდივართ, რა პერსპექტივა გვაქვს და ასე შემდეგ“.

ბატონი ანზორი კი ამბობს ამას, მაგრამ მომსმენი რომ არავინ ჰყავს? – არც მთავრობიდან და არც საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რომელსაც ჩვენს ხელისუფლებასთან ერთად საქართველოს ეკონომიკის აღმშენებლად მოაქვს თავი. ამას ჰკერზე არ ვამბობ. იმ პერიოდში, როცა ანზორ ბაბუხადია საქართველოს მთავრობაში მთავარ სახელმწიფო მრჩეველად მუშაობდა, ხშირად ჰქონდა შეხვედრები სავალუტო ფონდის

პასუხისმგებელ მუშაკებთან, მაგრამ თუკი ვერაფერს გააგებინებ და შეასმენ, რად გინდა რა?

ასეთი შეხვედრების დროს, წერს ბატონი ანზორი, ის მხარე ყველა საკითხს სუფთად საბაზრო პრინციპებით უდგებოდა და ჩვენი წესჩვეულებების, ქართველი კაცის ბუნებისა და თავისებურებების შესახებ არაფრის მოსმენა არ სურდა. უფრო მეტიც, მიმტკიცებდა, რომ თუ გლენისთვის საზამთრო ან მწესუმზირა უფრო მეტი მოგების მომტანი იქნებოდა, ვენახი უნდა აეჩეხა და მომგებიანი კულტურა მოეყვანა. როგორ გინდა გააგებინო უცხო კაცს, თუ რას ნიშნავს ქართველი გლენისთვის „შვილივით ნაზარდი ვაზის“ აჩეხვა.

აკი ვერც გააგებინა და ამიტომაც ვართ აშენებულ-დამშვენებული!

მართლ ვაზზე არ არის საუბარი. იმავე ფონდის სპეციალისტების აზრით, თურმე საქართველოში საერთოდ არ უნდა აწარმოონ საქონელი, თუ ასეთივე საქონელი სხვა ქვეყანაში უფრო იაფი ჯდება, არ უნდა იმუშაოს მეტროპოლიტენმა, თუ ის არარენტაბელურია და სახელმწიფოს მოგებას არ აძლევს. ერთი სიტყვით, ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნები რომ გაძარცვული და ჯართად გაზიდულია, ეს ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია.

ზემოთქმულის კანონზომიერებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ სავსებით ლოგიკურია ის დასკვნა, რაც წიგნის ავტორს საქართველოს „მოამაგე“ უცხოელების ქმედებიდან გამოაქვს: „ამ საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიული მიზანია დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება, რის შედეგადაც ესა თუ ის ქვეყანა მისი მრავალმხრივი რეალური პოტენციალის მიუხედავად, მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ საზოგადოებად უნდა გადააქციონ“.

აკი უკვე გადაგვაქციეს! ამაში, უცხოელებთან ერთად, არანაკლები წვლილი მიუძღვის „მშობლიურ“ ხელისუფლებას, რომელიც წლების მანძილზე იმ უცხოელთა კარნახით „მოღვაწეობდა“ და არც დღეს გაურბის მათთან „მჭიდრო თანამშრომლობას“.

ვინც ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, წიგნის ავტორთან ერთად, მეც მოვითხოვ, პასუხი გასცეს ერთ შეკითხვას: საერთაშორისო ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ორგანიზაციებიდან დახმარების ეგიდით მიღებული ორ მილიარდზე მეტი აშშ დოლარიდან რამდენი მოხმარდა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას და სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას?

არ გაქვთ პასუხი? გასაგებია: „შეგნებულ, წინასწარგამიზნულ დანაშაულებრივ ქმედებად უნდა ვაღიაროთ იმ ხელისუფალთა „მოღვაწეობა“, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ კრედიტებითა და გრანტებით მიღებული შემოსავლები, ჩვენი ქვეყნის ფეხზე დადგომისა და წელში გამართვის მიზნით იყო და არის გამოყენებული“.

ღიას, ასეთი ქმედება, დაგვეთანხმებით, მართლაც დანაშაულის ტოლფასია, თუმცა წიგნის ავტორს ამის გვერდით არანაკლებმნიშვნელოვანი სხვა პრობლემებიც აწუხებს. აქედან გამოვყოფდი საბაზრო ეკონომიკის მართვის პრობლემას, რაზეც ჩვენს მეცნიერებს, ჩინოვნიკებსა თუ სპეციალისტებს არაერთგვაროვანი აზრი აქვთ. თავად ანზორ ბაბუხაძიას პოზიცია ასეთია:

„საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველგვარი შეზღუდვა და აკრძალვა უნდა მოისპოს, თუმცა საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი პროცესები“. მას მიაჩნია, რომ სწორედ ქვეყნის არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის გამო დაიცალა ქართული სოფელი, გაჩანაგდა ეროვნული მეურნეობა. ეს განაპირობა შიდა ბაზრის დაუცველობამ, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია არარენტაბელური, ანუ ზარალიანი გახდა.

– ყოველივე ეს ხომ ჩვენს თვალწინ ხდება, განა ვინმეს არ სჯერა? – ვეკითხები ბატონ ანზორს.

– კი, არის საპირისპირო აზრიც, რომლის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, თეორეტიკოსი, მრავალი უცხოური აკადემიის წევრი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა. ჩემი უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები, რომ ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისთვის დამღუპველი იქნებოდა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება; ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევის საშუალება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაა; სამამულო ბაზრის დაცვის მხარდამჭერები პოსტსაქმოსნები არიან; ხელისუფლებაში მოსული მრეწველობის წარმომადგენლები თავიანთი ლობისტობით ღუპავენ იმ დარგს, რომლის ინტერესების დაცვასაც ფიქრობენ და ცდილობენ; დასაქმების ამგვარ ზრდას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შევეუწყოთ ხელი და სხვა.

პირდაპირ საკვირველია, ამბობს ბატონი ანზორი, დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყნის მრეწველობა განადგურებულია და მოსახლეობა



დაუსაქმებელი, ვინმე თუ გმირობას გამოიჩინეს და რომელიმე დარგის აღორძინებას შეეცდება, სახელმწიფო მას მხარში რატომ არ უნდა ამოუდგეს? ან გლეხი თუ ფერმერი დამოუკიდებლად ხორბალს რომ მოიყვანს და მის რეალიზაციას ვეღარ შეძლებს, სახელმწიფო მაყურებლის როლში რატომ უნდა გვევლინებოდეს? **მეწარმეს უეჭველად სჭირდება დაცვა რეკეტისგან, ფაღსიფიკაციისგან, უცხოური დემპინგური პროდუქციისგან, სხვა უამრავი სატკივარისგან, რისთვისაც უპირველესად სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.**

ყველაზე დიდი უბედურება აი, რა არის: როცა ამ საკითხებს ვაყენებ, ყველას – სახელმწიფო მოხელეს, მეცნიერს, მკითხველს – პირზე თითქოს ბოქლომი დაუდვია და არავის პასუხის გაცემა არ სურს. არადა, ყველა მათგანს დიდი სიამოვნებით მოვუსმენდი, იგივე ბატონ ვლადიმერ პაპავას, რომელიც თუ დამისაბუთებს, რომ ვცდები, ვაღიარებ ჩემ შეცდომას და გავჩუქდები. მაგრამ ყველა რომ პირგაკერილია?

მწარედ მენიშნა. მასსოვს ერთი გაუგებარი თუ სულაც სულელური ბრძანების გამო, რომელიც თამბაქოს ნაწარმითა და ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესებთან დაუკავშირებით გამოიცა (10 მარტი 2005 წელი), ბატონ ანზორ ბაბუხადიას რა თავგადასავლები გადახდა, რაც აღწერილია არაერთ საგაზეთო პუბლიკაციაში, მაგრამ ვერც პასუხი ვინმესგან მიიღო და ვერც სამართალს ეწია.

ეს რომ გამონაკლისი იყოს, კიდევ რა გვიჭირდა. ეკონომიკა რომ დაგვექცა, ერთი უბედურებაა, მაგრამ მეორე უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ მომხდარის გაანალიზების სურვილი არც ხელისუფლებას აქვს და არც საზოგადოებას, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი სრულიად ინდიფერენტული გახდა.

ასე არ ივარგებს, ძმებო. თუ სიმართლეს თვალი არ გავუსწორეთ და სათქმელი დროულად არ ვთქვით, ვერც ჩვენს გამჟალტყავებულ ეკონომიკას ამოვიყვანთ ორმოდან და ვერც ოდესმე ნორმალურ ცხოვრებას ვეწვეით.

**ოთარ ხუციშვილი**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
26 ივნისი, 2005 წ.**

# ჟურნალის ხვეწს ზოვს, მომკრქ, სომხუხაროვს, ქუმ ასე შომოი?! /

აფხაზეთის ტრაგედია ყველა ნორმალური ქართველისა და აფხაზისთვის მოუშუშებელი ტკივილი რომ არის, ამასი კიდეე ერთხელ დავრწმუნდი ამ დღეებში თბილისის სამეფო უბნის თეატრში – „ზღვა, რომელიც შორია“ სპექტაკლის მსვლელობისას, რაც მწერალ გურამ ოდიშარისა, რეჟისორ თემურ ჩხეიძისა და მსახიობ დიმა ჯაიანის ერთობლივმა, ნიჭიერად განხორციელებულმა ნამუშევარმა განაპირობა. პროფესიონალი თეატრმცოდნეები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები და, რაც მთავარია, დეენილთა, გნებავთ, იბულებით გადაადგილებულთა, მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები თავიანთ წონად სიტყვას აღნიშნულ შემოქმედებით შედეგერთან დაკავშირებით, ალბათ, ჩემზე უკეთ იტყვიან.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე, ჩამოთვლილ სპეციალობათაგან არც ერთს არ მივეუთვნები, თავს უფლებას ვაძლევ, პირველად ამდენი წლების შემდეგ, წერილობით ჩამოვყალიბო ჩემი, ერთი რიგითი მოქალაქის, პოზიცია ამ მოუშუშებელი ჭრილობის შეხორცების გზების თაობაზე, რომლის სურვილიც და ვალდებულებაც მაშინ გამომძაფრდა, როცა ზემოთ ნახსენები სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდი თუ პატარა, ქართველი თუ აფხაზი თავს ვერ იკავებდა და დვარად წამოსულ ცრემლებს შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ვარიდებდით, ანუ დაახლოებით ისე, როგორც ამას არცთუ იშვიათად ვშვრებოლით იმ „ავადსახსენებელ“ წლებში ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინში.

მოგეხსენებათ, სერიოზული ჭრილობა ნაიარევის სახით ადამიანის სხეულზე თავის კვალს ყოველთვის ტოვებს, ამ შემთხვევაში პირველი რიგის ამოცანა ჭრილობის დროული შეხორცებაა, რომლის შემდეგ, ანუ გამოჯანმრთელების კვალობაზე, შეიძლება იზრუნო ნაიარევის კვალის გაქრობაზე, რაც, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია და სხვა-

დასხვა მიზეზის გამო ხშირად ადამიანი ამისთვის ვერ იცლის და სა-  
მუდამო სასუფეველში თან მიჰყვება სიცოცხლეში დასმული დალი. ანა-  
ლოგიურად, აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაშიც აუცილებელია  
როგორმე მოიძებნოს ქართველებისა და აფხაზებისთვის მიყენებული  
ჭრილობების მოშუშების გზები, ხოლო ნაიარევის საბოლოო გაქრობა-  
ზე ჩვენი თაობა თუ ვერ მოასწრებს რეალურ ქმედებას, მაშინ მას ჩვენ-  
ზე უკეთ ის თაობა მოახერხებს, რომელსაც ფიზიკურად არანაირი მო-  
ნაწილეობა არ მიუღია ამ ყოველად გაუმართლებელ ტრაგედიაში.

ძნელია ვინმემ, თუნდაც დაახლოებით ჩამოთვალოს ან აღწეროს ყვე-  
ლა ის ღონისძიება, რაც ამდენი წლის განმავლობაში, სამწუხაროდ,  
უშედეგოდ ხორციელდებოდა და ხორციელდება კონფლიქტის მოგვარე-  
ბის მიზნით. შედეგად ჯერჯერობით ორივე მხარი სანუკვარი ოცნების  
განხორციელების რეალურ გზას კი არ მივუახლოვდით, არამედ თან-  
დათან უფრო დავცილდით! დროა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართებით დღემ-  
დე განხორციელებულმა ყველა ღონისძიებამ კრახი განიცადა. ხმამაღლა  
ნათქვამია? კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ რეალობა ეს არის, და  
რაც გნებავთ, ის ბრძანეთ.

დასაწყისში მოგახსენეთ და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ პირა-  
დად მე, არავითარი ამბიცია ან პრეტენზია არ გამაჩნია, რომ ამ პრობ-  
ლემის მოგვარების ჩემ მიერ შემოთავაზებული გზა ოპტიმალური ან ერ-  
თადერთი იყოს, მაგრამ, რომ იტყვიან, გავრისკავ და ჩემს სათქმელს  
ვიტყვი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, დიდ ხლაფორთში შევრგვე თავი.  
რა ძალა მადგა? ის ძალა მადგა, რომელსაც მოქალაქეობრივი ვალი და  
იმ ცრემლების ნიაღვარის ძალა ჰქვია, ზემოთ რომ მოგახსენეთ და, რაც  
მთავარია, კიდევ ის, რომ ასე ვფიქრობ, ასე მწამს, ასე მჯერა.

მაშ ასე, კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთ გზად რუსეთთან ურ-  
თიერთობის მოგვარებაა და არა აშშ-ის ან ნებისმიერი ევროკავშირები-  
სა თუ ეგრეთ წოდებული მეგობარი ქვეყნების იმედად ყოფნა. აქსიომაა,  
რომ რუსეთის ინტერესების საზიანოდ და საქართველოს ინტერესების  
სასარგებლოდ არც ერთი ქვეყანა არ გადადგამს სერიოზულ ნაბიჯს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი სისხლხორცეულად არის და-  
ინტერესებული აფხაზეთის ტერიტორიით და ამიტომ მასთან, სამწუხარ-  
ოდ, ისე მოგვიწევს საუბარი, როგორც ამ ტერიტორიის პერსპექტი-  
ულ მფლობელთან. უფრო ზუსტად, ჩვენ მათ უნდა დაუდოთ ჩვენი კა-  
ნონიერი რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა და ამის პარალელურად

მოთმინებით მოვისმინოთ და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი სანაცვლო მოთხოვნები. ამ პირობებში საქართველოს აუცილებელი მოთხოვნები, როგორც მინიმუმი, უნდა იყოს: იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში; აფხაზეთის მიუღწერიტორიაზე აფხაზურ და რუსულ ენებთან ერთად, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება; საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ყველა მოქმედი და აღიარებული საერთაშორისო ნორმის ცნობა და დაცვანობა. ქართული მხარის ამ სამი ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინების პარალელურად რუსეთის მხარე აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მრავალ მოთხოვნას ჩამოაყალიბებს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველებიც და აფხაზებიც კიდევ ერთხელ წააგებენ, რისი გამოსწორებაც, რაც დრო გავა, მით უფრო შეუძლებელი გახდება.

ამ პირობებში ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რომ რუსეთთან მოლაპარაკების ქართული მხარის პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს საქართველოს კულტურის, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, საერთაშორისო სამართლისა და სხვა აღიარებული ავტორიტეტული პიროვნებებისაგან. მე თუ მკითხავთ, ცოცხლები რომ იყვნენ, ამ ჯგუფს სათავეში ჩაუყენებდი სახალხო დიპლომატიის ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ ზურაბ ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე ან კოტე მახარაძე. დიახ, სწორედ, ასეთი აღიარებული ავტორიტეტებია საჭირო დღეს ამ საქმისათვის.

საბედნიეროდ, საქართველოს კიდევ ჰყავს სათანადო დონის ავტორიტეტები, რომელთა რეკომენდაციით დაკომპლექტებული მუშა ჯგუფების პერსონალურ შემადგენლობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. მთავარია ამ ჯგუფების შემადგენლობა მაქსიმალურად იყოს დაცული მოქმედი პოლიტიკოსებისგან. რა თქმა უნდა, ამ შემადგენლობასთან მეც გამაჩნია ჩემი პირადი მოსაზრება, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი დასახელებისაგან შეგნებულად ვიკავებ თავს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტას ჩემზე უფრო მეტი კომპეტენცია ესაჭიროება.

ჩვენი წინადადების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული მუშა ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა, რომელიც აღჭურვილი იქნება მაქსიმალური უფლებამოსილებით

და ყველა მნიშვნელოვან საკითხს შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. ბუნებრივია, ცალკეულ პიროვნებებს პოლიტიკურ პარტიებს და სხვა სპეციალისტებს წარმოდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით გაუჩნდებათ საპირისპირო მოსაზრებები, რომელთა განხილვა, სასურველია, მოხდეს განსაკუთრებული ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე იმ მთავარი ამოსავალი პრინციპის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილები რაც შეიძლება მოკლე დროში უპირობოდ დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს და ამის შემდეგ თანდათანობით, ცივილიზებული წესებით გადავწყვიტოთ ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, ანუ ვიმოქმედოთ სწორი პრინციპის დაცვით, რათა მომავალში ჩვენი და აფხაზების ჭირი და ღზინი ისევ საერთო იყოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში რეალობად იქცევა ამ დღეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროული გადაწყვეტილების თაობაზე რუსეთის დუმის გავლენიანი პერსონების გაცოფებული განცხადებები, რომლებიც პრაქტიკულად ომის გამოცხადების ტოლფასია. შედეგად, თავის დროზე სამტრედიის რკინიგზის ბლოკადისა არ იყოს, ჩვენ მეტად დაზარალებებით თუ რუსეთი, ამის თაობაზე კითხვაც აღარ უნდა დაისვას.

**ანზორ ბაბუხალია**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
21 ოქტომბერი, 2005 წ.**

# ხსნის ერთდროული გზა საყოველთაო შიშობა

– „მუშა მიწვივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდესო“ – გვიჩვენდა რუსთაველი.

„ჩვენს გარეთ ჩვენი ხსნა სიზმარია: ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ჩვენვე შეგვიძლია დაუბრუნოთ მისი ძველი ისტორიული იერ-სახე“ – ამბობდა ილია.

„ყველა თავის საქმეს უნდა დაუბრუნდეს: გლეხი – მიწას, მუშა-მანქანა – დანადგარებს, ხელოვანი – ხელოვნებას, მეცნიერი – მეცნიერებას... პოლიტიკოსებმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ ჩვენი მოსახლეობის ყველა ფენას მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეს“. – მიუბრუნდა ჩვენი ბრძენი თანამედროვე, სულგანათებული ნიკო ჭავჭავაძე ზშირად.

ფაქტობრივად ყველა მთავრობა გამოვიცვალე და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში ჩემს საკმაოდ ხანგრძლივ მოღვაწეობას, თამამი აზრებისა და მკვეთრი გამონათქვამების გამო, ბევრი სირთულე და კურიოზი ახლდა.

განსაკუთრებულ პრობლემებს მიქმნიდნენ ვაირეფორმატორები და მათ მიერ დაქირავებული ჟურნალისტები. ერთ-ერთმა მათგანმა საბაზრო ეკონომიკის მტრადაც კი გამომაცხადა. ჩემმა რეაქციამ არ დააყოვნა და ვაიოპონენტს იმავე გაზეთის მეშვეობით, რომელშიც მისი სტატია დაიბეჭდა, სათანადო პასუხი ვაახლე. აი, ამ წერილის შემცირებული ვერსია:

– „თქვენი სტატიის გამოქვეყნების მიზანი ვერ ავხსენი, მით უმეტეს, რომ, როგორც პირადად, ისე ოფიციალურად თითქმის ყოველდღე გზვლებით და არ წამოგვდენიათ რაიმე განსხვავებული მოსაზრება ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ და არაერთხელ თქვენი თანდასწრებით თითქმის ყველა დონის შეხვედრებზე გამოთქმული პოზიციების გამო. ერთადერთი გამართლება თქვენს ამ ქმედებას ის შეიძლება მოეძებნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ თანამედროვე ეკონომიკის საკითხებში ცოდნას იმაღლებდით და ემზადებოდით ჩემთან საპაექროდ. მაგრამ ვაგლახ,

რომ ასე არ არის. ამიტომ ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, თქვენთან გაემართო კამათი იმ საკითხებზე, რომლებშიც თქვენ საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტად წარმოგიდგენიათ თავი.

რატომ?

იმიტომ, რომ დათა თუთაშხიასი არ იყოს, საკმაო პროფესიული უპირატესობა მაქვს და გაუმართლებლად მიმაჩნია ამ საკითხზე თქვენთან საგაზეთო პაექრობა. მაგრამ თუ მართლა გადაწყვეტთ საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე ჩემთან კამათს, დავსხდეთ პირისპირ თქვენ და თქვენი თანამოაზრენი და ცივილიზებული წესით ვუმტკიცოთ ერთმანეთს ჩვენი მოსაზრებები“.

ახლა კი თავს უფლებას ვაძლევ გაგაცნოთ დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკის მშენებლობის პირველ წლებში ოფიციალურ დოკუმენტებში ჩემს მიერ დაფიქსირებული რამდენიმე თეზისი, რის გამოც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცალკეული ჩინოსანი ოპონენტისაგან სერიოზული პრობლემები მექმნებოდა. აი, რამდენიმე მათგანიც:

„საბაზრო ეკონომიკა კატასტროფისგან გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, ოღონდ, მანამდე ტანჯვის გზებს ვერ ავცდებით...“

„სამინისტროები ამჟამინდელი განმკარგულებელი ორგანოებიდან უნდა გადაიქცნენ მათ დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების (ობიექტების) პარტნიორებად და კოორდინატორებად.“

„საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ყოველგვარი შეზღუდვა და აკრძალვა უნდა მოისპოს, მაგრამ ვიმეორებ, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს ბაზარს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი პროცესები.“

„თუ გვინდა თავი დავაღწიოთ ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას, აუცილებელია, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ თავის ხელში აიღოს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული რესურსების მართვა.“

„თუ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ქვეყნის მოსახლეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებების ელემენტარულ დონეზე დაკმაყოფილება მაინც, მაშინ ის არ იქნება სახელმწიფო და არც მისი, რომელიც გნებავთ, სტრუქტურა აღარ იქნება საჭირო. ამ საკითხში ვერც იმ პოზიციას გავიზიარებ, რომ ყველა ქალაქმა, რაიონმა ან რე-

გიონმა თავისი რესურსები დამოუკიდებლად წარმართოს თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.“

„ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურების მუშაობის შეფასების ძირითად კრიტერიუმად უნდა იქცეს შიდა ბაზარზე სასაქონლო პროდუქციის სიუზვის შექმნის მიმართულებით მიღწეული შედეგები.“

„მოსახლეობის სოციალური დაცვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, ხოლო სახელმწიფოსი-თითოეულ ჩვენგანს.“

ეკონომიკურ მეცნიერებაში, განსახილველ პრობლემებთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულ აზრებსა და პოზიციებს ვხვდებით, რაც საკითხის აქტუალობას კიდევ უფრო ზრდის და, აქედან გამომდინარე, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში.

ვიდრე პრობლემის რეალურ განხილვას შევედგებით, ადრე გამოქვეყნებული თეზისების მეშვეობით, გავცნოთ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ორ პოზიციას.

ერთის, ანუ ამ შემთხვევაში პირველის ავტორი გახლავართ მე, ანზორ ბაბუხაძეა, რიგითი პრაქტიკოსი ეკონომისტი, ხოლო მეორესი-ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, თეორეტიკოსი, მრავალი უცხოური აკადემიის წევრი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა.

მაშ ასე, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ: „ქვეყნის არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის გამო დაიცალა ქართული სოფელი, გაჩანაგდა ეროვნული მეურნეობა, რაც, ეკონომისტთა ენაზე, განაპირობა შიდა ბაზრის დაუცველობამ, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია არარენტაბელური, ანუ ზარალიანი გახდა“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ნომბერი, 2002 წელი.)

„როცა შიდა ბაზრის დაუცველობაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ, რომ შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამო, ქართველი გლეხი მასობრივად ტოვებს სოფელს და ლუკმა-პურს ისედაც გადატაკებულ ქალაქში დაეძებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის დოვლათის შემქმნელი მომხმარებლად ვაქციეთ. ანალოგიური მდგომარეობაა ქალაქში. კვალიფიციური ქართველი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფაბრიკებისა და ქარხნების მიღმა დარჩა. ეს იმის შედეგია, რომ რეალურ ფასად შექმნილი მისი პროდუქცია ბაზრიდან განდევნა დემპინგურმა, ანუ ჩვენი დაჩოქებისათვის ხელოვნურად ჩამოყალიბებულმა ფასებმა. მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში ეს პროცესი ეკონომიკური ბერკეტე-



ბით რეგულირდება, ჩვენთან კი პირიქით ხდება-ამ ბერკეტების არასწორად გამოყენებამ, ჩვენი ქვეყნის წარმოება მოშალა და დაანგრია.

საბედნიეროდ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ჯერ კიდევ არსებობს. ჩვენი ქვეყნის ტრადიციული და პრიორიტეტული დარგები კვლავ აღორძინდება, თუ პარლამენტი, ჩვენს მიერ შემუშავებული მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრავს და დაამტკიცებს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ახალ პოლიტიკას“ (გაზეთი „რეზონანსი“, იანვარი, 1999 წელი).

„ერთხელ კიდევ ვამბობ: იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა, ზოგიერთ გადაუღებელ ღონისძიებას მოუშადადებელი შევხვდით და შედეგებს კარგახანს მოვიმკით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი ხანია ვქადაგებ, რომ აუცილებელია ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის პროგრამა, მაგრამ ამაოდ. დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ქართველი კაცი სოფლად მიტოვებულ მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს, ზოგ შემთხვევაში კი ოჯახსაც აღარ დაუბრუნდება! ქვეყნის შიდა ბაზრის დაუცველობის პირობებში ლოზუნგებით, დაპირებებით, თხოვნით, ქართველი კაცი თავის მშობლიურ მიწაზე, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ კონკურენტუნარიან (ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯებს ვგულისხმობ) პროდუქციას ვერ შექმნის. გამოსავალი ერთადერთია – პრობლემები ქვეყანამ საბაჟო გადასახადების მოწესრიგებით უნდა გადაწყვიტოს“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ივლისი, 2004 წელი).

პროფესორ ვ. პაპავას მიაჩნდა და მიაჩნია (ვლ. პაპავა, „პოსტკომუნისტური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა“, თბილისი, 2002წ) რომ – სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული საბაჟო ტარიფების სისტემაზე დამყარებული პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამღუპველი იქნებოდა“.

„ამ მიზნის (იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა) მიღწევის საუკეთესო საშუალება მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაა, რომლის უმთავრესი ფუნქცია სწორედ ამგვარი ბარიერების მოშლაა“.

„დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესებით სამამულო ბაზრის დაცვის მხარდამჭერი, პოსტსაქმოსანთა უმრავლესობა და მას ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავს, ამ ვერსიას, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილიც იზიარებს“.

„საქართველოს შიდა ბაზრის „დამცველთა“ შორის პერიოდულად ისეთი უკიდურესი მოსაზრებებიც კი გაისმის, რომ რამდენიმე წლით საერთოდ ჩაკეცილი საზღვრები... ჩაკეტილი საზღვრების პირობებში ქვეყნის შიგნით საბაზრო სისტემის ჩამოყალიბების შეხელაულებებს გარკვეული პირობითობით შეიძლება „საბაზრო სტალინიზმის“ კვალიფიკაცია მიეცეთ“.

„პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების მრეწველობისათვის პროტექციონისტულ პოლიტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, რომლის გამოსწორებაც ძალზედ ძნელი იქნება“.

„მართალია, ამ შემთხვევაში დასაქმება გაიზრდება, მაგრამ... დასაქმების ამგვარი ზრდა ქვეყნის ჩამორჩენილობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა და მას არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელი შეეწყოს“.

ამ შემთხვევაში ჩვენს ამოცანას და მიზანს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ ნააზრევთა სრული ანალიზი, მაგრამ გაუმართლებელი იქნება გვერდი ავუაროთ და სათანადო აქცენტები მაინც არ დაუვსვათ ჩვენთვის მიუღებელ ზოგიერთ დებულებას: აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმდებით მას, რომ:

– ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამლუპველი იქნებოდა პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება; ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევის საშუალება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაა; სამართლო ბაზრის დაცვის მხარდამჭერები პოსტსაქმოსნები არიან; საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტულ რეჟიმს სხვადასხვა დარგების პერსპექტული განვითარებისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს; ხელისუფლებაში მოსული მრეწველობის წარმომადგენლები თავიანთი ლობისტობით ღუპავენ იმ დარგს, რომლის ინტერესების დაცვასაც ფიქრობენ და ცდილობენ; დასაქმების ამგვარ ზრდას არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელი შეეწყოს და სხვა.

ზემოთ აღნიშნული პოზიციების გასამაგრებლად ბატონი ვლ. პაპავას დიდი ილიას ერთი ბრძნული გამონათქვამი მოჰყავს, რომელიც ასე უღერს: „ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისთვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იაფი – ჩემ-შენაობის გაურჩევლად“.

ამ გამონათქვამით კიდევ ერთხელ დასტურდება დიდი ილიას გენიალობა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების უზადო განჭვრეტის უნარი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ, სამწუხაროდ, მისი სამშობლო, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციისა და პროგრამის უქონლობის გამო, მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებს შორის აღმოჩნდებოდა და მისი გადარჩენისათვის აუცილებელი იქნებოდა ექსტრემალური, გადაუდებელი, ეტაპობრივი ღონისძიებები, რომლებიც საქართველომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ყველა რეგიონისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიუანსების გათვალისწინებით და არა რომელიმე ქვეყნისათვის, ვიღაც-ვიღაც დაქირავებული სპეციალისტების მიერ სხვადასხვა მიზნით დამუშავებულ პროგრამათა გადმომღერებით.

აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ თეორეტიკოსს, რომ ნებისმიერი ბარიერი, რომელსაც სახელმწიფო შიდა ბაზრის დაცვისათვის აღმართავს, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციაზე საერთაშორისო კონკურენტის სასიკეთო ზეგავლენას ზღუდავს.

ღღის მდგომარეობით, საქართველოში მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები განადგურებულია. მისი აღორძინების ალბათობა, ხელისუფლების დაპირებათა მიუხედავად, ნულის ტოლია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმება ნომერ პირველ თავსატეხს პრობლემად უნდა გაუხედეს ქვეყანას. ასეთ პირობებში ვსვამ კითხვას – თუ რომელიმე მეწარმე სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში გემირობის ტოლფას ქმედებას ჩაიდენს, რომელიმე დარგის აღორძინებას შეეცდება და სათანადო შედეგებსაც მიაღწევს, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე მხარდაჭერა არ უნდა მიიღოს?

მხარდაჭერაში არც შეღავათიან კრედიტებს, არც საგადასახადო შეღავათებს, არც ქონების პრივატიზაციაში გამონაკლისებს და არც სხვა დათმობებს არ ვგულისხმობ. ყველა ამ პრობლემას მეწარმე თავად მიხედავს, ხალხსაც დაასაქმებს და ქვეყნის ბიუჯეტსაც ასარგებლებს. სახელმწიფოსაგან მას მხოლოდ დაცვა სჭირდება. დაცვა სახელმწიფო და სხვა რეკეტისაგან, დაცვა ფალსიფიკაციისაგან, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, დაცვა უცხოეთიდან დემპინგური ფასებით შემოტანილი პროდუქციისაგან და სხვა. ეკონომისტების ენაზე თუ ვიტყვით, აუცილებელია ელემენტარული საინვესტიციო გარემოს შექმნა.

ჩვენს ქვეყანას, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელ დარგებში შეუძლია აწარმოოს მსოფლიო ბაზრის კონკურენტული პროდუქცია და,

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სწორედ ამ დარგებისადმი დამოკიდებულებას უნდა აქცევდეს განსაკუთრებულ ყურადღებას.

საბედნიეროდ, ასეთი პროდუქციის გამოშვების პრეცედენტები ქვეყანაში არსებობს და ის კიდევ უფრო გაიზრდება, თუ სახელმწიფო თავის ფუნქციას შეასრულებს, თუნდაც ზემოთ აღნიშნული პოზიციების ჭრილში. საილუსტრაციოდ მოვიტან რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს.

ცნობილმა ქართველმა მეწარმემ მართლაც რომ გმირობა ჩაიდინა და პირადი ინვესტიციების ხარჯზე მოახდინა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა სიმძლავრით შედარებით მცირე ჰიდროელექტროსადგურის პრივატიზაცია და რეაბილიტაცია. პროდუქცია გამოუშვა, თუმცა მისი რეალიზაცია სხვადასხვა ბარიერის გამო პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, ანუ გამოუმუშავებელი ელექტროენერჯის რეალიზაცია ვერ მოახერხა.

დღეს რომ კაცი საქართველოში სახელმწიფოსაგან ყოველგვარი თანადგომის გარეშე, ანუ სრულიად დამოუკიდებლად ხორბალს მოიყვანს და მის რეალიზაციას ვეღარ შეძლებს, სად არის მამინ სახელმწიფო?

შეიძლება ვინმემ იკითხოს, კი მაგრამ სახელმწიფო აქ რა შუაშიაო?

მათ საყურადღებოდ ვიმეორებ ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ და საკმაოდ განმარტებულ ოთხ შეკითხვას, რომელთა ირგვლივაც მზად ვარ, ნებისმიერი ცივილური ფორმით, ჩემს ოპონენტებთან გავმართო სათანადო პოლემიკა. აი, ეს შეკითხვებიც:

1. ქვეყანაში ახლად გახსნილ 10 საწარმოს, სადაც მუშაობს 100 კაცი, ქვეყნის ბიუჯეტში თვეში შეაქვს ერთი მილიონი ლარი. მეორე შემთხვევაში, იგივე ერთი მილიონი ლარი ბიუჯეტში თვეში შეაქვს 100, ანუ ათჯერ მეტ ახალ გახსნილ საწარმოს, სადაც დასაქმებულია 1000, ანუ ათჯერ მეტი მუშახელი. ყველა სხვა თანაბარ პირობებში სახელმწიფოსათვის მეორე ვარიანტი უფრო მომგებიანი რომ არის, ეს შეიძლება სადავო გახდეს?

2. რა უფრო მომგებიანია ქვეყნისათვის, ერთი ტონა მარცვლეული უცხოეთში შეიძინოს 100 აშშ დოლარად, თუ ადგილობრივი მეწარმის მიერ წარმოებული, ყველა პარამეტრით იგივე ხარისხის მარცვლეული – 120 აშშ დოლარად?

3. ქართველი გლეხი ვენახს რომ აჩეხავს და მის სანაცვლოდ სხვა უფრო „მომგებიან“ საქმეს ეწევა, ამაზე სახელმწიფომ მომავალი თაობების წინაშე პასუხი არ უნდა აგოს?!

4. საქართველოში, რის ვაი-ვაგლახით, მსოფლიო სტანდარტების დონეზე წარმოებულ მტკნარ, მინერალურ, ხილეულ წყლებს და უაღკოპოლო სასმელებს; რძის, მაკარონისა და თამბაქოს ნაწარმს; ფრინველის ხორცსა და კვერცხს; საკონსერვო პროდუქციას; ლუდს, ღვინოს და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს, თუნდაც საქართველოს ბაზარზეც რომ არ შეექმნათ თავიანთი საქონლის რეალიზაციის პრობლემები ამ საკითხზე სახელმწიფომ არ უნდა იფიქროს?

ჩვენი ღრმა რწმენით, სახელმწიფომ მარტო კი არ უნდა იფიქროს, არამედ სახელმწიფოებრიობის გარკვეული დონის მიღწევამდე თითოეული ამ დარგისა და საწარმოს ჭრილში მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებიც კი უნდა გააფორმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ვერ გადარჩება! ვიმეორებ, ამ ეტაპზე ეს ასეა საჭირო! ხოლო, როცა საქართველო ნამდვილ სახელმწიფოს დაემსგავსება, ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით, ანუ როცა სახელმწიფო იზრუნებს ხალხზე, ხოლო ხალხი – სახელმწიფოზე, მაშინ დავიჭიროთ ხელში, ბატონებო, ცნობილი თეორეტიკოსი ეკონომისტების ლოზუნგები და მატარებლის იმ ვაგონში ჩავსხდეთ, რომლის ბილეთის აღების საშუალებასაც ჩვენი ჯიბე გავწვდება. გვახსოვდეს, რომ უბილეთოდ, საერთაშორისო მატარებლით ვერ ვიმგზავრებთ. მანამდე კი სახელმწიფომ ხელი არ უნდა დაიბანოს მეწარმეთა პრობლემებისაგან.

სამწუხაროდ, ჩვენი „თეორეტიკოსები“ საქართველოს კოლაფსიდან გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად საერთაშორისო ბაზართან ქვეყნის შიდა ბაზრის სრულ ინტეგრაციას მიიჩნევენ. პრაქტიკულად კი ძნელია მსოფლიო რუკაზე მოიძებნოს ქვეყანა (ისინი აბსოლუტურ უმცირესობაში არიან), რომელიც სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით არ ახორციელებდეს თავისი ქვეყნისათვის მისაღები საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტულ რეჟიმს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან და თავად განსაჯეთ მათი ეკონომიკური პოლიტიკის ავკარგიანობა.

ნებისმიერი ცივილური ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგები, როგორც წესი, სარგებლობენ პროტექციონისტული პოლიტიკის სიკეთით. უფრო მეტიც, ღოტაციის გარეშე არ არსებობს არც ერთი განვითარებული ქვეყნის სოფლის მეურნეობა. მაგალითად, ევროკავშირში შემავალი 15 ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ

ხუთი პროცენტი მოიხმარს ევროკავშირის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს. ამ ხარჯებს ემატება აღნიშნული ქვეყნების კუთვნილი ბიუჯეტიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხებიც. ე.ი. თეზა იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკა თავად დაარეგულირებს ყველა პრობლემას, არც ამ შემთხვევაში მართლდება.

როცა საუბარია სახელმწიფოს მხრიდან უმნიშვნელოვანესი პროცესების მართვის ანუ რეგულირების აუცილებლობაზე, თვითდინებაზე ყველაზე აქტუალური პრობლემის მიშვება ანუ დერეგულირება დანაშაულის ტოლფასია.

პირიქით:

1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს როლი, როგორც მარეგულირებელი რგოლისა, თანდათან უნდა გაიზარდოს მანამ, ვიდრე იგი რეალურად არ უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმისა და შემოსავლის დონის გათანაბრებას. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება სახელმწიფოს იფიქროს დერეგულირების პროცესების დონის თანდათანობით ამალგებაზე.

2. საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნულ კონცეფციაზე დაფუძნებული, ანუ ეროვნული ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული ეკონომიკის განვითარების პროგრამა, რომლის ბალავარს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ცალკეული რეგიონის ბუნებრივ, საწარმოო და სხვა თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინება. რაც მთავარია, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სხვა რომელიმე ქვეყნის ანალოგიურ პროგრამას მიმსგავსებული დოკუმენტი, რაც სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში არც თუ იშვიათად ხდებოდა და ხდება.

3. ჩვენი და არა მარტო ჩვენი პოზიცია, რომელსაც სამამულო ბაზრის დაცვა ეწოდება, დამყარებულია დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესებაზე და არა რაიმე საქონლის ექსპორტი-იმპორტის აკრძალვაზე, რასაც ჩვენი პოზიციების მოწინააღმდეგენი, როცა დაჭირდებათ ჩვენს საწინააღმდეგო არგუმენტად ასახელებენ. აქედან გამომდინარე, ვიდრე აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ცოტა ღრმად ვიმსჯელებთ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ სახელმწიფო პრობლემების აკრძალვის პრინციპებით რეგულირების ყოველგვარი გამოვლინებისა. პრობლემები უნდა დარეგულირდეს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური

პრინციპებითა და კანონზომიერებებით, რადგან სხვაგვარი მიდგომით, როგორც წესი, ამ პრობლემებისადმი დამოკიდებულებას საბოლოო ჯამში ნეგატიური მოვლენების წინაპირობების წარმოქმნასთან მივყავართ.

შიდა ბაზრის დაცვის ჩვენეული პოზიციის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ და არიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

4. მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დარგისადმი რეგულირებადი საბაჟო ტარიფების დადგენის მოწინააღმდეგენი თავიანთ პოზიციებს იმით ასაბუთებენ, რომ ამ დარგებში შეიქმნება სასათბურე პირობები და იგი გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას, ანუ გაჩნდება იმის „საფრთხე“, რომ სხვა დარგების საწარმოებმაც დააღწიონ თავი კოლათსურ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ამ პოზიციასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ სამწუხაროდ და რეალურად მრეწველობის მთელ რიგ დარგებში როგორი პრივილეგიების სისტემაც არ უნდა შემოვიღოთ, მათი რეანიმაცია შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია შიში იმის თაობაზე, რომ „ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამლუპველი იქნებოდა პროტექციონისტული პოლიტიკა“. პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამოყვანისათვის, თუნდაც ტრადიციულ და პრიორიტეტულ დარგებში, აუცილებელია გონივრულად და მეურნის პოზიციების გათვალისწინებით განსაზღვრული მოქნილი, ეტაპობრივი და დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესება და ამოქმედება.

**ანზორ ბაბუხაძია,**  
**გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,**  
**ავგისტო, 2005 წ.**

# საკონტროლო-სალოაო აპარატების ყველა დონეზე დანერგვის აბსურდულ მოთხოვნას მის დისკრიმინაციამდე მიყვავანით

ფიქსირებული გადასახადის იდეა, რომელიც დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ბრძოლის იარაღად გადაიქცა, მართებული დანერგვა-ამოქმედების შემთხვევაში, შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით, ისეთ ეფექტს იძლევა, როდესაც მეწარმეც კმაყოფილია და სახელმწიფოც უკმაყოფილო კი მხოლოდ უფუნქციოდ დარჩენილი მაკონტროლებელთა არმია რჩება!..

ამ დასკვნამდე ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ჯერ კიდევ 15 წლის წინ მივიდა, როდესაც მის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა, რომელიც სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ითვალისწინებდა, შემოსავლები ორჯერ გაზარდა. თუმცა ექსპერიმენტმა, სახელისუფლებო ბარიერის გამო, არსებობა შეწყვიტა. ამდენად, დღეს ასე გააქტიურებული ფიქსირებული გადასახადის იდეა როგორც იტყვიან, არ ახალია, ძველია და მისი ავტორობა ცნობილ ეკონომისტს, ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარეს, ბ-ნ ანზორ ბაბუხაძიას ეკუთვნის.

– როგორც ცნობილია, დღეს საკონტროლო-სალოაო აპარატების ალტერნატივად ფიქსირებული გადასახადის იდეა სახელდება. თუმცა, ეს იდეა მხოლოდ ახლა არ დამდგარა დღის წესრიგში. თქვენ ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ ატარებდით კონკრეტულ ღონისძიებებს ფიქსირებული გადასახადების მეშვეობით ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებიდან შემოსავლების შეძლებისდაგვარად უმტკივნეულოდ გაზრდის მიზნით. რა ბედი ეწია ამ ინიციატივას? რატომ არ გაიზიარა ის მაშინდელმა ხელისუფლებამ?



– ფიქსირებული გადასახადის შემოდების თაობაზე ჩემი პოზიცია ჯერ კიდევ 1990 წელს ჩამოვყალიბე, როდესაც ქალაქის მერიაში ვაჭრობისა და მომსახურების სამსახურის უფროსად ვმუშაობდი. ამ მეთოდის დანერგვა ბევრ პრობლემას ხსნის. განსაკუთრებით ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ისეთ ობიექტებში, სადაც აღრიცხვა საკონტროლო-საღარი აპარატების საშუალებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია და გარკვეულ უზენაესობებთანაცაა დაკავშირებული. ფიქსირებული გადასახადის შემოდების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ფაქტორია ის, რომ ვაჭრობისა და მომსახურების დარგის მუშაკები დაცულნი არიან მაკონტროლებელთა მარწუხებისაგან და ზედმეტი ჩარევისაგან.

ამ იდეის ხორცშესხმის საშუალება, გარკვეულწილად მთავრობაში ჩემი გადასვლის შემდეგ მომეცა, როდესაც ვაჭრობისა და მომსახურების საკითხებში მთავარი სახელმწიფო მრჩეველის პოსტი მეკავა. საკითხი მთავრობის სხდომაზე გავიტანე. კერძოდ, საუბარი იყო ათამდე ობიექტში ექსპერიმენტის სახით ამ მეთოდის განხორციელებაზე, რომელიც შემოსავლებსაც გაზრდიდა და ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს წარმომადგენელთა ინტერესებსაც დაიცავდა. ერთწლიანმა დაკვირვებამ ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდის ეფექტურობაში დაგვარწმუნა. ქუთაისის მაშინდელმა მერმა ამ ექსპერიმენტის ქალაქის მასშტაბით განვრცობის შესახებ თხოვნით მოგვმართა. შესაბამისი დადგენილების მომზადების საფუძველზე მთელი ქუთაისის ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტები ამ მექანიზმს დაექვემდებარა.

**– ...თუმცა, რესპუბლიკის მასშტაბით ფიქსირებული გადასახადის იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა. რა იყო ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი?**

– საქმე ის გახლავთ, რომ ეს ექსპერიმენტი საგადასახადოს თანამშრომლებსა და სხვა შემომწოდებლებს ვაჭრობაში მომუშავე პერსონალთან შეხების წერტილებს უზღუდავდა. მათ მხოლოდ იმის გაკონტროლების უფლება რჩებოდათ, წინასწარ განსაზღვრული თანხა დადგენილ დროს შედის თუ არა ბიუჯეტში. ამდენად, რესპუბლიკის მასშტაბით ამ ექსპერიმენტის დანერგვა საგადასახადოს თანამშრომელთა ფუნქციების შესუსტებას და შეკვეცას გამოიწვევდა. მათთვის ეს ხელსაყრელი არ იყო. ამიტომ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებული ორივე დადგენილება გააუქმეს. სუფთა მექანიზმზე მუშაობა, რომელიც სასარგებლო იყო როგორც ბიუჯეტისთვის

ვის, ასევე მეწარმისათვის, ხელს არავის აძლევდა. მივხვდი, რომ ჩემი თანამდებობა ამ იდეის ხორცშესხმის საშუალებას არ მაძლევდა. დაჯტოვე პოსტი და სხვა გზებით შევეცადე დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირი შეკქმენი, რათა ამ საკითხის გააქტიურებისთვის ახალი ძალისხმევა მიმეცა, მაგრამ ხელისუფლებამ კვლავაც ჯოუტად არ მოისურვა ამ მეთოდის განხორციელება. უფრო მეტიც, იმასაც კი ვერ მივაღწიე, რომ ჩემთვის მოესმინათ და იმით მაინც დაინტერესებულიყვნენ, კონკრეტულად რას ვთავაზობდი. ხვდებოდნენ, რომ ჩემი წინადადებები ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის საერთო პოლიტიკას და მათ პირად ინტერესებს.

– დღეს ფიქსირებული გადასახადის შემოღების მოთხოვნას უკვე ბევრი აყენებს. რამდენად სწორად აქვთ მათ გაცნობიერებული ფიქსირებული გადასახადის არსი? როგორც ცნობილია, მისი არასწორად განსაზღვრისა და, მითუმეტეს, მაზინჯი ფორმით დანერგვის შემთხვევაში, ვერ მივიღებთ იმ ეფექტს, რაც მოიზანს შემოსავლების ზრდას მაკონტროლებელთა ჩარევისა და მეწარმეთა ინტერესების დაცვის პირობებში.

– სამწუხაროდ, არავინ საუბრობს იმაზე, თუ რა მექანიზმს ითვალისწინებს ფიქსირებული გადასახადის იდეა. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც ფიქსირებული გადასახადის დაწესების მოთხოვნით გამოდის, არ აქვს ჩამოყალიბებული, თუ როგორ წარმოუდგენია ფიქსირებული გადასახადის დანერგვა. ისინი მხოლოდ სიტყვებით სპეკულირებენ და საქმეზე წარმოდგენა არა აქვთ. ხელისუფლება რომც დაეთანხმოს ფიქსირებული გადასახადის შემოღებას, ვერც ერთი მათგანი ვერ ჩამოყალიბებს კონკრეტულ სქემას. ჰაერზე ლაპარაკს კი ჰაერში ჩამოკიდებულ შედეგებადღე მიყვავართ.

– რაც შეეხება საკონტროლო-სალარო აპარატებს, როგორც ცნობილია, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გაფართოვდა იმ პირთა თუ ობიექტთა არეალი, რომლებიც ვალდებულინი არიან, გამოიყენონ საკონტროლო-სალარო აპარატი. თქვენის აზრით, ვინ უნდა იყოს თავისუფალი სალარო-აპარატის გამოყენების ვალდებულები-საგან?

– სამწუხაროდ, ეს თემა სპეკულირების ობიექტად გადაიქცა, ვინაიდან, ბევრმა არ იცის, თუ სად შეიძლება და სად არ შეიძლება ამ აპარატის გამოყენება. სტაციონალურ ობიექტებში, თუნდაც ეს ბაზრობაზე

იყოს, საკასო აპარატის გამოყენება შესაძლებელია და საჭიროც არის, მაგრამ ღია დახლზე ამ აპარატის მოხმარების არანაირი პირობა არ არის.

– საინტერესოა, რატომ გაამწვავა ხელისუფლებამ ეს საკითხი – წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, რისკენ არის ეს ყველაფერი მიმართული და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ნაბიჯს ბიუჯეტისთვის და, საერთოდ, ქვეყნისათვის? ამავდროულად, რამდენად არის ეს ღონისძიება ასეთი ფორმით ხელშემშლელი მეწარმისთვის, რომელიც დაინტერესებულია მოგების მიღებით...

– ისე არ გამიგოთ, თითქოს საღარო აპარატის გამოყენებას ვეწინააღმდეგებოდე, პირიქით. მისი მოხმარება აუცილებელია ნებისმიერი ცივილური ფორმით ვაჭრობისა და გადასახადების აღრიცხვისათვის. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ, სადაც მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია, იქ მისი დანერგვის მოთხოვნა უკვე დანაშაულებრივ სახეს იღებს და ხალხის დაშინებისა და მათთვის ზედმეტი პრობლემების შექმნისკენაა მიმართული. საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა, რისი არ არსებობაც, პირველ რიგში, პროფესიონალიზმის დეფიციტითაა განპირობებული. ისინი არც არიან დაინტერესებული, რომ ეს საქმე პროფესიონალებს მიანდონ. ერთი სიტყვით, ქვეყანაში ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს, არც ადრე არსებობდა.

ჩავენდოთ რეალობას თვალეში და ვთქვათ, რომ საკონტროლო-საღარო აპარატების დანერგვას წინააღმდეგობას უწევენ იმ მიზეზით, რომ მცირე მეწარმემ არ იცის აღრიცხვიანობის მოწესრიგების შემთხვევაში, სახელმწიფო მათი დაბეგვრის რა მექანიზმს „მოიფიქრებს“. ამიტომ, ამ თემაზე ხელოვნურად აგორებული აჟიოტაჟი ჩაცხრება, თუ პარალელურად მთავრობა გამოაცხადებს, რომ ბრუნვის მოცულობის აღრიცხვიანობის მოწესრიგების კვალობაზე, მათი დაბეგვრა განხორციელდება ბრუნვის მოცულობიდან გარკვეული პროცენტის დადგენის შედეგად. თუ დაბეგვრის ეს ღონე რეალური და მისაღები იქნა მეწარმეთათვის, მაშინ პრობლემა მოგვარდება და ორივე მხარე, ანუ, სახელმწიფოც და მეწარმეც მოგებულნი დარჩება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამ მექანიზმის დახვეწა უნდა მოხდეს პროფესიონალებთან კონსულტაციის შედეგად და არა „ვიდაც-ვიდაცების“ მიერ მოწყობილ მიტინგებზე!

– მეწარმეთა ფენა დღეს დაშინებულია იმ ღონისძიებების გამო, რასაც ხელისუფლება ქვეყანაში ახორციელებს. თუ ხელისუფლება არ წა-

ვა დათმობაზე და სავალდებულოს გახდის ყველა ღონეზე სალარო-აპარატის გამოყენებას, სადამდე მიგვიყვანს ასეთი „კატეგორიული“ მიდგომა?

– ამით ხელისუფლება სალარო აპარატის დანიშნულებას და ავტორიტეტს დისკრედიტაციას გაუწევს და ნულის ღონეზე დაიყვანს. ყველაფერი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ამ აპარატის მნიშვნელობა ყველამ გააცნობიეროს და იმ შეგნებამდე მივიდეს, რომ ნავაჭრი აღრიცხოს. ხოლო იქ, სადაც აღრიცხვა ვერ ხერხდება, ფიქსირებული გადასახადი უნდა დაწესდეს. განა შეიძლება სალარო აპარატი ლიფტში დაიდგას? აქ სხვა მექანიზმი უნდა მოიძებნოს, რათა საკონტროლო-სალარო აპარატის დისკრედიტაციამდე არ მივიდეთ.

**– რა პრინციპით უნდა მოხდეს ფიქსირებული გადასახადის განსაზღვრა? ფართის, საქმიანობის მიხედვით თუ კიდევ სხვა ნიუანსების გათვალისწინება საჭირო?**

– ჩვენ უამრავი ვერსია გავაანალიზეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთიანი ფიქსირებული გადასახადის დაწესება გაუმართლებელია. სხვადასხვა სავაჭრო კერა თუ ადგილი სხვადასხვაგვარად მომუშაობს, რაც მიუღებელს ხდის ერთიანი გადახდის დაწესებას, თუმცა განსხვავებული გადასახადის დანერგვაც არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად. ამიტომ შევიძუშავეთ მექანიზმი, რაც გულისხმობს ისეთი სახის დაბეგრას, რომელიც მიღწეული ღონიდან გამომდინარეობს. მისი ოდენობა სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს განსაზღვრული და არა საგადასახადო ინსპექტორის მიერ. ამავდროულად, ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლა ნებაყოფლობით ხასიათს უნდა ატარებდეს. მოვაჭრე ან გადადის ფიქსირებული გადასახადის სისტემაზე, ან იმ წესს ემორჩილება, რომელიც ამ მიმართულებით ქვეყანაშია დანერგილი. ამავდროულად, ეს მექანიზმი არ საჭიროებს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას და ძალზე მარტივ პრინციპებს ეყრდნობა. ფიქსირებულ გადასახადზე გადასვლა ხდება საგადასახადო სამსახურებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. ხელშეკრულების თანახმად, გადასახადის გადახდელები გადაიხდიან ბოლო თვეებში მათ მიერ გადახდილ გადასახადთან შედარებით რამდენადმე მეტ ფიქსირებულ გადასახადს იმ პირობით, რომ ზედმეტი შემოწმებლებისგან გათავისუფლდებიან. საქმე იმაშია, რომ ისინი სხვადასხვა არხებით ოფიციალურად განსაზღვრულ თანხაზე მეტს მაინც იხ-

დიან. ამით კი მიეცემათ საშუალება, რომ ბიუჯეტსაც მეტი ფული გადაუხადონ და თვითონაც წელში გამართულნი იყვნენ.

– გასაგებია, მაგრამ როგორ განისაზღვრება რეალური ნავაჭრის ოდენობა, რასაც, ფაქტობრივად საკონტროლო-საღარო აპარატი აწესრიგებს? ისევ იმ პრობლემამდე ზომ არ მივალთ, რომ რეალური ნავაჭრის დამალვა მოხდება, რაც უარყოფითად აისახება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების სისტემის მოწესრიგებაზე?

– ხარვეზები გამორიცხული არ არის, მაგრამ სანაცვლოდ შემოსავალს ვაორმაგებთ. ნებისმიერი საგადასახადო აფიქსირებს, რამდენი შეიტანა ამა თუ იმ ობიექტმა წლის განმავლობაში. ვისაც ზუსტად შეაქვს გადასახადი, შეიძლება ის არც წამოვიდეს იმ გაორმაგებაზე, რასაც ფიქსირებული გადასახადი ითვალისწინებს... მას შეუძლია ქვეყანაში ძირითადად არსებული მეთოდით განაგრძოს საგადასახადოსთან ანგარიშსწორება, ეს წესი უფრო ისეთი სახის სავაჭრო და მომსახურების ობიექტებისკენაა მიმართული, სადაც ვერ ხერხდება საღარო-აპარატების გამართული მუშაობა, და ბრუნვის ზუსტი აღრიცხვა. გეკითხებით: რატომ უნდა იყოს დამოკიდებული მეწარმე საგადასახადო ინსპექტორის ხასიათსა და გუნება-განწყობაზე? რაც ყველაზე არსებითია, განახევრდება საგადასახადო ინსპექტორთა ოდენობა, გაორმაგდება შემოსავალი, – ესაა ფიქსირებული გადასახადის ძირითადი არსი და პრინციპი.

და ბოლოს: თუ ხელისუფლება არ გაჯიუტდა და გააგრძელებს გამოთქმას, „ვიდრე ჩვენ ამ თანამდებობებზე ვართ, ამ საკითხს არ განვიხილავთ“ და სანაცვლოდ შემოგვთავაზებს პრობლემის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ ვარიანტს – მაშინ, ჩვენი კავშირი მზად არის მონაწილეობა მიიღოს მათი წინადადებების განხილვა-დახვეწაში და შემდეგ მედიატორის როლიც კი იკისროს დაინტერესებულ მხარეთა შორის.

ესაუბრა ნონა ბურნაძე  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“,  
№5, მარტი, 2006 წ.

# შესდომები, რამას ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და დღესაც ანგრივს

ყველა თავის საქმის უნდა დაუბრუნდეს:

გლეხი — მიწას, მუშა — მანქანა-დანადგარებს,  
ხელოვანი — ხელოვნებას, მესხიერი — მესხიერებას

წერილის ქვესათაურად გამოტანილი ეს სიტყვები აწ განსვენებულ აკადემიკოს ნიკო ჭავჭავაძეს ეკუთვნის. რამ მიიყვანა სახელოვანი მეცნიერი ამ აზრის აუცილებლობამდე? ეჭვი არ არის, იმ უკუღმართმა პოლიტიკამ, რომლითაც საქართველოში ეკონომიკა იმართება, უფრო სწორად, ინგრევს. ამ ნგრევის ლოგიკური შედეგია ის გაუსაძლისი სიღუბე და სიღატაკე, რომელიც ქვეყანას ბანგივით დასწოლია და ადამიანებს მოხრჩობით ემუქრება. მართალია, ხელისუფალნი ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ წარმატებული რეფორმების წყალობით საქართველოს ეკონომიკა ყოველწლიურად სულ მცირე 10 პროცენტით მაინც იზრდება, რასაც კვერს უკრავენ მაღალრეიტინგული საზღვარგარეთული საფინანსო ორგანიზაციების თავაკცები, მაგრამ რას მოგვიტანს ასეთი ზღაპრები, როცა შიშის თვალებით შემოგვცქერის საბედისწერო რეალობა? ჩვენდა სამწუხაროდ, ხელისუფალთა პერმანენტულ ცვლას, რასაც თან სდევს ხოლმე მსხვილ-მსხვილი დაპირებები, ეკონომიკური განვითარების კურსის პოზიტიური ცვლა არ მოჰყოლია. ეს ქვეყანას გაურკვეველი მომავლის საშიშროების წინაშე აყენებს.

ასეთ დროს, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა გქნათ, როგორ მოვიქცეთ, რა მიმართულება ავირჩიოთ ისეთი, რომ კიდევ ერთ წყალქვეშა აისბერგს აღარ შევეტაკოთ? ეს რომ არ მოხდეს, რა თქმა უნდა, უპირველესად, უნდა გავაანალიზოთ ის მწარე შეცდომები (თანაც ღიად), რომლებიც საბაზრო ეკონომიკის უცნობ გზაზე სიარულისას დავეშვიით,

სიმართლის თქმისა არ შეგვეშინდეს, ვაჟკაცურად ვაღიაროთ დანაშაული და მხოლოდ ამის შემდეგვლა განვსაზღვროთ სამომავლო ამოცანები, რამეთუ უამისოდ სწორი კურსით სვლა შეუძლებელია.

მაგრამ ვინ უნდა დაეხმაროს საზოგადოებას (თვით სახელმწიფოსაც) დაშვებული შეცდომების გაცნობიერებასა და სამომავლო სწორი კურსის განსაზღვრაში? რა თქმა უნდა, მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტები, პოლიტოლოგები, ბიზნესმენები, მეწარმეები და სხვები, რომლებმაც ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პერიოდში მდიდარი თეორიული და ცხოვრებისეული გამოცდილება დააგროვეს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლავთ საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ანზორ ბაბუნაძე, რომლებმაც განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველამდე, პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობასაც. იგი ამჟამადც ნაყოფიერად იღვწის ჩვენი ღუბჯირი ყოფის უკეთესობისკენ შემოსაბრუნებლად, არის გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელი, საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე. ამიტომაც გადავწყვიტე, რუბრიკა მასთან საუბრით გამეხსნა.

დიდი სიამოვნებით შევხვდები სასაუბროდ სხვებსაც, ვინც ამ თემაზე საკუთარი აზრის გამოთქმას მოისურვებს.

– ბატონო ანზორ, ჩვენი ეკონომიკის კოლაფსში ჩავარდნის ძირითად მიზეზად რა მიგაჩნიათ?

– ის, რომ საკუთარი გზით არ მივდივართ. არ შეიძლება დამოუკიდებელი ქვეყანა გერქვას და საკუთარ ეკონომიკას კი სხვისი ჭკუით მართავდე. თუ სადამდე მიგვიყვანა სხვათა „დამრიგებლობით“ სიარულმა, ამაზე მეც რომ არაფერი ვთქვა, თავად სტატისტიკური მონაცემები ლაპარაკობენ. ბოლო ორი წლის შედეგებს რომ თავი გავანებოთ (აქ ბევრი რამ შეგნებულად არეულ-დარეულია), 2004 წელს სამრეწველო საწარმოებმა, 1990 წელთან შედარებით, 4,1-ჯერ ნაკლები პროდუქცია აწარმოეს. ამავე პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 11,4 პროცენტით შემცირდა, ხოლო ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობა – თითქმის ექვსჯერ. ეს, არც მეტი არც ნაკლები, კატასტროფის ტოლფასია.

– და ყოველივე ამას იმით ხსნით, რომ ეკონომიკის განვითარების ჩვენეული ხედვა არ გაგვაჩნია?

– ღიახ, ერთი წინადადებით ჩემი პოზიცია ზუსტად ასე გამოიხატება. რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, სამწუხაროდ, საქართველოს დღემდე არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, ანუ არ ვიცით რა გვინდა, საით მივდივართ, რა პერსპექტივა გვაქვს და ასე შემდეგ.

– მერე, ჩემო ბატონო, გეთქვათ, ეს აღრევე, როცა მთავრობის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი იყავით და იქნებ იმ უბედურებას, რაშიც ამჟამად ვიმყოფებით, გადავრჩებოდით.

– ვინ გითხრათ, რომ არა ვთქვი? ამის თაობაზე ჩემი პოზიცია ერთხელ კი არა, ბარე ათჯერაც გავიმეორე, მაგრამ ვინ მოვისმინა?

– იქნებ დააკონკრეტოთ?

– კი ბატონო, ავიღოთ, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის „რეკომენდაციებით“ ჩვენი ეკონომიკა დღესაც იმართება. მასთან ურთიერთობისას ჩემი პოზიცია პირველად სურსათის სამთავრობო კომისიის, ხოლო შემდეგ მთავრობის სხდომაზე დავაფიქსირე. პრინციპულად დაუწყენე მოთხოვნა მაშინდელ მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობას, რომ დაინტერესებული მხარეები, მეწარმეების ჩათვლით, სასწრაფოდ დავმსხდარიყავით საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან ერთად და სადავო საკითხებზე გვემსჯელა. დასხდომით კი დავსხედით, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ? არაფერი, უბრალოდ, კედელს ცერცვი შევყარეთ!

– რატომ, ხომ ვერ აგვიხსნით?

– იმიტომ, რომ ის მხარე საკითხს სუფთად საბაზრო პრინციპებით უდგებოდა და ჩვენი ქვეყნის ტრადიციებისა და თავისებურებების შესახებ არაფრის მოსმენა არ სურდა. უფრო მეტიც, გვიმტკიცებდა, რომ თუ გლეხისთვის საზამთრო ან მზესუმზირა უფრო მეტი მოგების მომტანი იქნებოდა, ვენახი უნდა აეჩეხა და მის ნაცვლად სხვა მომგებიანი კულტურები მოეყვანა. მოდი და ასეთ „პარტნიორს“ აუხსენი ქართველი გლეხკაცისთვის „შვილივით ნაზარდი“ ვაზის მნიშვნელობა.

– იმასაც ხომ არ გვირჩევენ, რომ საერთოდ არაფერი მოგვეყვანა?

– ფაქტობრივად, ასე გამოდიოდა, რადგან გვეუბნებოდნენ – ქვეყანამ არ უნდა აწარმოოს ისეთი საქონელი, რომელიც სხვა ქვეყანაში უფრო



იაფი ჯდებაო. აქედან გამომდინარე, ჩვენი საწარმოების გაჩერებას და გაჩანაგებას ეკონომიკურ კანონზომიერებად მიიჩნევდნენ. ისიც კი გვითხრეს, რადგან თბილისის მეტროპოლიტენი არარენტაბელურია, უნდა გაჩერდესო. მაშინ დავრწმუნდი, რომ ასეთ ორგანიზაციასთან დავას აზრი არ ჰქონდა და კამათი დროზე ადრე შევწყვიტეთ.

ადრეც არაერთგზის დამიწერია პრესაში და ახლაც ვიტყვი, რომ „ჩვენი უცხოელი მეგობრების“ მთავარი მიზანი იმ თვითმყოფადი, პატარა ერების განადგურებაა, რომელთაც გამორჩეული კულტურა და წესჩვეულებანი აქვთ. ისინი მიზანმიმართულად იღვწიან მოსახლეობის შესამცირებლად, არნახული ტემპებით ზრდიან უმუშევრობას. მათ ამ ერების „გადარჩენის“ ერთადერთ გზად უფასო სასაღილოების მომრავლება ესახებათ...

### – კიდევ რას უწუნებთ ხელისუფლებას?

– იმას, რომ სახელმწიფო არ იცავს საკუთარი ქვეყნის ბაზარს, იგი დედინაცვალივით ექცევა ადგილობრივ მეწარმეებს, უცხოელები კი გაპარპაშებული ჰყავს. ამით სახელმწიფო ანგრევს ქვეყნის წარმოებას და შესაბამისად ეკონომიკასაც. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, ბატონებო, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიმანია, რომ სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში, კერძოდ, მის ბაზარში მიმდინარე პროცესები.

### – მერე ვინმე ეწინააღმდეგება ამ სტრატეგიას?

– თანაც ერთი და ორი კი არა, ბევრი. იმის გამო, რომ ბაზრის დაუცველობას ვეწინააღმდეგები და მისადმი სახელმწიფოს პროტექციონისტულ პოლიტიკას ვემზრობი, ზოგმა თეორეტიკოსმა ეკონომისტმა და ჟურნალისტმა საბაზრო ეკონომიკის მტრადაც კი გამოამაცხადა. მათი აზრით, „პოსტკომუნისტური ქვეყნების მრეწველობისათვის პროტექციონისტურ პოლიტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, რომლის გამოსწორებაც ძალზე ძნელი იქნება“.

ისინი რომ ცდებიან, ამის დასტური ჩვენი რეალური ყოფაა: ქართველმა გლეხმა მასობრივად მიატოვა სოფელი და ლუკმაპურის სასოვნელად ისედაც გაღატაკებულ ქალაქს მიაშურა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვეყნის დოვლათის შემქმნელი მომხმარებლად ვაქციეთ. ანალოგი-

ური სურათია ქალაქში – კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფაბრიკებისა და ქარხნების მიღმა დარჩა, რაც იმის შედეგია, რომ რეალურ ფასად შექმნილი მათი პროდუქცია ბაზრიდან განდევნა დემპინგურმა, ანუ ჩვენს დასაჩოქებლად ხელოვნურად ჩამოყალიბებულმა ფასებმა. მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოში ეს პროცესები ეკონომიკური ბერკეტებით რეგულირდება. ჩვენთან კი პირიქით ხდება – ამ ბერკეტების გამოუყენებლობამ ქვეყნის წარმოება მოშალა და დაანგრია. მართო ერთ მაგალითს მოვიტან: დღეს რომ კაცი სრულიად დამოუკიდებლად ხორბალს ან ყურძენს მოიყვანს და მის რეალიზაციას ვეღარ შეძლებს, სად არის მაშინ სახელმწიფო?

**– თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ქვეყნის ეკონომიკის კოლაფსიდან გამოყვანა?**

– რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ კარგ მთქმელს კარგი გამგონე ეყოლება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი მოსაზრებანი (ბროშურად აკინძული, გაკუვზაფენე ქვეყნის პირველ პირებსაც და პარლამენტისა და მთავრობის შესაბამის სამსახურებს, მაგრამ დღემდე პასუხი ვერავისგან მივიღე. ამას სხვა ვერაფერს დავარქმევ, თუ არა მათი მხრიდან სიბრძავესა და სიყრუეს.

არადა აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს როლი, როგორც მარეგულირებლისა, თანდათან გაიზარდოს მანამ, ვიდრე იგი რეალურად არ უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმისა და შემოსავლის ღონის გათანაბრებას. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება სახელმწიფოს, იფიქროს რეგულირების პროცესების ღონის თანდათანობით შემცირებაზე.

დღეს საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნულ კონცეფციასზე დაფუძნებული, ანუ ეროვნული ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული ეკონომიკის განვითარების პროგრამა, რომელიც დაეფუძნება ქვეყნის ცალკეული რეგიონების ბუნებრივ, საწარმოო და სხვა თავისებურებებს.

ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის კოლაფსიდან გამოყვანისათვის, თუნდაც ტრადიციულ და პრიორიტეტულ დარგებში, აუცილებელია მეურნის პოზიციების გათვალისწინებით განსაზღვრული მოქნილი, ეტაპობრივი და დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწე-

სება და ამოქმედება. ამას რომ ვამბობთ, სულაც არ ნიშნავს, რომ სამაშულო ბაზრის დაცვა უნდა ემყარებოდეს რაიმე საქონლის ექსპორტი-იმპორტის აკრძალვებს. მე პირადად კატეგორიულად ვეწინააღმდეგები სახელმწიფო პრობლემების აკრძალვის პრინციპებით რეგულირების ყოველგვარ გამოვლინებას. პრობლემები უნდა დარეგულირდეს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური პრინციპებითა და კანონზომიერებებით.

ჩვენ ვისაუბრეთ ხელისუფლების მხრიდან იმ მიუტევებელ ქმედებაზეც, რომელსაც ბოლო პერიოდში ის მიმართავს კერძო მესაკუთრეთა, საერთოდ, მეწარმეთა დასაშინებლად და დასათრგუნად. საკუთრების ხელყოფისა თუ მისი სახელმწიფოსათვის „ნებაყოფილობით ჩუქების“ ფაქტები ძირს უთხრის ქვეყნის ისედაც დაუძღურებულ ეკონომიკას და მას საბოლოოდ ასამარებს.

ბოლოს და ბოლოს დავიდალეთ ხელისუფლების მიერ დაშვებული გაუგონარი შეცდომებითა და ქმედებებით, რამაც სავალალო ყოფამდე მიგვიყვანა. ალბათ, მართალი იყო თეოდორ დოსტოევსკი, როცა ამბობდა: „ადამიანები იღლებიან არა იმით, რომ ბევრს მუშაობენ, არამედ იმით, რომ არ იციან, როგორ იმუშაონ“.

**ესაუბრა**  
**ოთარ ხუციშვილი**  
**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,**  
**7 მარტი, 2007 წ.**

# „ოღონღ ქართულად ვილაპარაკოთ“

შენ, ჩვენი სუნთქვის დიდი ალამო,  
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

**ირაკლი აბაშიძე**

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ პრინციპიდან გამომდინარე, გადავწყვიტე ზოგიერთი მოსაზრება გაგიზიაროთ ერთ ძალზე საჭირო და აუცილებელ წიგნთან დაკავშირებით, რომელსაც „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ ჰქვია (თბილისი, 2005). ამ უპრეცედენტო გამოცემის (10 000-მდე ტერმინი, 822 გვერდი) დადებით მხარეებზე და ნალოვანებებზე მსჯელობა სრული მოცულობით, საგაზეთო სტატიაში არ გამოგვივა. მათ შესახებ უფრო საინტერესო და შედეგიანი საუბარი გვექნება ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ სპეციალისტებთან. აქედან გამომდინარე, ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვაქვს მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა და მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება ჩვენი აზრით უფრო მომგებიანს გახდის წიგნის შემდგომ გამოცემას.

ვიდრე უშუალოდ საქმეზე გადავალ, თავს უფლებას ვაძლევ, გაგაცნოთ ამონარიდი ჩემი ერთ-ერთი სტატიიდან „საყოველთაოდ, ზმამალა სათქმელი“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ივლისი, 2001წ.):

„კაკაბეთის ზარების“ შემოკვრის დრო დადგა სრულიად საქართველოში სახელმწიფო ენის – უნიკალური და განუმეორებელი ჩვენი დედაენის მეორეხარისხოვან ენად გადაქცევის საშიშროების გამო. დღეს, თუ ვინმეს თავის წარმოჩინება უნდა განსწავლულობით, საუბარში უცხო სიტყვების ორომტრიალით იწონებს თავს. სხვა დარგებში რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია კატას-

ტროფულად ჩამორჩა მოთხოვნებს: თუ ქვეყანამ ამა თუ იმ მეცნიერებაში თავისი ეროვნული ტერმინოლოგია მაქსიმალურად არ დაამკვიდრა, მაშინ ამ ქვეყნის ენაზე სამეცნიერო ნაშრომების შექმნა თანდათან დაკარგავს აქტუალობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული მეცნიერების მამებმა, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე მეცნიერების ყველა დარგში ქართული ტერმინოლოგიის შემოღებას და დამკვიდრებას მიანიჭეს სწორედ უპირველესი მნიშვნელობა. პირადად გახლავართ მოწმე იმ დისკუტებისა, რომლებზეც ქართული ეკონომიკური აზრის აღიარებული ლიდერები წლების განმავლობაში როგორი პრინციპულობით ბჭობდნენ და დაობდნენ თითოეული ეკონომიკური ტერმინის დამკვიდრების აკარგიანობასა და მნიშვნელობაზე. თუ ეს მექანიზმები სასწრაფოდ არ ამუშავდა, მაშინ ქართული სამეცნიერო ენა დაკარგავს ფუნქციას და ის მხოლოდ სასაუბრო, საყველპურო ენა გახდება. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ მშობლიურ ენაზე ლექსიც აღარ დაიწერება, ბავშვებისათვის მშობლიურ ენაზე საშუალო განათლების მიღება აზრს დაკარგავს და ის დაგვემართება, რაც უკვე დაემართა ჩვენზე ათჯერ და ასჯერ უფრო დიდ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში, ჯერ კიდევ შემორჩენილი თითო-ორილა მშობლიურენოვან სკოლებში ბავშვების შეყვანა არაპრესტიჟულად და ჩამორჩენილობის დონის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ითვლება.

თუ საგანგებო ღონისძიებები არ გატარდა, ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა და დღევანდლამდე მოტანილი „ჩვენი ენა ქართული“ ისტორიის კუთვნილება გახდება“.

პრობლემისადმი ამ განწყობას და დამოკიდებულებას დღესაც ვინარჩუნებ და ამიტომ განსახილველი წიგნის ფონზე გავბედავ და გამოვთქვამ რამდენიმე მოსაზრებას, რომლებიც გაამართლებენ სტატიის სათაურს.

1. ლექსიკოგრაფიაში ღრმად ჩაზედულის არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია (თუმცა, თუნდაც ოჯახური მდგომარეობის გამო, გაცილებით მეტი მომეთხოვება), მაგრამ წიგნში მოტანილი ძალზე ბევრი ტერმინი (თითქმის ყველა გვერდზე), ქართულად ასე რომ არ უნდა იწერებოდეს, ამას მტკიცება ან განმარტება არ სჭირდება. აი, ზოგიერთი მათგანიც:

- „ავიზო გზავნილების შემოსავლის შესახებ“;
- „ანგარიში ბანკისა ბლოკირებული“;
- „ანგარიში ბანკში ბალანსგარე“;
- „ანგარიში ბროკერის ფინანსურ და ოპერატიულ საქმიანობაზე ერთიანი“;
- „აპარატი სახელმწიფო“;
- „აღრიცხვა ვაჭრობაში საქონლის რეალიზაციისაგან ამონაგებისა“;
- „ბაზარი ტარიფებისა ერთიანი“;
- „ბაზარი არასრულყოფილი არასრულყოფილი კონკურენციისა“;
- „ბაზარი სასესხო კაპიტალისა პარალელური“;
- „ბაზარი შემდგომი ფასიანი ქაღალდებისა“;
- „ბალანსი საგადასახდლო მიმდინარე ოპერაციებზე“;
- „ბირჟა საერთაშორისო ფინანსურ-ფიუნქრსული ლონდონისა“;
- „გადამხდლები გადასახადებისა მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე“;
- „გამოკვლევა შერჩევითი მოსახლეობის შემოსავლებისა“;
- „განაკვეთი ცენტრალური ბანკის განაღდებისა“;
- „გარემო ბაზრისა დინამიკური“;
- „გეგმა ფასიანი ქაღალდების პორტფელის მუდმივი ღირებულებისა“;
- „ორგანიზაცია შრომისა მეცნიერული“;
- „ორგანიზაცია არაკომერციული ოჯახური მეურნეობის მომსახურე“;
- „საზღაური შრომისა დამატებითი“ და ა.შ. და ა.შ.

სიტყვათა ასეთ წყობას არავითარი გამართლება რომ არა აქვს, ეს ერთია, ხოლო მეორე და მთავარი ის არის, რომ ასეთ ლაბირინთებში საჭირო ეკონომიკური ტერმინის განმარტებას, რა თქმა უნდა, ვერ მიაგნებ. სანიშუშო მაგალითად გამოდგება საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული გამოთქმა (ტერმინი) „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“. სამწუხაროდ, ამ ტერმინის განმარტება წიგნში მოცემული არ არის. სამაგიეროდ განმარტებულია ცალკეულ სიტყვათა ისეთი კრებული, როგორიცაა: „ორგანიზაცია შრომისა მეცნიერული“, ან კიდევ ქართულად გამოთქმული რომელი ტერმინის განმარტებად გამოდგება სიტყვათა ნაკრები: „გეგმა ფასიანი ქაღალდების პორტფელის მუდმივი ღირებულებისა“ და სხვა და სხვა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ, იშვიათ შემთხვევებში, ესა თუ ის ტერმინი ან საყოველთაოდ აღიარებული ორგანიზაციის დასახელება, წიგნში სწორადაა მითითებული. მაგალითად, „ამერიკის საფონდო ბირჟასთან არსებული ანგარიშსწორების პალატა“. კიდევ კარგი, რომ ასეთი გამონაკლისებიც არსებობს, თორემ სხვა შემთხვევაში ამ ორგანიზაციის დასახელება, ალბათ, ასეთი სახით იქნებოდა წარმოდგენილი: „პალატა ანგარიშსწორებისა საფონდო ბირჟასთან არსებული ამერიკაში“.

2. წიგნის მისასაღამებელ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში „პირველად შეტანილია ქართველ სწავლულ ეკონომისტთა – ეკონომიკის მეცნიერების დოქტორების ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები“. ასეთ პირობებში არავითარი გამართლება არა აქვს და დანაშაულის ტოლფასი ქმედებაცაა იმ პიროვნების ბიოგრაფიული ცნობების შეტანა ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომელიც ზემოთ აღნიშნულ პარამეტრს არ აკმაყოფილებს. მით უმეტეს, როცა ესა თუ ის პიროვნება ამავე წიგნში გამოქვეყნებული ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორთა სიაშიც არ არის შეყვანილი.

3. მეტი ყურადღება მოეთხოვებოდათ ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის მესვეურებს, რათა მასში არ გაპარულიყო ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. მაგალითად გამოდგება ცხრილი „ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები საქართველოში“ (გვ. 807-808).

4. არ მინდა სადავო გახდეს ქვემოთ მოტანილი პოზიცია, რადგან იგი გამოთქმულია მხოლოდ სურვილის დონეზე. კერძოდ, ქართველ სწავლულ ეკონომისტთა – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორების ბიოგრაფიული ცნობები წიგნში კარგი იქნება, თუ დალაგდება არა გვარის პირველი ასოების ალფაბეტური თანმიმდევრობის პრინციპით, არამედ სახელის ასოების ალფაბეტური თანმიმდევრობის პრინციპით. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ქართულად გამოსათქმელად და მოწიწების გამოსახატავად უფრო მისაღებია მაგალითად პაატა გუგუშვილი – ვიდრე გუგუშვილი პაატა, ფილაპე გოგიჩაიშვილი – ვიდრე გოგიჩაიშვილი ფილაპე, ირაკლი მიქელაძე – ვიდრე მიქელაძე ირაკლი და ა.შ. ანუ ისე, როგორც ეს მიღებულია თითქმის მთელ მსოფლიოში და როგორც ეს მოცემულია ამავე წიგნის (გვ. 206) ჩამონათვალში: „ნობელის პრემიის ლაურეატე-

ბი ეკონომიკაში“. ან თუ შენარჩუნებული იქნება გვარების პირველი ასობის თანმიმდევრობის პრინციპით წიგნის აწყობა, მაშინ მათი ბიოგრაფიული მონაცემები მაინც დაიწყოს ჯერ სახელის, ხოლო შემდეგ გვარის მითითებით, ანუ ისე, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული.

5. როგორც ზემოთ დაგპირდით, სტატის სათაურიდან გამომდინარე, გაგებდავ და ვიტყვი, რომ ქართული ენის გადარჩენის პრობლემა, სხვებთან ერთად თავის თავზე უნდა აიღოს ქართულმა რადიომ და ტელეარხებმა. როგორ? აი, ასეთი თამიმდევრობით:

– დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს და შეიქმნას ისეთი პროგრამები, როგორებიც იყო მაგალითად ლევან ღვინჯილიას პოპულარული პროგრამა ან I არხის გადაცემებს შორის ხშირი მოკლე-მოკლე ჩართვები, რომლებიც ლაკონურად განმარტავდნენ ამა თუ იმ სიტყვის ან გამოთქმის სწორ და არასწორ ფორმებს.

– სამწუხაროდ დღეს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პიროვნებები არიან მინისტრები, პარლამენტარები და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკები. ამიტომ რადიო-ტელევიზიებმა კვირის განმავლობაში უნდა მოაგროვონ მათი საჯარო გამოსვლებიდან მახინჯი ფრაგმენტები და კვირის რომელიმე წინასწარ დათქმულ დღეს და დროს მოსახლეობას წარუდგინონ მათი „შედეგების“ კოლაჟი სათანადო კომენტარებით. ასეთ გადაცემებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ქართულ ენაში მახვილის სწორად დასმის პრობლემასაც. მოგეხსენებათ, ზოგიერთ უცხო ენაში მახვილი კეთდება სიტყვის ბოლო ხმოვანზე, ხოლო ქართულში – სიტყვის პირველ ხმოვანზე. დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს ჰგონია, რომ მახვილის უცხო ენის პრინციპით დასმა მათ განსწავლულობაზე მიუთითებს. მე კი პირიქით ვფიქრობ. მაგალითად, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს უცხო ენების ცოდნაში ბევრი ვერ გაეჯიბრება, მაგრამ მან ინტენსიური მუშაობის შედეგად იმდენად დახვეწა ქართული საუბარი, რომ ანალოგიურ შეცდომებს პრაქტიკულად აღარ უშვებს.

სამწუხაროდ, განსაკუთრებით ეს პრობლემა პირველ რიგში მოსაგვარებელი აქვს უმრავლესი ტელეარხის დილის პროგრამების წამყვანებს. მე რომ მკითხონ, ამ პრობლემის მოგვარებას და ჟურნალისტიკის-



თვის სათანადო გაკვეთილების ჩატარებას ტელეარხ „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობას დავავალებდი.

– თავს უფლებას ვაძლევ, ვურჩიო ტელე-რადიოჟურნალისტებს, რომ ჩვეულებრივი მსმენელისათვის აღსაქმელად უფრო ადვილია ნორმლური ტონალობითა და სიჩქარით მიწოდებული ინფორმაცია, ვიდრე „გაქცეული“ და მოვალეობის მოსახდელი რაღაც სიტყვების კორიანტელი.

– სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით უნდა შეიქმნას ქართული ენის დაცვის პოლიცია (ეს ტერმინი, რა თქმა უნდა, პირობითია), რომელსაც უფლება ექნება უმაღლესი დონის ფულადი საჯარიმო სანქციები გამოიყენოს მათი მისამართით, ვინც აბუჩად იგდებს მშობლიურ ენას და სარეკლამო დაფებს და რეკლამის სხვა ფორმებს გაუგებარს ხდის ქართველი კაცისთვის. აღნიშნულის თაობაზე ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. არსებობს შესაბამისი კანონი და ვაიბულოთ, ვისაც ეს ეხება, დაიცვას კანონის მოთხოვნები.

**ანზორ ბაბუსაძია**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,  
28 სექტემბერი, 2007 წ.**

# ჩას გვიქადის და დაქცევას, განადგურებას!

ანუ რით არის ცუდი საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 4 დეკემბრის ნომერში წავიკითხე მასალა რუბრიკით – რას გვიქადის სიახლე? მასში ლაპარაკია საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღების შესახებ.

პირდაპირ ვიტყვი – რას გვიქადის და, დაქცევას, განადგურებას!

რატომ? იმიტომ, რომ მისი შემოღების მოსალოდნელი შედეგები იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაქცევა და განადგურება, რაც განპირობებული იქნება ქართული სოფლის მიტოვებით, საქართველოში ნებისმიერი სახის პროდუქციის წარმოების არარენტაბელურობით, უმუშევრობის კატასტროფული ტემპის შენარჩუნებით და, საბოლოო ანგარიშით, გარდუვალი დემოგრაფიული კატასტროფით.

ძალიან მკვახედ და ხმამაღლა არის ნათქვამი?

ვისაც ამ მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიცია აქვს, მზად ვარ, მასთან გავმართო დებატები ერთადერთი თხოვნითა და პირობით: მომავალ ოპონენტს ვურჩევ, წინასწარ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია შემდეგ კითხვებზე:

– დამოუკიდებლობის მაძიებელ ქვეყანას უნდა ჰქონდეს თუ არა ეროვნულ კონცეფციაზე დაფუძნებული, ანუ ეროვნული ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა, რომელიც ქვეყნის ცალკეული რეგიონების, საწარმოო და სხვა თავისებურებებზე იქნება დაფუძნებული?

– აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება, რომ ეკონომიკური განვითარების პროგრამის არარსებობის პირობებში ქვეყნის ამა თუ იმ სერი-

ოზულ პრობლემასთან დაკავშირებით მიიღოს გაუჯანსაღებელი, კოლუნტარისტული გადაწყვეტილებები?

– შეიძლება თუ არა, გერქვას დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქვეყნის ეკონომიკას კი სხვისი ჭკუითა და გონებით მართავდე? უნდა გავითვალისწინოთ თუ არა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციების რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ ხელოვნურად შექმნილი პირობების გამო, დაბალი რენტაბელობის მიზეზით, საქართველოში ავჩენოთ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათ შორის, ვაზიც? ან დავხუროთ თბილისის სატრანსპორტო არტერია – მეტროპოლიტენი?

– სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა (განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე) უნდა მართონ თუ არა ქვეყანაში მიმდინარე ისეთი ძირითადი პროცესები, როგორებიცაა: შიდა ბაზრის დაცვა, ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, საქონლის ზოგიერთ სახეობებზე დიფერენცირებული საბაჟო ტარიფების შემოღება და ა.შ.?

– შეეგუოთ თუ არა იმას, რომ ქართველი გლეხი მასობრივად ტოვებს სოფელს და ლუკმაპურის საშოვნელად ისედაც გადატაკებულ ქალაქს მიაშურებს, რისთვისაც ქვეყნის დოვლათის შემქმნელი ხელგაწვდილ მომხმარებლად ვაქციეთ? ან კიდევ – დავხუჭოთ თვალები იმაზე, რომ კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ფაბრიკებისა და ქარხნების მიღმა დარჩა ძირითადად იმ მიზეზით, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქცია ბაზრიდან განიღვენა დემპინგური, ანუ ჩვენს დასახოქებლად ხელოვნურად ჩამოყალიბებული დაბალი ფასების გამო?

– მეთანხმებით თუ არა, რომ როცა ქვეყანაში არ იმართება ძირითადი ეკონომიკური პროცესები და იგი თვითდინებაზეა მიშვებული, როცა ქვეყანა უარს ამბობს ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებასა და შიდა ბაზრის დაცვაზე, რის შედეგადაც ყალიბდება ურთულესი სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, ასეთი ქვეყნის მთავარი მტერი მისი ხელისუფლებაა?

**ანზორ ბაგუხაძე,**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
5 დეკემბერი, 2007 წელი

# სრუ ხელისუფლება სრუ საქონი

## ბანადგურებული მენარეობა და დაცარილბული სოფლები

შეიძლება ზოგს ჰგონია, რომ მე, როგორც ჟურნალისტს, ცალკეულ ხელისუფალთა და მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკთა ცრუ დაპირებებსა თუ ცრუ საქმეებზე წერა მეხალისება. თუ ვინმე ასე ფიქრობს, ნამდვილად ცდება. იმას რა სჯობს, ხელისუფლება გონივრულად ირჯებოდეს, ეკონომიკა დღითი დღე ღონიერდებოდეს, სოფელი ზვაგ-ბარაქით ივსებოდეს, სამომხმარებლო ბაზარი – მშობლიურ მიწაზე მოწეული ცვარნამწყარი, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტებით, მაგრამ ჩვენში ყველაფერი რომ უკუღმა ტრიალებს? ამიტომ, რა გასაკვირია, კაცს გუნება-განწყობაც წავიხდეს და კალამიც გაგიმწარდეს.

ხომ არ ვაჭარბებ? არა მგონია. მართო მე რომ ვგრძნობდე და ვხედავდე ხელისუფალთა უნიათობას და ხელთუყარობას, მათთვისაც უკეთესი იქნებოდა, მაგრამ როცა მთელი ქვეყანა აუყირავდა, ქუჩაში გამოვიდა და მათი მოღალატური მმართველობისგან გათავისუფლება მოითხოვა? მათ ადგილზე ზოგს შერცხვებოდა, ნამუსი შეაწუნებდა და მოტყუებული ხალხისგან გაცლას ამჯობინებდა, მაგრამ ამათ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აღმოაჩნდათ. არადა პირველად ხომ არ გაწილდნენ, უკვე მერამდენედ გააცურეს ხალხი ცრუ დაპირებებით? ჯერ კიდევ შევარდნადის მმართველობის პერიოდში ჰპირდებოდა ხელისუფლება ხალხს მილიონი სამუშაო ადგილის გახსნას, ადამიანთა დასაქმებას, მათი მატერიალური და სოციალური კე-

თილდღეობის ზრდას, თუმცა მხოლოდ ჰპირდებოდა. იმ ტყუილების ფონზე ქვეყანას „მხსნელად მოვევლინენ“ ვარდების რევოლუციით მოსული „ნაციონალები“, რომლებმაც უმაღლესი დაპირებათა და სიცრუეთა ცათამბჯენები აღმართეს. ოთხ წელიწადში ეს ხუხულებიც დაინგრა და მასთან ერთად ის ილუზიებიც, რომლებსაც ხალხი ხელისუფლებაში „ვარსკვლავებიჭუნების“ მოსვლას უკავშირებდა.

ყველა იმ ჩავლილ თუ დღევანდელ ხელისუფალთა ნაღვაწი ორიოდ წინადადებაში აკუმულირება: ჩვენმა მატყუარა, ბაქიბუქა და მეოცნებე მთავრობებმა მთელი ამ წლების მანძილზე არათუ ეკონომიკა ვერ ააყვავეს (რასაც ნიადაგ გვპირდებოდნენ), მისი აღმავლობის კონკრეტული პროგრამაც კი ვერ შექმნეს. ქალაქებზე დარჩა ხალხის დასაქმების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, მოსახლეობის სიღარიბიდან ამოყვანის ოცნება. ამის მიუხედავად, მათ არ აწუხებთ ნამუსი, გვიმტკიცონ, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკა 10-12 პროცენტით იზრდება და, თქვენ წარმოიდგინეთ, შესაბამისად იზრდება თურმე ბიზნესს განვითარების ხელშემწყობი პირობებიც, რომლის მაჩვენებლით ჩვენ შევძელით მსოფლიოში ერთ-ერთი ბოლო ადგილიდან პირველ ოცეულშიც კი მოვხვედრილიყავით (!).

თუ ეს სიმართლეა, მაშ როგორ ხდება, რომ ეკონომიკის აღმავლობას ვერც მეწარმე გრძნობს და ვერც გლეხი, ვერც მოსახლეობა და ვერც სამომხარებლო ბაზარი, სადაც ინფლაცია ზეობს და ფასებს ისეთი ცეცხლი უკიდია, გაჭირვებულ კაცს საარსებო პური და მწვანილიც ვეღარ უყვია? რატომ ხდება რომ ისეთი მდიდარი შესაძლებლობების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ხილისა და ბოსტნეულის მუდამ სხვაგვარ მოსავალს იწვევენ, დღეს ყველაფერი „გვალვას გადაუწვავს“ და კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ლობიო, კიტრი, ჰამილორი და კიდევ რა აღარ, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოგვაქვს?

ამის თაობაზე ხელისუფლებაში ნუთუ არავინ დაფიქრებულა? ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არავინ. თუმცა, ამას წინათ ტელეეთერში ვნახე როგორღაც შეცბუნე-

ბული, ხელახლა გაპრეზიდენტებული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც კულბაწარასავით გამობოძულ სოფლის მეურნეობის მინისტრს – პეტრე ცისკარიშვილს რომელიღაც სუპერმარკეტში ცოტა არ იყოს, უხერხულ კითხვებს აძლევდა:

–საქართველოში კიტრი და პამიდორი, ხახვი და ნიორი ხომ მოგყავს?

–ამ მაღაზიაში ჩვენი, ქართული პროდუქცია რატომ არ იყიდება?

–ვითომ ჩვენი კარტოფილი და ლობიო უფრო უგემურია, ვიდრე უცხოური?

იღვა შემწვარი გოჭივით შებრაწული ჩვენი მინისტრი მესამეკლასელივით თავჩალუნული, საქციელწამხდარი და ქვეყნის ქარიზმა და მეოცნებე თავკაცის კითხვებს ან ვერ პასუხობდა, ან სიმართლის თქმას შეგნებულად გაურბოდა.

სიმართლე კი, რაც არ უნდა ძნელი მოსასმენი იყოს, თუ ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, პრეზიდენტს პირუთვნელად უნდა ვუთხრათ: „ნაციონალების“ უცვლელ ლიდერო და ქვეყნის თავკაცო, ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელთან და „ეკონომიკის მამად“ შერაცხულ ბენდუქიძესთან ერთად, თქვენი წვლილიც დიდად ღირებულია იმ „გაუდაბნობაში“, რამაც უკანასკნელ წლებში ქართულ მეწარმეობასა და სოფლის მეურნეობას ტორნადოსავით გადაუარა. გადაუარა და ერთიანად გაანადგურა როგორც მცირე და საშუალო მეწარმეობა, რომელიც უნდა კვებავდეს ქვეყნის ეკონომიკას, ისე ფერმერებისა და გლეხობის შემოსავლები. მწარე რეალობას სად გავექცევით, სოფლები ნელ-ნელა ცარიელდება, ბევრი ქალაქში ჩამოდის და ვაჭრუკანობით ირჩენს თავს, უფრო მეტი კი საზღვარგარეთის ქვეყნებში ეძებს სარჩო-საბადებელს. საქმე იქამდე მივიდა, რომ კახელმა გლეხმა შვილივით ნაზარდი ვენახის ასაჩენად წაღდი აღმართა...

–იქნებ საქმეში ჩახეილი კაცის ენაზე აგვისხნათ, რა ხდება ამ ჩვენს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ ქვეყანაში? –ვთხოვე ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის კარგად ცნობილ სპეციალისტსა და პროფესიონალს, საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს ანზორ ბაბუხაძიას.

—საქართველოს ხელისუფლების (ძველისაც და ახლისაც) ყველაზე დიდი უბედურება — თქვა მან, — ის არის, რომ თავად არ იცის როგორ მართოს ქვეყნის ეკონომიკა და არც სხვის რჩევას უგდებს ყურს. ამაში მაშინაც დავრწმუნდი, როცა კანცელარიაში მთავარ სახელმწიფო მრჩევლად ვმუშაობდი და ახლაც, როცა ოფიციალურად ჭკუას აღარავინ მეკითხება, მაგრამ ჩემსას არ ვიშლი და პრესის მეშვეობით ხელისუფლებას არაერთ და ორ საქმიან მოსაზრებას ვაწვდი.

ამ თვენახევრის წინათაც, როცა საქართველოს ხელისუფლებამ გააფორმა ხელშეკრულება თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, სადაც ლაპარაკია მეზობელი ქვეყნიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე თავისუფალი საბაჟო გადასახადის დაწესების თაობაზე, ჩემი აზრი არ დამიმალავს და რაც არ უნდა მიუღებელი იყოს ის მთავრობისთვის, მორიდებლად განვაცხადე, რომ ასეთი „თავისუფალი ვაჭრობა“ დამღუპველი და დამატკევეარი იქნება საქართველოსთვის.

რატომ?

განა ამას კითხვა უნდა? მიბრძანდით აგრარულ ბაზრებში, მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში და საკუთარი თვალით ნახეთ, თურქულმა (და არა მარტო თურქულმა) როგორ განდევნა ქართული პროდუქცია დახლებიდან. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ იქაური კარტოფილი და ხაზვი, ლობიო თუ პამიდორი უფრო გემრიელი და ხარისხიანია, ვიდრე ჩვენებური? ეს ჩვენზე უკეთესად თავად თურქებს მოეხსენებათ, რომლებიც საქართველოში პესტიციდებით გაჯერებული პროდუქტების შემოზიდვით გულს რომ იმხრობენ, უკანაგზობაზე ტრაილერებს ჩვენებური ეკოლოგიურად სუფთა და სურნელოვანი პროდუქციით პირთამდე ავსებენ და თურქეთის ელიტარულ მაღაზიებში არიგებენ.

კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, პრეზიდენტი დაინტერესდა (ამდენი საპროტესტო აქციების შემდეგ განა დრო არ არის?) ამ ერთუცნობიანი ამოცანის ამოხსნით და იკითხა: რატომ არ არის ქართულ მაღაზიებში და ბაზრებში ქართული პროდუქცია? იმიტომ, ბატონო პრეზიდენტო, რომ საქართველოს მთავრობა დღემდე ვერ

მიხვდა ან არ უნდოდა მიმხვდარიყო, რომ საკუთარ ბაზარს დაცვა უნდა, ხოლო მეწარმეს და გლეხს – სამუშაო პირობების შექმნა; რით უნდა დაეიცვათ ბაზარი უცხოური პროდუქციის მოძალებისაგან, ან მეწარმე და გლეხი არაკონკურენტული გარემოსგან? რა თქმა უნდა, უპირველესად საკანონმდებლო ბაზის შექმნით და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით, ურომლისოდაც ქვეყანაში ვერც ეკონომიკას ავალორძინებთ და ვერც კონკურენტუნარიან პროდუქციას ვაწარმოებთ.

როგორც ჩანს, ეს ჯერ კიდევ არ გაუთვითცნობიერებია ახლად შექმნილი მთავრობის მეთაურს ბატონ ლადო გურგენიძესაც, რომელმაც ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო თოქშოუში მონაწილეობისას, სალომე ზურაბიშვილის მორიდებულ შენიშვნას – მთავრობამ როგორმე საკუთარი ბაზრის დაცვაზე უნდა იზრუნოსო, ისეთი რეაქციით უპასუხა (სახის გამომეტყველებაზე შეეცყო), ძალაუნებურად იფიქრებდით, რომ ასეთი რჩევა სისულელედ მოეჩვენა.

ამიტომ კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მინდა გავიმეორო: თუ კანონმდებლობით არ იქნება დაცული შიდა სამომხმარებლო ბაზარი, მეწარმეობა და გლეხური მეურნეობა, ასეთ შემთხვევაში უცხო ქვეყანასთან „თავისუფალი ვაჭრობა“, მით უფრო ნულოვანი საბაჟო გადასახადის დაწესება, საქართველოსთვის დამატკევეარი და დამღუპველი აღმოჩნდება. ეს გამოიწვევს ქართული სოფლების მთლიანად დაცარიელებას, ქვეყნის ნებისმიერი პროდუქციის წარმოების არარენტაბელობას, უმუშევრობის ტემპის კიდევ უფრო ზრდას და საბოლოო ანგარიშით – გარდაუვალ დემოგრაფიულ კატასტროფას.

მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდინარე ისეთი ძირითადი პროცესები, როგორებიცაა – შიდა ბაზრის დაცვა, ცალკეულ სტრატეგიულ დარგებში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, საქონლის ზოგიერთ სახეობაზე ლიფერენცირებული საბაჟო ტარიფის შემოღება და ასე შემდეგ. ვინც ამ მოსაზრებას არ იზიარებს, მზად ვარ, მასთან გავმართო დებატები. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ამის გაკეთება საქართველოში შე-



**უძლებელია, რადგან მთავრობამ თავად არ უწყის, ქვეყანა როგორ მართოს და სხვისი აზრის მოსმენაც არა და არ სურს.**

მთლიანად ვეთანხმები ბატონ ანზორ ბაბუხადას, ხელისუფლებას უნდა შეეძლოს ოპონენტთა აზრის მოსმენა და ქვეყნისათვის სასარგებლო რჩევის მიღება. ამას რომ არ აკეთებს, ამიტომაც მისდის საქმე კარგად. მარტო ლოზუნგის სროლა – „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ ვერაფერს მოგვცემს, თუ არ ვიცით, რა გზებითა და საშუალებებით ვიბრძოდით მის დასამარცხებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის გაჭირვებიდან ამოსაყვანად. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლების პრეროგატივა არც გახლავთ უშუალოდ მოსახლეობის დასაქმება. მისი უმთავრესი მოვალეობაა, შეუქმნას მუშაობის პირობები მცირე და საშუალო მეწარმეობას, ბიზნესის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხალხის მასობრივად დასაქმებას.

„საქართველო სიღარიბის გარეშე!“ რომ ცარიელი, შინაარსისგან დაცლილი ლოზუნგი იყო და არჩევნებში ხმების მისაღებად გათვლილი ცრუ დაპირება, ეს ამ დღეებში უკვე გამოჩნდა, როცა ბაზრებში, მაღაზიებსა და აფთიაქებში ფასები თითქმის გაორმაგდა, როცა ღენის, გაზისა და მომსახურების გაზრდილი გადასახადები ისედაც გადახდისუუნარო მოსახლეობას მაჯლაჯუნასავით დააწვა და გაუსაძლის ყოფაში მოაქცია.

მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, აწი ქართველი ხალხი ლოზუნგებითა და ბრტყელ-ბრტყელი დაპირებებით ვეღარ იცხოვრებს.

**ოთარ ხუციშვილი**

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,**

**29 იანვარი, 2008 წელი**

# პრეტენდენტებს - მხოლოდ თანაბარი პირობები

საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა. მიგვაჩნია, რომ, სამწუხაროდ, არც ამჟამად ვართ მზად არჩევნების ნორმალურ დონეზე ჩასატარებლად, რატომ? ამაზე ცოტა ქვემოთ. ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებ, ბოლიშის მოხდით გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის ჯანსუღ ღვინჯილიას გახმაურებული სტატიიდან „არჩევნების პროფესიონალიზმი“ („რეალის გაზეთი“, 20 ივლისი, 1999წ.) დაახლოებით ათი წლის წინათ წარმოთქმულ ამ სიბრძნეთაგან თუნდაც ნაწილზე მაინც რომ დავფიქრებულყავით, ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე, ალბათ, არ მივიდოდა.

გვძია, გუწურია, არ გვაცნია, არ გვახურავს, ოჯახიც მოუვლელი გვაქვს და ქვეყანაც. მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცით ვინ ავირჩიოთ!

არცთუ უსაფუძვლოდ გაისმის ხმები, რომ კიდევ არაერთი ჰარლამენტი იქნება არჩეული წინამორბედთა მსგავსი, ანუ ცუდი! და ასე ვაგრძელებდებამანამ, სანამ არ დაინფეწება ჰოლიტიკური ცხოვრების სტილი.

თუ არ გვინდა რამდენიმე ათეულ წელიწადს კიდევ ვიტანჯებოდეთ ჩვენც და ჩვენი შვილებიც, უნდა ვიფიქროთ არჩევნებსზე სერიოზულად.

არაფერია არ გამოვა ამ არჩევნებიდანაც, თუ დიამეტრულად არ შევიცვალეთ თავად ჩვენ. სანამ ჩვენ არ შევიცვლებით, რიგიან ჰარლამენტს ვერ ავირჩევთ.

თუ ჩვენ ახლა დღედაღამ არ ვიფიქრებთ ვინ ავირჩიოთ, როგორ მოვაწყოთ არჩევნები, რათა ობიექტურად და ჰატიოხნად წარმართოს იგი, ჩვენსავე თავს უნდა დაუბრალეთ ეგვლა უბედურება, რაც შესაძლოა, მომავალში თავს დაგვატყდეს.

მოვიპოვოთ და წინ დავიდოთ სია ძველი და ახალი მთავრობის წევრებისა და საფუძვლიანად შევისწავლოთ ყოველი მათგანი, რათა მომავალ მთავრობაში არ დავკინიშნონ ზიროვნებები, რომელთაც ხალხის და ქვეყნის ქონება მთლიანად შეჭამეს, საქართველოს ფინანსები უცხოეთში „დაიბინავეს“, თავიანთ ცოლ-შვილსა და საყვარლებს სახლვარჯართის ქვეყნებში დაავრდილებენ და ლამის სამასი გრამი ჰურის ამარა დატოვებს მილიონობით ადამიანი.

ერთ კაცს მეტი რა უნდა ეთქვა. დაგვმოდგრა, ჭკუა დაგვარიგა, მაგრამ გამოვიდა რამე? ღმერთო ნუ მიწყენ და ბატონი ჯანსუღი ღღეს რომ ცოცხალი იყოს, ძალიან ცოლო იქნებოდა. განსოეთ ალბათ, ცოცხალი ქართველი კლასიკოსის ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის საიუბილეო საღამოზე, მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმის დროს, დადებით ემოციებს ვერ გაუძლო და „გული გაუსკდა“. ბოლო წლების ამდენი უსამართლობის, უარყოფითი ემოციებისა და განსაკუთრებით ახლახანს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მომსწრეს რა დაემართებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

მომავალში, ანალოგიური სიტუაციებიდან თავის დაღწევის მიზნით, თავს უფლებას ვაძლევ და განსასჯელად გთავაზობთ ერთ წინადადებას, რომლის რეალიზაცია არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. ძალიან მოკლედ ამ წინადადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს საავტორიტაციო საშუალებების გამოყენების თანაბარი პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს მათი ფინანსური, მატერიალური თუ სახელისუფლებო რესურსების მიუხედავად, აკრძალვით ამ მიზნით, თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა.

არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტობის ან დეპუტატობის ფულიანმა კანდიდატმა მყისიერად დასვას კითხვა: რა შუაშია ცენტრალური საარჩევნო კომისია ან ბიუჯეტის თანხების პროპორციულად გამოყენებაო. მე მაქვს ფული და სადაც მინდა და რამდენსაც მინდა, იმდენს დავხარჯავო. ჩვენი კონკრეტული პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთი იქნება. შენი ფული და ქონება ღმერთმა მშვილობაში მოგახმაროს, და სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე დახარჯე, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტობა და დეპუტატობა ფულზე ან „ფოჩიან კანფეტზე“ აღარ გაიყიდება. გახდი ბატონო პრეზიდენტი, გინდ დეპუტატი და მერე როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება, მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება შენი ქველმოქმედება.

წარმოდგენილი წინადადებების განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო ცვლილებების შეტანა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რომელთა შემუშავებისა და მიღების პერიოდში მოხდება ყველა იმ დეტალის გათვალისწინება და დახვეწა, რაც დაკავშირებულია ჩვენის აზრით უპირველესი პრობლემის, ნორმალური არჩევნების ჩატარებასთან.

## **ანზორ გაბუნია**

*P.S. ვინც შეეცდება ამტკიცოს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა მთავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის არ მოესწრება, ჩავთვლით, რომ ცხონებული ჯანსუღ ღვინჯილიას მოწოდებები ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა.*

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“  
20 თებერვალი, 2008 წელი

# აუტჩეველი მჩეული

## კაცი, ჩოშელიც საქმის ნაადგუბოცა

გუშინ ქუჩაში კოლეგა და მეგობარი, საქვეყნოდ აღიარებული ეკონომისტი და გამომცემელი ანზორ ბაბუნაძია შემხვდა. გულით გავიხარე, მოვიკითხე, მოვესიყვარულე და სამომავლო წარმატებები ვუსურვე. ღმერთმანი, ძალიან მინდოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობაც მიმელოცა, მაგრამ ვიცოდი, რომ საბჭოს შემადგენლობაში ვერ მოხვდა და ამის თაობაზე რაიმეს თქმას, ისევ უთქმელობა ვამჯობინე. ისე კი, რაღა დაგიმალთ და, უკმაყოფილო დავრჩი იმათ გადაწყვეტილებით, ვინც ამ საბჭოს წევრობის კანდიდატებს არჩევდა და ბატონ ანზორ ბაბუნაძიას შთამბეჭდავი პერსონა ვერ შეამჩნია.

არაღა ქვეყნის წინაშე დამსახურება ნამდვილად არ აკლია ბატონ ანზორს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან ღირსეულად განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩეველამდე. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების განმავლობაში მიწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. გახლავთ საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ქვეყნის ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, გაზეთ „თანადგომის“ დამფუძნებელი და გამომცემელი, გაზეთ „სარკმელი საქართველოსი“ რედაქტორი ეკონომიკის საკითხებში, დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“.

ბატონი ანზორ ბაბუხაღია არ გახლავთ რომელიმე პარტიის წევრი, რაც განაპირობებს მის მიერ მხარდასაჭერი და მისაღები გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას. ამ თვისებისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამო მას პატივს სცემენ და აფასებენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ ბიზნესმენტა საკონსულტაციო საბჭოში, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოში, მრავალ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომლებიც დაკავებული არიან მეწარმეობის პრობლემებით.

როგორ ფიქრობთ, კიდევ მეტი რა შეიძლებოდა მოეთხოვათ საზოგადოებრივი მაუწყელის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის? ალბათ არც არაფერი. ჩემი ღრმა რწმენით, ანზორ ბაბუხაღია, როგორც იტყვიან, ჩონხასავით მოერგებოდა ამ უწყებას, მისი სახით სამეურვეო საბჭოს შემადგენლობას შეემატებოდა საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პიროვნება, ნებისმიერი პარტიული გავლენისაგან თავისუფალი ღირსეული წევრი.

აბა რა მოხდა? იქნებ თავად ბატონ ანზორს არ ჰქონდა სურვილი ასეთი საბჭოს წევრობისა და არც განცხადება დაუწერია? არ დაგიმაღავთ, ასეთი კითხვაც გამიჩნდა.

*—განცხადება სამეურვეო საბჭოს წევრობის თაობაზე, — მითხრა ანზორ ბაბუხაღიამ, — რა თქმა უნდა, დავწერე, მაგრამ ინიციატივა წამოვიდა მეწარმეთა ინტერესების დაცვის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციიდან და თქვენი გაზეთის რედაქციიდან. კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ დამარწმუნეს, რომ ამ საბჭოში რიგით წევრად ყოფნის პირობებშიც კი შევძლებდი საზოგადოებრივი მაუწყებლის მეწარმეობის ინტერესებისკენ შემოტრიალებას, რითაც დიდ საქმეს გავაკეთებდი. მოგეხსენებათ, დღეს ქვეყნისა და ხელისუფლების უმთავრესი დევიზია სიღარიბის დაძლევა. სიღარიბეს კი, ჩემი ღრმა რწმენით, მაშინ დავძლევთ, თუ მცირე მეწარმეობას ხელს შევუწყობთ, განვავითარებთ და ხალხს დავასაქმებთ. ამას კი იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ საგადასახადო კოდექსს სრულფაფრით და მეწარმეთა შემოწმებებისა და კონტროლის კოორდინაციის პრობლემებს მოვაგვარებთ.*

საკმაოდ რთული ვჯავია, არა? თუ ხმამაღლა ნათქვამად არ ჩამითვლით, გაგიშხელთ, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ამ პრობლემებთან ჭიდილს შევალე და სწორედ ეს მაძლევს სტიმულს, ვიფიქრო, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანას შევძლებდი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებაში. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მინდოდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი დღევანდელი საზოგადოების მთავარი გზავნილის – „საქართველო სიღარიბის გარეშე“ – რეალიზატორის მთავარ როლში მენახა.

სურვილი მართალია ვერ ავიხდინე, მაგრამ არა უჭირს. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის, სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის, საზოგადოება „ქუთაისელის“, მცირე მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელებს და ჩემს მეგობარ ჟურნალისტებს, რომლებმაც თავიანთი მხარდაჭერა ოფიციალურად დააფიქსირეს და წარუდგინეს საკონკურსო კომისიას.

– ეს გასაგებია, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ბატონო ანზორ, თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არჩევნები ობიექტურად ჩატარდა?

– რა თქმა უნდა, ობიექტურად ჩატარდა. განსხვავებული მოსაზრებისთვის პირადად მე არავითარი საფუძველი არ გამაჩნია. ყველას, ვისაც ამ საბჭოს წევრობა სურდა, საკუთარი გეგმები და მოსაზრებანი ჰქონდა, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ბევრს ჩემსავით არ გაუმართლა.

– გეთანხმებით, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გამოვთქვა. კერძოდ, კონკურსის ჩატარების წინა დღეებში აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ამა თუ იმ კანდიდატისადმი მხარდაჭერა მოხდებოდა სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათა ინტერესების გათვალისწინებით, ანუ გადაწყდა და ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 9 ასარჩევი კანდიდატურიდან, ოთხს აირჩევდა ხელისუფლება, მეორე ოთხს – ოპოზიცია, ხოლო ერთი იქნებოდა ნეიტრალური პიროვნება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში არც ერთი მხარისთვის მისაღები არ იქნებოდა პარტი-

ულობისგან თავისუფალი პიროვნება, რაც, ჩემი აზრით, ეწინააღმდეგება „საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. როგორც ჩანს, თქვენ ასეთ პიროვნებათა რანგს – ნეიტრალურს მიეკუთვნებით.

–სიტყვამ მოიტანა და ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, ბატონო ანზორ, საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა. თქვენ, როგორც ყოველგვარი პარტიული ვალდებულებისგან თავისუფალი ადამიანი, მაინტერესებს, რომელ პარტიას დაუჭერთ მხარს?

**–იმ პარტიას, რომლის პროგრამაშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული ჩვენი ენის, მამულის და სარწმუნოების გადარჩენის რეალური გზები.**

–გეთანხმებით, მაგრამ ქართველი ერისათვის ამ უძვირფასეს ცნებებს ცალკეული პარტიები და პიროვნებები ხშირად პიარისთვისაც კი იყენებენ. იქნებ მკითხველი დაარწმუნოთ, რომ თქვენ არ მიეკუთვნებით ასეთთა რიგებს.

**–ჩემმა კოლეგებმა და მკითხველებმა კარგად იციან, რომ ზოგადი და მაღალფარდოვანი ფრაზებით ლაპარაკი არ მიყვარს. ყოველთვის ვცდილობ ნებისმიერი პრობლემის განხილვა დავასრულო კონკრეტული და ყველასათვის გასაგები წინადადებებით. ერთი ასეთი სტატია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზეც გამოვაქვეყნე („ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“), რომელიც შეეხებოდა ქართული ენის გადარჩენის პრობლემას. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს მიუძღვნენ სპეციალური ნაშრომი, რომელც ქართულ და რუსულ ენებზე გამოვეცი და რომელსაც უკვე მოჰყვა საქმიანი გამოხმაურებები.**

მამულის გადარჩენის უმნიშვნელოვანეს პირობად მიმაჩნია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა და აქედან გამომდინარე, დასაქმების პროგრამების რეალიზება. ალბათ ტრაბახად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ამ პრობლემებზე მუშაობას შევალე ჩემი ცხოვრების რამდენიმე ათეული წელი და მეამაყება, რომ უამრავი წინააღმდეგობისა და სირთულეების მიუხედავად, რაღაც შედეგებს მაინც მივაღწიე.



რაც შეეხება სარწმუნოებას, ეს ჩემი პირადი საქმეა და მე ამ მიმართულებით რა გამიკეთებია და რის ვაკეთებაც ვაპირებ მომავალში, მხოლოდ მე და ღმერთმა ვიცით. ერთს კი ვიტყვი, მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების აღსრულების საკითხებში საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერებას და მარადიულ სასუფეველში გარდასულ ერის ღირსეულ შვილთა სახელების უკვდავყოფას ემსახურება გაზეთი „თანადგომა“, რომელიც ჩემის მიერ არის დაარსებული და საზოგადოებრიობის ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს.

—დაბოლოს, ბატონო ანზორ, ერთიც მინდა გკითხოთ. თქვენს პიროვნებას კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებრივი მასშტაბის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში ვერ მოხვდით, თქვენს წინადადებასა და მოსაზრებებს მას მაინც გაუგზავნით.

—ღიახ, მე ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს. ამ წინადადებებს, რა თქმა უნდა, ახალი ველოსიპედის გამოგონების პრეტენზია არ ექნებათ, მაგრამ საზოგადოებრივი მასშტაბის ხელმძღვანელობას იმას მაინც ვურჩევ, დაუყოვნებლივ აღადგინონ ცნობილი ჟურნალისტების მერაბ ბერაძისა და ლევან ღვინჯილიას პროგრამები, რომლებიც ენერჯის ალტერნატიული წყაროების ძიებისა და ქართული ენის გადარჩენის საკითხებს შეეხება. ტელეარხის სამეურვეო საბჭო ალბათ დაეთანხმება იმ აზრს, რომ დასახელებული პროგრამების განახლებას საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ელოდება.

ოთარ ხუციშვილი  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,  
5 მარტი, 2008 წელი

# უდიდესი მნიშვნელობის ქაქარა ჩიგნაყები

ჩვენი გაზეთის ეკონომიკური სამსახური ერთ-ერთი უძლიერესია ქართულ მედია-სივრცეში. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ რედაქტორთა საბჭოში ორი აღიარებული სპეციალისტია – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ნიკო ჩიხლაძე, რომლის ბევრი ფუნდამენტური ნაშრომი სწორედ ჩვენი გაზეთის სავაჭრო-ეკონომიკური გრიფით გამოვიდა და რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, ბატონი ანზორ ბაბუხაძე, რომელსაც უღრმეს თეორიულ ცოდნასთან ერთად ამ უაღრესად საპასუხისმგებლო დარგში ხელმძღვანელ სამუშაოებზე მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს.

„სარკმელი საქართველოსი“ ხშირად აქვეყნებს როგორც თავად ბატონი ანზორის მასალებს, ისე მის მიერ სავაჭრო-ეკონომიკურ სტატიებს, ორ წიგნაკად გამოცემული მისი ახალი ნაშრომიც – „შეცდომა თუ დანაშაული“ – ჩვენს გაზეთში იყო დასტავებული და თვალსაჩინო სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გთავაზობთ ორ რეცენზიას ამ მომცრო ზომის, მაგრამ მნიშვნელობით ფრიად გამორჩეული ნაშრომის შესახებ.

**მორიბე რედაქტორი**

## ნათელი აზროვნების ნაყოფი

ნიჭი ისეთი ფენომენია, რომლის ხარისხი მხოლოდ მისი პროდუქტის რაოდენობით არ იზომება. ამიტომ ხშირად სულ პატარა მოცულობის ნაწარმოების (ნაშრომის) ავტორი შეიძლება უფრო დიდხანს შერჩეს ისტორიას, ვიდრე მრავალტომეულისა, რომელმაც მოსალოდნელია ისტორიის მეხსიერებაში შესვლაც ვერ მოახერხოს.

ეს მოსაზრება მე მათქმევინა პატარა წიგნმა, რომლის ავტორია ცნობილი პუბლიცისტი, მეცნიერ-ეკონომისტი, მრავალმხრივი, მაგრამ ყოველთვის ეროვნულ ინტერესებს დაქვემდებარებული მისწრაფებების მქონე

ნე პიროვნება ანზორ ბაბუხაღია. მისი მრავალთა შორის ერთ-ერთი არსებითი თვისებაა ყველა ავტორისადმი უაღრესად თავაზიანი, პატივცემული, მაგრამ პრინციპული დამოკიდებულება, ამასთან ის არასოდეს უფრთხის დიდ ავტორიტეტებს და ქედს მხოლოდ ჭეშმარიტებას უხრის.

მართალია, წიგნი მოცულობით პატარაა, მაგრამ დიდი შინაარსისაა, რამდენადაც ავტორის მრავალწლიანი მოღვაწეობის თავისებური შეჯამებაა. აქ იმდენად პრობლემების კვლევა კი არ არის, არამედ ავტორის მიერ ადრე სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევების შედეგები თეზისების, შეფასებების, დასკვნებისა და რეზიუმეს სახით. ამიტომ ბატონმა ანზორმა მასში დიდი შინაარსის ჩატევა შეძლო, რისი საშუალებაც მას გამორჩეულმა ნიჭიერებამ, შრომისმოყვარეობამ, კარგმა საუნივერსიტეტო და საასპირანტურო განათლებამ, სამთავრობო და სამეურნეო სტრუქტურების მაღალ ინსტანციებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობამ მისცა.

ავტორი უაღრესად კონკრეტულად და ლაკონიურად, ამავე დროს არსებითად ახასიათებს საქართველოში 90-იანი წლების უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გამომწვევ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს, მაშინდელი ხელისუფლების უსუსურობას, დაშვებულ უხეშ შეცდომებს, ზოგჯერ დანაშაულებებსაც, გარედან მიღებული სხვადასხვა დახმარების გამოყენების ავ-კარგიანობას, საქართველოს მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად გადაქცევის გამომწვევ მიზეზებს, სახელმწიფო ქონების პრივატიზებაში, საერთოდ, ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებს, საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციების, პირველ რიგში საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლს ამ საქმეებში, ქვეყნის ხელისუფლების არაკომპეტენტურობას საერთოდ და განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში.

ბატონი ანზორი ხაზგასმით მიუთითებს: არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ შეცდომებისა და დანაშაულებრივი ქმედების თავი და თავი სახელმწიფოში საკადრო პოლიტიკის უხეში შეცდომები იყო (გვ. 10). არ შეიძლება არ დავეთანხმით ნაშრომის ავტორს, როცა ამბობს: „საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ყოველგვარი შეზღუდვა და აკრძალვა უნდა მოისპოს, მაგრამ... საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სახელმწიფოს შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი პროცესები“ (გვ.16).

მთლიანად ვეთანხმებით ბატონი ანზორის მიერ თავის სხვადასხვა ნაშრომში გატარებულ მტკიცე პოზიციას, რომლის არსი მდგომარეობს საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის თვითრეგულირებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ოპტიმალურ შეხამებასა და ცალკეული უკიდურესობის უარყოფაში; ამასთან, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ პერიოდის ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების წინ წამოწევის აუცილებლობის დასაბუთებაში, რის შედეგადაც შეიძლება მივალწიოთ ბაზარზე სასაქონლო პროდუქციის სიუხვეს და მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბატონი ანზორი იზიარებს მის მიერ გაკრიტიკებული ზოგიერთი ცნობილი თეორეტიკოს-ეკონომისტის მოსაზრებებს საერთოდ, ზოგადად თეორიულად (იგულისხმება სხვა თანაბარი პირობები) იმის შესახებ, რომ ქვეყნებს შორის ზედმეტი ბარიერების, დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესება გაუმართლებელია, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა მრეწველობის განვითარებისათვის შეიძლება საზიანო იყოს, მაგრამ კონკრეტულად საქართველოს სინამდვილეში, როცა ქვეყნის მრეწველობა, და საერთოდ ეკონომიკა, უკიდურესად დაცემულია და განვითარებულ ქვეყნებთან კონკურენციის გაწევის მინიმალური შესაძლებლობაც არა აქვს, მას აუცილებლად მიაჩნია არაორდინალური გადაუდებელი ღონისძიებები შიდა ბაზრის დაცვისა და ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის რეგულირების მიზნით. ამ მოსაზრებას ჩვენც მთლიანად ვიზიარებთ, მით უმეტეს, რომ მსოფლიო გამოცდილება სწორედ ასეთი მიდგომის სისწორეს ადასტურებს, თანაც არამარტო ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, არამედ ზოგჯერ განვითარებული ეკონომიკის პირობებშიც კი. ამაზე აშშ-ს უახლოესი ისტორიაც მეტყველებს.

ნაშრომში დასაბუთებული კრიტიკით არის განხილული ქვეყნის ისეთი სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, როგორცაა: ყოფილი ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც დღესაც არ არის დაძლეული; ქართველი გლეხის მიერ სოფლების მასობრივად დატოვება და, შედეგად, ქვეყნის დოვლათის შემქმნელის გადაქცევა მომხმარებლად; ქალაქებში კვალიფიციური მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ფაბრიკა-ქარხნების გარეთ დარჩენა; დემპინგური ფასების

გამო ეროვნული პროლუქციის შიდა ბაზრიდან განდევნა; სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მარეგულირებელი ბერკეტების გამოუყენებლობა, ან არასწორად გამოყენება; ჩვენი ქვეყნისათვის ტრადიციული და პრიორიტეტული დარგების აღორძინების, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის დასაბუთებული პოლიტიკის უქონლობა; გადაუდებელი ღონისძიებებისათვის ქვეყნის მოუშნადებლობა; საბაჟო გადასახადების მოუწესრიგებლობა. ყველა ამ და ბევრ სხვა საკითხზე ბატონ ანზორს აქვს სწორი, ობიექტური, ყოველ შემთხვევაში ნებისმიერი ღონის მცენიერის, სპეციალისტის თუ პოლიტიკოსისათვის ანგარიშგასაწევი მოსაზრებები, შეხედულებები, წინადადებები, ხშირად სათანადოდ დასაბუთებული, ამასთან ზოგჯერ ძალზე მოკლედ, ლაკონიურად გამოთქმული, ზოგჯერ კი ვრცელი დასაბუთება – სხარტად შეჯამებული. მაგალითად, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის შესახებ ნაშრომის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ასპექტით საგნობრივი მსჯელობის შემდეგ, თითქოს მოულოდნელად, მაგრამ გონებაშახვილურად აკეთებს არსებითი ხასიათის დასკვნას, რომ საჭიროა: „ქონების განსახელმწიფოების საკითხის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტა“. ამ მარტივ წინადადებაში, ჩემი შეხედულებით, ღრმა აზრია. კერძოდ ის, რომ ქვეყანაში ნებისმიერი საკითხი, მათ შორის სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემაც, მხოლოდ კერძო საკითხი კი არა, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი საკითხია და ამიტომ სახელმწიფოებრივად უნდა წყდებოდეს.

ნაშრომი ძირითადად სწორედ ასეთი აზრების კრებულია და ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს ორი პატარა წიგნი ქართული ეკონომიკური ლიტერატურის კარგი შენაძენია.

**გურამ ყუფუნია,**

**ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის  
დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში**

## **საით მიდის საქართველო?!**

„შეცდომა თუ დანაშაული?!“ – ასეა დასათაურებული ბატონ ანზორ ბაბუნაძის ნაშრომი.

ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ნაკლებად შეცდომა და მეტწილად დანაშაული.

ცხადია, როცა ქვეყნის პირველმა პირებმა ცუდად იციან, ან ნაკლე-

ბად იციან ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლური პრინციპები, ეკონომიკურ პოლიტიკაში შეცდომები გარდაუვალია. არადა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბოლოდროინდელი მთავრობის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკურ თეორიაში დამაკმაყოფილებელ შეფასებასაც ვერ დაიმსახურებს (ოღონდაც ეს კია, „ლომს, თუნდ ცალთვალას, ვინ შებედავს ელამი ხარო“), „ნუთუ ეკონომისტები არ იმსახურებენ, თუნდაც ურთულესი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკის სფეროში ფიზიკოსების, ბიოლოგების, ჟურნალისტების და ღმერთმა უწყის კიდევ რა სპეციალისტების ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშვნის ტენდენციაზე“. — ნათქვამია გ. გუნიას (უცნობი ავტორის) ერთ ძალზე მცირე, მაგრამ ფრიად საინტერესო სტატიაში.

აქვე უნდა დაისვას არარიტორიკული კითხვა: — ეკონომიკური სფეროს მაღალ პოსტებზე არასპეციალისტების დანიშვნა შეცდომაა თუ დანაშაული?

ერთმა გენიალურმა მათემატიკოსმა შეამჩნია ძალზე ნიშანდობლივი კანონზომიერება: წიგნებში განვითარებული აზრები უფსკრულს ქმნის ამ ნაშრომის ზომასთან შეფარდებით მისი ავტორის სასარგებლოდ. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბატონი ანზორ ბაბუხაძია ძალიან კარგად ხედავს, თუ რა დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საქართველოში მსოფლიო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის თუ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციების გაუაზრებელ რეალიზაციას, რასაც ესწრაფვოდნენ ჩვენი ბოლოდროინდელი მთავრობები და კიდევ უფრო ალტაცებითა და წარმატებით ესწრაფვის დღევანდელი ხელისუფლება.

დღეს მსოფლიო, თუ სოციალური უსამართლობისაგან აბსტრაგირებას მოვახდენთ, საცხოვრისითა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლით გაჯერებულია. თავზე საყრელად არის კვების პროდუქტებიც, ოღონდაც გასარკვევია, ზემოხსენებული გუნიასი არ იყოს, რამდენად არის დაცული „სასიამოვნოსა და სასარგებლოს სინთეზის“ პრინციპი.

ასეთ დროს ბალცეროვიჩი, ვალავი და სხვა უთვალავი გადამთიელი, რომლებიც ზმირად სტუმრობენ საქართველოს, ცხადია, როდი ზრუნავენ ჩვენი ეროვნული ეკონომიკის წინსვლაზე. „სამწუხაროა, — ხაზგასმით აღნიშნავს ბატონი ა. ბაბუხაძია, — ჩვენთან ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების

(მათ გვერდით ბევრი სხვაც არის ავადმოსახსენებელი – ჯ.პ) და ჩვენი სახელმწიფო „მოდვაწეების“ ხელშეწყობითა და გვერდით ღვინით, ხელმა ხელი დაბანა და საქართველოს დამონების ახალი ფორმები და მასშტაბები შესძინა“.

„არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი ქმედების თავი და თავი სახელმწიფოში საკადრო პოლიტიკაში დაშვებული უხეში შეცდომებია“. ეს კი წმინდა წყლის ვოლუნტარიზმია.

მოსაწონია ავტორის პოზიცია ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარებაში, პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების, სოფლის მეურნეობაში დოტაციების ფართოდ დანერგვის, ეროვნული, მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის შექმნავეების საკითხებში.

ცხადია, ამ პრობლემების გადაწყვეტა მამაცთა ხვედრია და ბატონ ანზორ ბაბუხაძიას სიმამაცეში მხოლოდ ლაჩრებს შეუძლიათ ეჭვის შეტანა.

**ჯემალ კაჭკორია,**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“,  
მაისი-ივნისი, 2006 წ.

# ხუმლიკაჰიეგი, როგორღიხ ვესულია „ვესლოგა თუ ღანაგეული?!”-ს ჰირველ ღა გეორგი ნიგნეგვი

- სათქმელი ღროულად უნღა ითქვას. – 1998 წ.
- „პოლიტიკოსები იწყებენ ქურღობას, ქურღები –  
პოლიტიკურ საქმიანობას“ – 2001 წ.
- უპასუხოდ ღარჩენილი კითხვები. – 2001 წ.
- მწერალთა XX ყრიღობაზე ვერნათქვამი სათქმელი. – 2002 წ.
- პრეზიდენტს მისი გუნღის ბევრი წვერი ღალატობს. – 2000 წ.
- გვანსოვღეს ბავშვები. – 2000 წ.
- პასუხი ორ შეკითხვაზე. – 2001 წ.
- ახღა მაინც წაიკითხონ ჩემი მათღამი გავზავნიღი წერიღი. – 2001 წ.
- ამბავი სხვადასხვა აქციისათვის თავშემონახული ხალხისა. – 2002 წ.
- მოკლეს თბიღისი, ჩვენი თბიღისი, მოღად  
გაბაბხეს ღეღაქალაქი. – 2002 წ.
- საბაზრო ეკონომიკა „ბაზარს“ როღი ნიშნავს! – 1992 წ.
- გაღაახღვევინეთ მიღიღონი ღა აშენოს რამღენიც უნღა. – 2001 წ.
- არჩვენები, ო, ეს არჩვენები! – 1999 წ.
- „საერთაშორისო სავალუტო ფონღი –  
სიკეთე თუ ბოროტება“ – 2005 წ.
- რეგულირება თუ ღერეგულირება. – 2005 წ.



# პუბლიკაციები, რომლებიც „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს ყრებულებში არ არის შესული

**პრივატიზაცია? ღიახ, მაგრამ...**

გაზეთი „რესპუბლიკა“, 30 ივნისი, 1991 წელი

**საბაზრო ეკონომიკას მომავალი თაობა გადავაცოლოთ**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 სექტემბერი, 1996 წელი

**ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ელუარდ შევარდნაძეს  
„სახალხო გაზეთი“, თებერვალი, 1999 წელი**

**ვიაზროვნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლებას არ მო-  
სწონს. „ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული“  
„დილის გაზეთი“, 23 აგვისტო, 1999 წელი**

**გაყინული ექსპერიმენტი, ანუ მინისტრებმა პრეზიდენტის დავალება  
მიიყურისძირეს**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 თებერვალი, 2000 წელი

**ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ხომ არ აკეთებენ (გაყინული  
ექსპერიმენტი)**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 მარტი, 2000 წელი

**ექსპერიმენტი, რომელიც შემოსავლების გაორმაგებას გვპირდებოდა,  
სახელისუფლებო ქსელში „გაჭედეს“**

გაზეთი „დრონი“, 18 ივლისი, 2000 წელი

**დაე, ისმინოს ბრმადაც და ყრუმაც!**

გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“, იანვარი, 2001 წელი

**ღია წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ თამაზ წიფწივაძეს**

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 9-15 თებერვალი, 2001 წელი

**დაე, ისმინოს ბრმამაც და ყრუმაც!**

გაზეთი „სარკმელი საქართველოსი“, ივნისი, 2001 წელი

**ფიქსირებული გადასახადები ტოტალური საგადასახადო კორუფციის შემცირებისა და მეწარმეობის გადარჩენის ერთადერთი შანსი**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 აგვისტო, 2001 წელი

**ჩვენთან პროფესიონალიზმის დეფიციტია**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივლისი, 2002 წელი

**ხმამალა სათქმელი**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მარტი, 2003 წელი

**ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივალთ**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 ოქტომბერი, 2003 წელი

**ნუ იქნებით „სტაკების“ ტყვეობაში, ნუ გადაიხდით ქრთამს თქვენი შვილების უსწავლელობაში**

ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2004 წელი

**ვინ რას მიიღებს პრივატიზაციიდან**

ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2004 წელი

**რატომ ამჯობინებენ ღუმილს მეცნიერები**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 2004 წელი

**გადასახადების ამკრეფთ შემოქმედებითი მიდგომა აღარ დასჭირდებათ**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 2005 წელი

**„მაგიური“ ბრძანება ანუ „საით მიდიხარ, საცოდაო საქართველოვ?!“**  
ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5, მარტი, 2005 წელი

**ფიქსირებული გადასახადი და სიღარიბის დაძლევა**  
გაზეთი „მცირე მეწარმე“, ივლისი, 2005 წელი

**მეტი დაფიქრება გმართებთ, ბატონებო**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 სექტემბერი, 2005 წელი

**დროა თავი დაანებონ ხავსზე მობლაუჭებას**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ნოემბერი, 2005 წელი

**Сначала надо заживать рану, а потом уже думать о шраме**  
газета "Свободная Грузия", 17 ноября, 2005 г.

**სოფლის შენებას რა უნდა**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი, 2005 წელი

**საზოგადოებრივი ტელევიზია საკუთარ საზოგადოებას დასცინის**  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 10 მარტი, 2006 წელი

**„სახელი ხალხისა, სახრავი – სხვისა“ ანუ ვის ინტერესებს იცავს საზოგადოებრივი მაუწყებლობა?**  
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 მარტი, 2006 წელი

**ბუმერანგი უკვე დაგვიბრუნდა, ქვეყანა სულს დაფავს**  
გაზეთი „ქრონიკა“, 30 ოქტომბერი 5 ნოემბერი, 2006 წელი

**ესენი თავის ჯიბის მაყურებელი ხალხია**  
გაზეთი „ქრონიკა“, 6-12 ნოემბერი, 2006 წელი

**ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად ანადგურებენ**  
„საერთო გაზეთი“, მაისი, 2007 წელი

# შინაარსი

რედაქტორისაგან -----	3
მხოლოდ პროფესიონალიზმი გადაგვარჩენს -----	4
აღსრულდა ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება, კომუნიზმის ლიკვიდაცია კომუნისტების მეთაურობით განხორციელდა -----	10
პოლიტიკოსები ისევ ქურდობენ -----	15
„სამჯერ წავიტყვებთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“ -----	24
პრობლემა ნომერი პირველი -----	28
პრივატიზაცია — შეცდომა თუ დანაშაული?! -----	34
კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ?! -----	40
თამამად ვეძებოთ ალტერნატიული ვარიანტები -----	44
ვერანაირი ახალი კანონი ვერ გვიშველის, თუ ეკონომიკის განვითარების რადიკალური პროგრამა არ შემუშავდა -----	48
საჭიროა მარტივფორმულიანი კონკრეტული პროგრამა -----	52
გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები, ასე ეკონომიკას ვერ ავაშენებთ -----	55
გაუგებარი ბრძანება და გასაგები ქუჩის აქციები, ასე ეკონომიკას ვითომ ავაშენებთ? -----	59

შეცხედოთ სიმართლეს თვალეში -----	62
ვუახლოვდებით ჩვენს ზღვას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ასე შორია?! -----	66
ხსნის ერთადერთი გზა საყოველთაო შრომაა -----	70
საკონტროლო-სალარო აპარატების ყველა დონეზე დანერგვის აბსურდულ მოთხოვნებს მის დისკრედიტაციამდე მიყვავართ -----	80
შეცდომები, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დაანგრია და დღესაც ანგრევს -----	86
„ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“ -----	92
რას გვიქადის და დაქცევას, განადგურებას! -----	98
ცრუ ხელისუფალთა ცრუ საქმეები -----	100
პრეტენდენტებს - მხოლოდ თანაბარი პირობები -----	106
აურჩეველი რჩეული -----	109
უდიდესი მნიშვნელობის პატარა ნიგნაკები -----	114
პუბლიკაციები, რომლებიც შესულია „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს პირველ და მეორე ნიგნებში -----	120
პუბლიკაციები, რომლებიც „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს კრებულებში არ არის შესული -----	121





**ანზორ ბაბუსაძია**  
**„შეცდომა თუ დანაშაული“**  
(ქართულ ენაზე)

**რედაქტორი: ალექსანდრე შენგელია**

**კომპიუტერული მომსახურება:**  
**პახაბერ მახარაშვილი**  
**ელინო ცარციკე**

**შპს „გამომცემლობა მაქსიმუმი“**  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5  
ტელ.: 95 11 92; მობ.: 899 58 72 50





65 წელს შეძობიანა. აუ ღებრიდა ინება და  
რისხანს წაღეს ვიბოვნი ამ წყოსლოვე მძი. მიხდა  
სამუდამო სსყოფის ვან მოხლონი წარუყდვი.

ანზორ ბაბუნაძე

ყდის მეორე გვერდი,  
ტექსტი დასვი გვერდის შუაში  
(ეს კი არ გააყოლო ბექდებაში :):))





**ანზორ ბაბუსალიამ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1966 წ.), განვლულ გზა ბიგითი ეკონომისციდან საქარტოელის მთავრობის მთავარ სახელმწიფო მჩრეულამდე. ქოების განმავლობაში მიწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური პოლიტიკის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. დამთავრებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა სამსახურთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია. არის საქარტოელის დამსახურებული ეკონომისცი, გაწო „თანადგომა“-ს გამომცემელი, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე. დამოუკიდებელია „ლიტერატურის ღრუნი“.

ავტორია წიგნების: „მსოფლიო თანადგომა გადაგვარჩენს“ (1998 წ.), „შეცდომა თუ დანაშაული?“ (ნაწ. I 2003 წ., ნაწ. II 2005 წ.), „კვლავაც ვერბოთ და ჩვენვე ვიკითხვთ?“ (2004 წ.), „პოლიტიკა ნომერი პირველი“ (2005 წ.), „ავტონომიო, საკვირვარო ჩვენო!“ (2006 წ.), „გზა ვარდისფერი“ (2007 წ.).